ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომი

№283 (12 353)

4 დეკემბერი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა

მოურინიო ინგლისს განიხილავს... მილანს? 6

როგორ იძია კლინსმანმა შური იტალიაზე?

სკუადრა აძურა ჯოჯოხეთში, გერმანია ფინალში 7

შევჩენკო: ინტერი თუ იუვე? 8

გადაწყდა: 20 აგვისტოს, კარდიფში...

უელსი-საქართველო

ხიზანიშვილის საქმე

რას შეცვლის სახალხო დიპლომატია?

კოზიაშვილი და ასათიანი ტოპმიოლერს და პრეზიდენტს დაელაპარაკებიან

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან 2

ცქიტიშვილმა კაიზერში ივარჯიშა 2

21-წლამდელთა ნაკრები 2

ბრაზილია ძვირი გვიჯდება



ამირან მინაშვილი ქუცნაიას ჩამოყვანას ემხრობა 4

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

როგორ იმოქმედებს სახალხო დიპლომატია

კობიაშვილი და ასათიანი ტოპმიოლერს და პრეზიდენტს დაელაპარაკებიან

ევრო 2008-ის შესარჩევის ბოლო შეხვედრაში ლიტვასთან კლაუს ტოპმიოლერმა ზურაბ ხიზანიშვილი სასტარტო შემადგენლობაში არ დააყენა. ხიზანიშვილმა ტრავმა მოიმიზეზა და სანაკრებო შეკრებიდან წავიდა, მერე კი განაცხადა, სანამ ტოპმიოლერი არ მეტყვის, თუ რატომ არ დამაყენა სასტარტოში, ეროვნულ ნაკრებში აღარ ვითამაშებო.

ამ ამბავიდან დაახლოებით სამი კვირა გავიდა და ბლექბერნელ ხიზანიშვილს ინგლისში იმად შევეხმიანეთ, გვინდოდა გაგვეგო, რას ფიქრობდა ყოველივე ამაზე ზურა უკვე ცივი გონებით...

- გასული დრო ბევრ რამეზე დაგაფიქრებდა, ემოცია ასე თუ ისე, დაგიცხრებოდა. ახლა სხვანაირად ხომ არ უყურებ ყოველივე ამას?

- გული მწყდება ყველაფერ იმაზე, რაც მოხდა, მაგრამ რაც ვთქვი, მხოლოდ ცხელ გულზე ნათქვამი არ ყოფილა - სანამ ტოპმიოლერია ჩვენი მწვრთნელი, მე საქართველოს ნაკრებში არ ვითამაშებ.

- გასაგებია, მაგრამ ცხოვრებაში ბევრი რაღაცა იცვლება...

- ღმერთმა ქნას, ისე მოხდეს, რომ ნაკრებს დავუბრუნდე, მაგრამ საამისო სიტუაციას ახლა ვერ ვხედავ.

- როცა ნაკრების შეკრებიდან მოდიოდი, არავინ სცადა შენი შეჩერება, დამშვიდება, რათა გადაწყვეტილება გადაეთქმევინებინა შენთვის?

- ლევან ცქიტიშვილი არ დაეთანხმა ჩემს გადაწყვეტილებას.

- სხვა არაფერი გითხრა?

- სხვებს რომ სცოდნოდათ ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, ალბათ ისინიც მირჩევდნენ რამეს. მართლაც მსურდა მაშინ ვიღაცას დავლაპარაკებოდი, მაგრამ საამისო ვერავინ ვნახე. ნაკრების მწვრთნელებს ჩემთან საუბარი აქეთ უნდა ნდომებოდათ.

- შენამდე მსგავს ვითარებაში აღმოჩნდნენ შოთა არველაძე და ალექსანდრე იაშვილი. თავის დროზე ისინიც ამ მიზეზით წავიდნენ სანაკრებო შეკრებიდან და მაშინაც თანაგუნდელებს არ უცდიათ მათი შეჩერება. როგორ ფიქრობ, რატომ ხდება ასე საქართველოს ნაკრებში?

- ბევრმა მეგობარმა დამირეკა და თავისი აზრი გამაგებინა, გამამხნევა. დამირეკეს ლევან კობიაშვილმა და მალხაზ ასათიანმა - ჩვენს ნაკრებში ასე არ უნდა ხდებოდესო.

- ეს მხოლოდ აზრის გამოთქმა იყო თუ ამას რამე ქმედითიც მოჰყვება?

- კობიაშვილმა და ასათიანმა მითხრეს, ნაკრების უახლოეს შეკრებაზე ტოპმიოლერს და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს დაველაპარაკებითო. მათ გული შესტკივათ ჩემზე როგორც მეგობარზე და როგორც ფეხბურთელზე.

- ფედერაციიდან და ნაკრების სამწვრთნელო შტაბიდან არავინ დაგკავშირებია?

- არა.

- ბლექბერნულ ამბებზეც გკითხავ. ახალ კონტრაქტს ხელს როდის მოაწერ?

- ზუსტად ჯერ კიდევ არ ვიცი. ალბათ ახალ წლამდე.

- ბოლო პერიოდში „ბლექბერნის“ ძირითადში არ გათამაშებენ და ადრე გვითხარი, ჩემი უთამაშებლობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ კონტრაქტის გაგრძელებაზე ჯერ წერტილი არ დასმულაო. სხვაგან რომ გადახვიდე, „ბლექბერნი“ დაახლოებით რა თანხას მოითხოვს შენში?

- ჩემს აგენტ ივან ბენეშს ამაზე ჰქონდა საუბარი „ბლექბერნთან“, მაგრამ კლუბმა ჩემი სატრანსფერო ფასი არც კი დაასახელა, ხიზანიშვილის გაშვებას არ ვაპირებთო. სავარაუდოდ „ბლექბერნთან“ 2011 წლამდე გავაგრძელებ კონტრაქტს.

- ამ დროისთვის ვინ ითვლება „ბლექბერნში“ ლიდერად?

- დევიდ ბენტლი, როკე სანტა კრუზი, თუგაი და ბენი მაკარტი - ეს ოთხეული მართლაც საუკეთესოა, უნდა გამოვარჩიო ბრეტ მერტონიც.

- 26 წლის ხარ, ამ ასაკში სანაკრებო კარიერას არ ასრულებენ - გულის სიღრმეში ალბათ არ გჯერა იმის, რომ ნაკრებში აღარ ითამაშებ...

- არ ვიცი, ჩემი მეგობრები მირჩევენ, რომ ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელი ვარ, ახლახან ცქიტიშვილმაც დამირეკა გერმანიიდან...

დავით თავართქილაძე

ეროვნული ნაკრები

20 აგვისტოს უელსში ვთამაშობთ

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე საქართველოს ნაკრები სტუმრად უელსის ეროვნულ გუნდთან გამართავს ამხანაგურ მატჩს.

ბრიტანელებთან თამაშის საკითხი ფაქტობრივად გარკვეული იყო, მხოლოდ თარიღი იყო შესათანხმებელი და ესეც მოგვარდა. ინფორმაცია ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ დაგვიდასტურა.

აქამდე ჩვენ ნაკრებს ორჯერ უთამაშია უელსის წინააღმდეგ ევრო-96-ის შესარჩევში. ალექსანდრე ჩივაძის ფორმაციის ნაკრებმა უელსი შინ 5:0, ხოლო სტუმრად 1:0 დაამარცხა. საშინაო შეხვედრაში დუბლი **თემურ ქეცბიამ** მიითვალა, თითო-თითო გოლი კი შოთა არველაძემ, გიორგი ქინქლაძემ და გოჩა გოგრიჭიანმა გაიტანეს. სტუმრად კი საქართველომ ქინქლაძის ულამაზესი გოლით მოიგო.

აწ დასრულებულ ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში უელსის ნაკრები ჩეხეთის, გერმანიის, სლოვაკეთის, კვიპროსისა და სან მარინოსთან ერთად იყო ჯგუფში. ბრიტანელებმა 15 ქულა მოაგროვეს და მე-5 ადგილზე გავიდნენ. უელსის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ჯონ ტოშაკი** გახლავთ. ფიფას რეიტინგში კი ეს გუნდი ამ დროისთვის 58-ე ადგილზეა.

17-წლამდელთა ნაკრები

მზადება პორტუგალიით დაიწყო

ჰერბერტ ცანკერი

17-წლამდე ნაკრებებს შორის ახალი შესარჩევი ციკლისთვის მზადება, რომელიც გაისად შემოდგომაზე დაიწყება, ჰერბერტ ცანკერის გუნდმა რამდენიმე კვირის წინათ დაიწყო რუსეთის ჭაბუკთა ნაკრებთან მატჩებით. ახლა კი ჩვენი ჭაბუკები პორტუგალიელ თანატოლებს გაეჯიბრებიან.

ჰერბერტ ცანკერის გუნდი, რომელშიც 18 ფეხბურთელია, პორტუგალიას გაეგზავრა. გუშინ ბიჭებმა პირინეებზე პირველი ვარჯიში გამართეს. დღეს კი პორტუგალიელ თანატოლებთან პირველ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ. პორტუგალიასა და ჩვენს 17-წლამდელებს შორის მეორე ამხანაგური შეხვედრა 6 დეკემბერს გაიმართება. მეორე დღეს კი ჩვენი გუნდი სამშობლოში გამოეგზავრება.

მომდევნო მატჩებს საქართველოს ნაკრები 27 და 28 მაისს რუმინეთში ადგილობრივ თანატოლებთან გამართავს. შესარჩევი ეტაპისთვის ჩვენი 17-წლამდელები გერმანიაში მოემზადებიან, ჯგუფური ეტაპის დაწყებამდე კი დასკვნით ამხანაგურ მატჩს ლუქსემბურგის ნაკრებთან ჩაატარებენ.

დავით ცაბაძე

21-წლამდელთა ნაკრები

თბილისს ბრაზილია ძვირად უღირს

გახსოვთ ალბათ, საქართველოსა და ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებებს შორის თბილისში ამხანაგური მატჩის გამართვა მხარეთა შორის ფინანსურ პირობებზე შეუთანხმებლობის გამო არ მოხერხდა. გასულ შემოდგომაზე, უფრო ზუსტად კი ოქტომბერში, უკვე ბრაზილიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა გამოთქვა სურვილი თბილისში, ჩვენს 21-წლამდელებთან ეთამაშა. ოქტომბერში ეს მიზეზთა გამო არ მოხერხდა. ახლა კი ირკვევა, რომ **ნიკო პატარქალიშვილმა**, რომელიც მატჩების ორგანიზებას თაობდა, კიდევ ერთხელ წამოიწყო მოლაპარაკებები ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების თბილისში ჩამოყვანაზე. ჩვენი ინფორმაციით ბრაზილიელები მზადა არიან 2008 წლის მარტში ან აპრილში გვესტუმრონ. ამ საკითხს ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ **პეტარ სეგრტთან** ერთად გადაწყვეტს. ბრაზილიური მხარე თბილისში ჩამოსვლისთვის არც თუ ცოტა თანხას ითხოვს. ამას ემატება სამხეთამერიკელთა ტრანსპორტირების ხარჯებიც. თუკი ბრაზილიელები ფინანსურ მოთხოვნებს არ შეცვლიან, საჭვოა ქართული მხარისგან თანხმობა მიიღონ.

ლევან ცქიტიშვილი

გარდა ამისა ახალგაზრდული ნაკრებისთვის ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს ავსტრიის, ბელარუსის, სლოვენიისა და სხვა ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებთან. ჩვენს 21-წლამდელებს მიმდინარე შესარჩევ ციკლში ორი მატჩიღა დარჩათ ჩასატარებელი - სექტემბერში სტუმრად რუსეთთან, მერე კი შინ პოლონეთთან. პეტარ სეგრტს სურს გასვლით ამხანაგურ შეხვედრაში გამოსცადოს გუნდი და თებერვალსა და მარტში თითო გასვლითი ამხანაგური თამაში ჩაატაროს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ცქიტიშვილმა კაიზერსლაუტერნში ივარჯიშა

ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ლევან ცქიტიშვილი "კაიზერსლაუტერნის" მიწვევით 1 დეკემბერს გერმანიას გაემგზავრა. ის გასულ უქმეებზე, "ზანქტ პაულისთან" გასვლითი შეხვედრიდან დაბრუნებულ გუნდს წარუდგინეს. ლევანს გუნდის მწვრთნელი **კიეტილ რეკდალი** და კლუბის ხელმძღვანელები ესაუბრნენ. როგორც გავიგეთ საუბარი კონტრაქტს არ ეხებოდა, მხოლოდ გაცნობითი ხასიათისა იყო.

გუშინ კი ლევან ცქიტიშვილმა "კაიზერსლაუტერნში" პირველად ივარჯიშა. რეკდალი ქართველი ნახევარმცველით კმაყოფილი დარჩა. დღეს ცქიტიშვილი სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ამის მერე უკვე კონტრაქტის პირობებზე საბოლოო მოლაპარაკებებიც გაიმართება. გერმანულ კლუბს ცქიტიშვილთან ორწლინახევრიანი კონტრაქტის გაფორმება სურს.

"კაიზერსლაუტერნის" ოფიციალური ვებგვერდი ლევან ცქიტიშვილის შესახებ ჯერჯერობით არაფერს წერს. თუმცა ქართველი ნახვარმცველის შესახებ სხვა გერმანულ ვებგვერდზე ინერება:

"ლევან ცქიტიშვილი ორი დღის წინათ გამოჩნდა "კაიზერსლაუტერნში". კიეტილ რეკდალის გუნდმა ბოლოს ჩატარებული მატჩი სტუმრად "ზანქტ პაულისთან" კი მოიგო, მაგრამ "ლაუტერნს" მეორე ბუნდესლიგიდან გასავარდნი ზონისთვის ჯერაც არ დაუღწევია თავი. მას სასწრაფოდ ესაჭიროება გაძლიერება და განსაკუთრებით შემტევი სტილის ფეხბურთელი სჭირდება. სწორედ ასეთია ლევან ცქიტიშვილი და ქართველი ნახევარმცველის ტრანსფერის საკითხი მოკლე ხანში სავარაუდოდ დადებითად გადაწყდება. ცქიტიშვილი მალე გააფორმებს კონტრაქტს და შესაძლოა, მორიგი ტურის შეხვედრაში, 9 დეკემბერს "კარლ ცაისთანაც" კი ითამაშოს".

დავით ცაბაძე

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩემპიონო გზა შეკვეთილია

XIII ტურის სიმბოლური ნაკრები



ჯელაძის (შუაში) აქტიურობამ ამერს ზესტაფონთან მატჩში ვერ უშველა

მოსავარი, რაც ეროვნული ჩემპიონატის გასულმა ტურმა მოიტანა, ისაა, რომ "ამერი" საჩემპიონო რბოლას საბოლოოდ ჩამოშორდა. "ზესტაფონი" რომ დაემარცხებინათ, თასის მფლობელები ოქროს მოპოვების თეორიულ შანსს კიდევ შეინარჩუნებდნენ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს და ევროსარბიელზე გასასვლელად კვლავ თასისთვის უნდა იბრძოლონ.

"ამერის" წარუმატებლობათა მიზეზები უპირველესად, ცხადია, თავად ამ კლუბის მესვეურებმა უნდა ეძიონ, ერთი შეხედვით კი მთავარი პრობლემა არასწორი სატრანსფერო პოლიტიკა უნდა იყოს - ძნელია გლდანელთა რომელიმე ახალწვეულზე იმის თქმა, რომ გუნდი გააძლიერა...

"ზესტაფონის" სტაბილურობა კი უკვე ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. რაც იმერულ კლუბს თემურ მახარაძე დაუბრუნდა (იგი "ზესტაფონში" მესამედ მივიდა), ფეროელები ჩემპიონატში არ დამარცხებულან, არადა, მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა. გლდანში კი "ზესტაფონმა" პირველად გაიმარჯვა.

"დინამო" პირველი წრის გადამწყვეტ მატჩს გაცილებით მშვიდ ვითარებაში შეხვდა. დუშან უჰრინის შეგირდებმა "დილას" აუღელვებლად, ძალების დაზოგვით სძლიეს და წესით, "ზესტაფონთან" ჭიდილს გაცილებით უკეთეს კონდიციაში მყოფები უნდა შეხვდნენ. თუმცა ცხადია, ეს სულაც არაა ნინასამატჩო პროგნოზი, აქ ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი.

ლიდერებთან სხვაობა შეინარჩუნა "ვიტ ჯორჯიამ", რომელმაც "მესხეთს" ერთი ამოსუნთქვით გადაურბინა. ერთი შეხედვით, ვეტერინარებს ჩემპიონობისთვის ბრძოლა უნდა გაუჭირდეთ, თუმცა ვინ იცის, ნესტორ მუმლაძის გუნდი ტურიდან ტურამდე პროგრესირებს და თუ საშუალო დონის მეტოქეებთან ქულების დაკარგვა შეწყვიტა, ლიდერებთან ბრძოლა კარგად გამოსდის ხოლმე...

"ჯორჯიასგან" განსხვავებით, "ბორჯომი" და "ოლიმპი" ქვეყნის თასისთვის ბრძოლას განაგრძობენ და უეფას თასის საგზურის მოპოვების პერსპექტივა ამ ტურნირში უფრო აქვთ, ჩემპიონატიდან კი მხოლოდ ინტერტოტოს თუ შესწვდებიან. "ბორჯომი" ვახსენეთ და ამ გუნდისა და "მგლების" შეხვედრა გასული ტურის ერთ-ერთი მშვენება გამოდგა.

კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა "ბათუმის" პირველი გამარჯვება იყო. აჭარული კლუბი კვლავ ბოლო ადგილზეა, მაგრამ უმაღლესში დარჩენის მიზერულ შანსს მაინც ინარჩუნებს. "მერანმა" პენალტი ვერ გაიტანა, თორემ "სიონს" დაამარცხებდა და მისი წევრები ოდნავ შვებას იგრძნობდნენ.

პირველი წრე ოთხშაბათისა და ხუთშაბათის შეხვედრებით დასრულდება, მთელი ქართული საფეხბურთო სამყარო "დინამო"-"ზესტაფონის" მოლოდინშია.

ლევან ჯანეზაშვილი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ზესტაფონი	12	11	1	0	26-4	34
2. დინამო	12	11	0	1	33-4	33
3. ვიტ ჯორჯია	12	9	1	2	22-8	28
4. ბორჯომი	12	7	3	2	17-9	24
5. ოლიმპი	12	7	2	3	13-8	23
6. ამერი	12	7	0	5	21-13	21
7. მესხეთი	12	5	2	5	13-16	17
8. მგლები	12	5	0	7	13-16	15
9. სიონი	12	3	3	6	13-16	12
10. ლოკომოტივი	12	3	0	9	8-19	9
11. სპარტაკი	12	2	3	7	3-14	9
12. მერანი	12	2	1	9	6-23	7
13. დილა	12	1	3	8	7-23	6
14. ბათუმი	12	1	1	10	4-26	4

ბომბარდირები

ხუციშვილი (დინამო)	9
გ. მერეგაშვილი (დინამო)	8
გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი)	8
გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	7
აკირემი (დინამო)	6
სასაოვიჩი (დინამო)	6
რ. ჯიქია (ოლიმპი)	6
ჭედია (მგლები)	6
შ. ჯიქია (ბორჯომი)	6
ტატანაშვილი (ამერი)	5

ტურის ფეხბურთელი

გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფონი)

იმის მიუხედავად, რომ ეროვნული ნაკრების წევრის, ახალგაზრდა როინ კვასხვაძის სახით სერიოზული კონკურენტი ჰყავს, გრიგოლ ჭანტურია "ზესტაფონის" ძირითადი მეკარის სტატუსს მყარად ინარჩუნებს და იმერული კლუბის ერთ-ერთ ლიდერად რჩება. მან მთელი პირველი წრე სტაბილურად ჩაატარა, "ამერთან" მატჩში კი უბრალოდ, უნაკლო იყო. "ზესტაფონის" გამარჯვებაში უპირველეს ყოვლისა, ძლიერი კოლექტიური თამაშის დამსახურებაა, მაგრამ გლდანელთა ძლევაში ჭანტურიამ ლომის წილი დაიდო. რამდენიმეჯერ "ამერის" გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ "ზესტაფონს" ლიდერობა ჭანტურიას სასწაულებრივმა რეაქციებმა შეუნარჩუნა.



ტურის მწვრთნელი

თემურ მახარაძე (ზესტაფონი)

ტურის ცენტრალური ბრძოლის მოგება თავისთავად ნიშნავს ტურის საუკეთესო მწვრთნელობას. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ თემურ მახარაძის დაბრუნების შემდეგ, "ზესტაფონი" ჩემპიონატში დაუმარცხებელია. ახალს ვერაფერს ვიტყვით, თუ თემურ მახარაძეს ქართული სამწვრთნელო სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად დავასახელებთ. მან გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების ნაზავით ქართული საზომებით, გამორჩეული გუნდი ჩამოაყალიბა, "ამერზე" რევანში დამაჯერებლად აიღო და თუ "დინამოსთან" წარმატებული სერიაც არ დაერღვა, საჩემპიონო რბოლაში ფეროელები კიდევ უფრო მყარ პოზიციებს მოიპოვებენ.

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინაშვილი ქეცბაიას ჩამოყვანას ემხრობა

ჩვენი იმედი რეალურ შანსად მხოლოდ ასე გადაიქცევა

საქართველოს ნაკრებმა შესარჩევი ბოლოსწინა ადგილი დაიკავა. მხოლოდ ფარერებს ვძლიეთ და უშუალო კონკურენტ ლიტვასთან ორივე შეხვედრა წავაგეთ.

- ბოლო დღეებში მთელი საქართველო მსჯელობს, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილიყრის შედეგებით გაგვიმართლა თუ არა - ამბობს „ლოკომოტივის“ ყოფილი მწვრთნელი ამირან მინაშვილი, - შემდეგი კითხვა იყო, რომელ ადგილს დავიკავებთ ჯგუფში და რომელი ნაკრებია ჩვენი მთავარი კონკურენტი.

ჩემი აზრით, შედეგები დამაიმედებელია. რომელ ადგილს დავიკავებთ, ეს ისევ ჩვენზეა დამოკიდებული, როგორი იქნება ნაკრების შემადგენლობა ციკლის დაწყებამდე, მოახერხებს თუ არა მწვრთნელი ოპტიმალური შემადგენლბის მოგროვებას და ქვეყანაში არსებული რესურსების გამოყენებას.

რაც შეეხება კონკურენტებს, საქართველოს კონკურენტი ხუთივე გუნდია. სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ნაკრებს გამოკვეთილი სახე არ აქვს. ეს შესარჩევმა ციკლმა გამოაჩინა. მუდამ იცვლებოდა სტრატეგია, შემადგენლობა, ტაქტიკა და ახალ ციკლსაც ძიების პროცესით ვხვდებით. გამოდის, წინა ციკლი ვერ გამოვიყენეთ.

- ტოპმიოლერი აცხადებს, რომ წილისყრის შედეგებით კმაყოფილია, რომ ლიტვასთან ფანტასტიკური გუნდი იხილა და როგორც იქნა, მეკარე ვიპოვეო. ფავორიტად იტალია, კონკურენტებად კი ბულგარეთი, ირლანდია და ჩერნოგორია დაასახელა. თქვენ იზიარებთ ამ მოსაზრებას?

- ლიტვასთან ყველამ ნახა, რომ ეს გუნდი ფანტასტიკური არ იყო. თუმცა ფანტასტიკური მოთამაშეები რომ გვყავს, ეს შოტლანდიასთან გამოჩნდა. ბრიტანელებთან რომ ვითამაშეთ, ასე ბულგარეთთან და ირლანდიასთან შანსი ნამდვილად გვექნება.

რაც შეეხება მეკარეს, ასეთი დონის გუნდებთან სტაბილური და დამაჯერებელი თამაშისთვის მხოლოდ ნიჭიერება არაა საკმარისი. მაკარიძის პერსპექტიულობა არ გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ მეკარის პრობლემა მოხსნილია. ის 17 წლისაა და ჯერ კლუბში და ნაკრებში ისეთი თამაშები არ ჩაუტარებია, თავი დავიმშვიდოთ.

ჩვენ მწარე გამოცდილება გვაქვს, საკმაოდ სოლიდურად თამაშობდა ნაკრები, მაგრამ ყოველთვის გვაწუხებდა მეკარის პრობლემა.

ჩემი აზრით, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით, დღემდე ვერ მოხერხდა რესურსების ათვისებაც, ვერ შეისწავლა ეს პოტენციალი. ამ ხარვეზის გამოსწორებას ბოლოს შეეცადა, ეროვნულ ჩემპიონატში რამდენიმე მოთამაშეს ყურადღება მიაქცია, მაგრამ მეჩვენება, ეს მაინც ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

- რატომ? ყენია, მჭედლიძე, მაკარიძე, ამირელები და ვიტ ჯორჯიელები სულაც არ ჰგავდნენ ფორმალურად მიწვეულებს.

- მათ შორის მხოლოდ პატარა ბიჭებს მისცა რეალურად თავის გამოჩენის შანსი.

- რას იტყვით ზურაბ ხიზანიშვილის საკითხზე?

- ხიზანიშვილი არ იყო ნაკრების უბრალო წევრი, კალაძის არყოფნაში შოტლანდიასთან კაპიტნობა დაეკისრა.

გამეხარდებოდა, ხიზანიშვილს შეკრება არ დაეტოვებინა. ზურა ქართული ფეხბურთისთვის ის ძალაა, რომელმაც ახალ ციკლში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს. აქედან გამომდინარე, გამეხარდებოდა, თუკი ის მწვრთნელს არ დაუპირისპირდებოდა. რონალდინიოც სკამზე დასვეს და 17 წლის კრკიჩს ათამაშებენ. ხიზანიშვილი ნაკრებიდან არ უნდა წავიდეს, რადგან ის ქართველია და მუდამ იქნება ჩვენი ფეხბურთის სამსახურში, ტოპმიოლერი კი ადრე თუ გვიან საქართველოდან წავა.

გულისტკივილით მახსენდება გოგუას თემაც. პატარა გაუგებრობები ნებისმიერ გუნდში ხდება და რაც მთავარია, ის უკვე ამოიწურა. ტოპმიოლერი მას უსამართლოდ მოექცა და ფაქტობრივად, მგლის ბილეთი გამოუწერა. ბოდიშის მოხდა სთხოვა, მაგრამ გოგიტას ქართული ფეხბურთის წინაშე რა აქვს მოსაბოდიშებელი? ბოდიში სასირცხვო არაა, თავად ტოპმიოლერს კი ბოდიში არა, მაგრამ შედეგების გამო თავის მართლება მოუწევს.

გოგუასადმი ასეთი საქციელის გამოც შემიძლია ვთქვა, რომ რესურსები სრულად ვერ ავითვისეთ. ფეხბურთელები შერიგდნენ და ეს მოსალოდნელიც იყო. ესაა ქართველების ბუნება, მაგრამ ტოპმიოლერმა ეს თემა გააგრძელა და გოგუას სადამსჯელო ლონისძიებები მოუწყო. მხოლოდ ლიტვასთან მატჩისთვის გამოიძახა.

- ქართველ მწვრთნელებს რომ გისმენთ სულ ერთი კითხვა მებადება.

- ბრძანეთ.

- შევთანხმდეთ, რომ კითხვას მშვიდად მიიღებთ.

- შევთანხმდით.

- ტოპმიოლერის კრიტიკა გვესმის და ორი აზრი არაა, ბოლოდან მეორე ადგილი ჩვენს სურვილს არ პასუხობს. თუმცა ქართველი მწვრთნელების ტონი ისეთია, თითქოს ტოპმიოლერი ტყიდან გამოვარდნილი გიჟია და ფეხბურთისა არაფერი ესმის.

მოდით, გულახდილად ვთქვათ, იქნებ ქართველ მწვრთნელთა კვალიფიკაცია არაა ისეთი, რომ მის ჩანაფიქრს ჩაწვდეს? ბოლოს დაბოლოს, ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე გუნდი ტოპმიოლერმა მიიყვანა და არა რომელიმე ქართველმა.

- უდიდესი მადლობა ამ კითხვისთვის. ქართველმა მწვრთნელმა თასების თასი აიღო მაშინ, როდესაც გაცილებით მდიდარ კლუბებს ეომებოდა. სხვათა შორის, ახალკაცმა გერმანულ გუნდს გერმანიაში მოუგო.

- ქართველებმა ერთხელ ავიღეთ თასი, გერმანელებმა კი იმდენჯერ, დაუფიქრებლად ვერც გავიხსენებთ.

- მე იმის თქმა მსურს, რომ ქართველებს მთლად ხაზს ნუ გადაუსვამთ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გადაცემაში თემურ ლალანიძემ და გოგი დემეტრაძემ, პროფესიონალმა გულშემატკივრებმა კარგად ჩამოაყალიბეს ქართველი მწვრთნელებისადმი ფედერაციის დამოკიდებულება - ნუ გავიმეორებთ ძველ შეცდომებს, ქართველ მწვრთნელებს ნაკრებში მუშაობა რომ არ ვაცადეთო.

მე მგონია, რომ ახლა შეცდომა ტოპმიოლერის დარჩენა უფრო იქნება. ის ძალიან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია, ამაში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ შედეგები არ მომწონს.

- სხვათა შორის, მის მიერ „ლელოში“ გაკეთებული განცხადებებიდან ირკვევა, რომ სანამ თანხას სრულად არ აიღებს, მანამდე თანხმობას ახალ კონტრაქტზე თავადაც არ ჩქარობს.

- ტყუპმა არველაძეებმაც აღნიშნეს, რომ შედეგით ყველა უკმაყოფილოა. შოთამ ახალ შესარჩევ ციკლში ჩვენს შანსებზე ისაუბრა და მიანიშნა, მთავარია, როგორი შემადგენლბოთ ვითამაშებთო. ეს საკმაოდ გულახდილ შეფასებას ჰგავდა - ტოპმიოლერს არაფერი გაუკეთებია და ფანტასტიკური ნაკრებისგან ჯერ კიდევ ძალიან შორს ვდგავართ.

- გააჩნია, ქოთანს ყურს საიდან მოვაბამთ. შოთამ თქვა ის, რაც თქვა, არც მეტი, არც ნაკლები.

- არა, შოთამ პირდაპირ მიანიშნა, რომ ტოპმიოლერის დღევანდელი მუშაობა უშედეგო იყო. მე შოთასი უფრო მჯერა, ვიდრე ტოპმიოლერის. ჩვენი თავდამსხმელი თანამედროვე ქართული ფეხბურთის სანიმუშო წარმომადგენელია და მსოფლიო ფეხბურთის თანამედროვე ტენდენციებში და სტანდარტებში ჩინებულად ერკვევა.

გაიხსენეთ, ციკლის დაწყებამდე მალტის ტურნირზე ბევრი ახალგაზრდა გამოსცადა, პირველივე ოფიციალურ მატჩში გამოცდილ კადრებს დაეყრდნო, ბოლოს კი ისევ ახალგაზრდები მიიწვია. სათამაშო სქემაც არ იყო ერთგვაროვანი, ხან 4-3-3, ხან 4-5-1, ხან 4-4-2. მრჩება შთაბეჭდილება, რომ სულ ექსპერიმენტებში იყო და ნაკრების სახეს ვერ მიაგნო.

მე პირადად ვისურვებდი, რომ ახალ ციკლში ნაკრების მწვრთნელი თემურ ქეცბაია იყოს. სასურველი მგონია, ნაკრების მწვრთნელთა საბჭოს ჩამოყალიბება, რომელშიც გაერთიანდებიან საშა ჩივაძე, ვოვა გუცაევი, რამაზ შენგელია, ახალგაზრდებიდან კი, კახა ცხადაძე, აჩიკო და შოთა არველაძეები, თუკი ეს უკანასკნელი ამ დროისთვის აღარ ითამაშებს.

ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში, ძველი და ახალი თაობის გაერთიანებით ამუშავდება დევიზი „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის არა მარტო იმედი, რეალური შანსიც მიეცემა.

- გინდათ თქვათ, რომ ტოპმიოლერის ხელში შანსი არ გაგვაჩნია.

- იმედი არის, შანსი კი მიზერული.

მერაბ მამულაშვილი

ლაშა სალუქვაძე

სალუქვაძეს ახალ კონტრაქტს სთავაზობენ

საქართველოს ნაკრების მცველი **ლაშა სალუქვაძე** ერთ-ერთი მათგანია, რომლის დატოვებაც ყაზანის „რუბინის“ ხელმძღვანელობას სურს. „სპორტ-ექსპრესის“ ინფორმაციით, ყაზანელები დღევანდელი შემადგენლობიდან დაახლოებით 14 ფეხბურთელის დატოვებას აპირებენ. გაზეთის ინფორმაციით, მათ შორის, ქართველებიდან მხოლოდ სალუქვაძე მოხვდა.

მეკარე **ნუკრი რევიშვილის** მდგომარეობა კი გაურკვეველია. 19 წლის ქართველ მეკარეს სეზონი ტრავმების გამო გაუცდა და ყველაფრის თავი და თავი ეს გახდა. ის მომზადებას „რუბინთან“ დაიწყებს, მაგრამ მისი საკითხი შეკრების დროს გაირკვევა - იუწყება „სპორტ-ექსპრესი“.

მერაბ მამულაშვილი

კარასი ჩვენების იმედადაა

ვიტალი დარასელია

წლეულს „დაჩია“ მოლდოვის ჩემპიონატში წარმატებით თამაშობს. კლუბმა პირველი წრე მეორე ადგილზე დაასრულა. რუსულმა ინტერნეტ-გაზეთმა „ევროფუტბოლმა“ მთავარ მწვრთნელ **ემილ კარასს**, , რომლის დიდი დამსხურებაცაა ამ პროვინციული გუნდის ასეთი აღზევება, ინტერვიუ ჩამოართვა. კარასი კლუბის პერსპექტივებზე საუბრის დროს, ქართველებსაც შეეხო.

„ქართველ ფეხბურთელებს თავდაპირველად ადაპტაცია გაუჭირდათ, მაგრამ ნელ-ნელა გუნდს შეეჩვივნენ და რაღაც ახალი შესძინეს, ტექნიკა, მოედანზე ასე საჭირო საუცხოო აზროვნება. წარმატებული თამაშები ორივემ ჩაატარა. ვიტალი დარასელიამ კიშინიოვის „ნისტრუსთან“ 1:0 მოგებულ მატჩში, ძალიან მაღალი დონის ფეხბურთი აჩვენა. ის ყოველთვის ასე რომ ბრწყინავდეს, გაცილებით მეტი ქულა გვექნებოდა. დარასელია ჩვენი გუნდური მექანიზმის ერთ-ერთი წამყვანი დეტალია, რომელიც ჩინებული გადაცემებითა და სტანდარტულების საუცხოო შესრულებით გამოირჩევა.

ადაპტაცია ჯაბა დვალს უფრო გაუჭირდა. მოკრძალებული და მოტივირებული ბიჭია. ფეხებზე მყარად დგას, ტექნიკურია და რაც არანაკლებ მნიშვნელოვნია, არაპროგნოზირებადი მოქმედებებით გამოირჩევა. მართალია, ჯერ „დაჩიას“ აშკარად გამოკვეთილი ბომბარდირი არ ჰყავს, მაგრამ მჯერა, უახლოეს პერიოდში ამ როლს სწორედ დვალი შეიფერებს. მომავალში მისი იმედი მაქვს,“- განაცხადა ემილ კარასმა.

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერი აბრამიძე:
რა ნეფთჩი, ანჟიში ვარ!

საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი **ვალერი აბრამიძე** მახაჩყალის „ანჟიში“ ზაფხულში ჩაირიცხა, მაგრამ ვერა და ვერ ითამაშა. ის გუნდმა განაცხადში დროულად ვერ შეიყვანა.

აქამდე აბრამიძის შესახებ ინფორმაციებს ინტერნეტით ვიგებდით, თავად მასთან დაკავშირება გვიჭირდა. ვალერი ამჟამად თბილისშია და ჩვენც ამით ვისარგებლეთ.

„დაინერა, თითქოს, ბაქოს „ნეფთჩისთან“ მქონდა მოლაპარაკება. მე მახაჩყალის „ანჟისთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, 2008 წლის ბოლომდე ვითამაშებ და სხვაგან გადასვლაზე არც მიფიქრია. ძლივს წავედი აზერბაიჯანიდან და უკან დაბრუნება ნაღდად არ მინდა“, - აღნიშნა აბრამიძემ.

ვალერი აბრამიძე

ვალერიმ იმ საკითხსაც მოფინა ნათელი, სექტემბერში მის გამო რომ წარმოიქმნა. როგორც ცნობილია, ლენქორანის „ხაზართან“ კონტრაქტი დაუმთავრდა ზაფხულში და გუნდი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა. მაშინ „ხაზარმა“ აბრამიძის დაბრუნება მოითხოვა.

„მე ჯერ რუსეთის საფეხბურთო კავშირს ვთხოვე დახმარება, შემდეგ კი საკითხი ფიფამ განიხილა და გამამართლეს. ლენქორანელებიც მიხვდნენ, არაფერი გამოუვიდოდათ და დაშოშმინდნენ.“

მიუხედავად ამისა, აბრამიძე „ანჟის“ მეორე წრეში ვერ დაეხმარა.

„მართალია, კონტრაქტი სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგ გავაფორმე, მაგრამ თავისუფალი აგენტის სტატუსი მქონდა. ეს კი „ანჟის“ განაცხადში ჩემი შეყვანის უფლებას აძლევდა. ეს არ იყო პრობლემა. საქმე ისაა, რომ „ანჟიდან“ იმ დროს წავიდა ფეხბურთელი, რომლის დავალიანებაც კლუბს ჰქონდა. რუსეთის საფეხბურთო კავშირმა მახაჩყალელებს ტრანსფერების განხორციელება აუკრძალა და მე და მიშა აშვეთია განაცხადში ამიტომ ვერ შეგვიყვანეს“, - გვითხრა ვალერიმ.

ის დარწმუნებულია, რომ მომავალ სეზონში „ანჟი“ პრემიერლიგაში გადავა. ამ იმედად გადავიდა კლუბში, პრეზიდენტი დიდი ამბიციებითაა და მეც ეს მსურსო.

ვალერი მისთვის მტკივნეულ კიდევ ერთ საკითხზე გვესაუბრა. მას წლის დასაწყისში ბმვ-ს ჯიპი, „X5“ ჩამოართვეს და დღემდე ვერ დაიბრუნა.

„მანქანა იმ მოტივით ჩამომართვეს, თითქოს მოპარული იყო, მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთები არ მაჩვენეს. ახლა კი წარმომიდგინეს საბუთი, რომელზეც ჩემი ხელმონერა იყო, თითქოს მე საკუთარი ნებით ვაჩუქე მანქანა სახელმწიფოს. გავგიჟდი, ასეთი რამ არ გამიკეთებია, მანქანა არ მომიპარავს, ჩემი შრომით ვიყიდე და უნდა დავიბრუნო“.

მერაბ მამულაშვილი



თემურ ქეცბაია

აზერბაიჯანშიც შეისვენეს

კვიპროსის ჩემპიონატის მე-11 ტურში ნაიფორხილა ქართველი მწვრთნელის, **თემურ ქეცბაიას** „ანართოსისმა“. ლიდერმა „დოქსასთან“ სტუმრად ფრე ითამაშა 1:1, თუმცა 25 ქულით პირველი ადგილი შეინარჩუნა, რადგან მდევარმა აპოელმაც დაკარგა ორი ქულა. კუნძულზე ორი ქართველი ლეგიონერი თამაშობს, ბოლო ტურში მათი გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ, ახნასში „ეთნიკოსმა“ 2:1 მოუგო ლიმასოლის „აპოლონს“. მასპინძელთა რიგებში **ლევან ქებაძემ** საგოლე პასი და ყვითელი ბარათი მიითვალა, სტუმართა შორის 90 წუთი ითამაშა **ლევან მაღრაძემ**. „აპოლონი“ 19 ქულით მეხუთე ადგილზეა, „ეთნიკოსი“ 12 ქულით მეათეზეა.

აზერბაიჯანის ჩემპიონატში ზამთრის არდადეგები დაიწყო, ამ უქმეებზე პირველი წრის ბოლო ტური გაიმართა, შემოდგომის ჩემპიონი მოულოდნელად ბაქოს „ოლიმპიკია“. ლიდერს „ყარაბახი“ მასპინძლობდა და 0:1 დამარცხდა. ძმებ **ბერაიებს** არ უთამაშიათ. ბაქოს „ნეფთჩი“ დებიუტანტ აბნის ეწვია და 2:0 მოუგო. **გიორგი ადამიამ** 90 წუთი ითამაშა. ევლახში „ქარვანი“ 0:1 დამარცხდა „მასალისთან“. **ალექსანდრე ინწკირველმა** 90 წუთი ითამაშა, **გოჩა ტრაპაიძემ** მეორე ტაიმი ითამაშა.

„სტანდარდი“ აუტსაიდერ „გენჩლერბერლიის“ ესტუმრა და 5:1 გაანადგურა. გუნდის ქართველ ლეგიონერ **ვლადიმერ უგრეხელიძეს** არ უთამაშია. „ბაქიმ“ 2:0 დაამარცხა „თურანი“, სტუმართა ქართველი ლეგიონერებიდან **ამირან მუჯირს** არ უთამაშია, **ალექსანდრე გოგობერიშვილი** 68-ე წუთზე შეცვალეს. ყველაზე „ქართულმა“ გუნდმა „კაბალამ“ წრე გამარჯვებით დაასრულა, შინ „ინტერი“ დაამარცხა მოულოდნელად - 2:1. მასპინძელთა კარს **ზურაბ მამალაძე** იცავდა, **თორნიკე აფციაური** 70-ე წუთზე **გიორგი გაბიდაურმა** შეცვალა. არ უთამაშია მხოლოდ **ირაკლი ვაშაკიძეს**. „ნეფთჩიმ“ 27 ქულით მესამე ადგილზე დაასრულა პირველი წრე, „კაბალას“ 21 ქულა დუგროვდა და მეხუთეა, ამ კლუბს კვალში „ბაქი“ უდგას ამდენივე ქულით. „ყარაბახი“ 17 ქულით მერვეა, „ქარვანი“ 15 ქულით მეათე, „სტანდარდს“ 14 ქულა აქვს და მეთერთმეტეა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან
ფეხბურთელი არასაფეხბურთო ოჯახიდან

„მოსკოვსკი კომსომოლეც“ - ამ გაზეთში გამოქვეყნდა ინტერვიუ საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ცენტრალურ მცველ მალხაზ ასათიანთან. ინტერვიუს მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

შესავალში ავტორი ოთხი წლის წინანდელ ამბავს იგონებს - 2003 წლის იანვარი, იტალია, მალხაზ ასათიანის პირველი ვარჯიში „ლოკომოტივში“. ვარჯიშის დაწყებამდე რკინიგზელთა მაშინდელმა მწვრთნელმა დებიუტანტს შესძახა: „გვარი კი გაქვს საფეხბურთო, ვნახოთ მიდორზე რა შეგიძლია“. მას მერე ოთხი წელიწადი გავიდა. დღევანდელი „ლოკომოტივი“ ამ ცენტრალური მცველი გარეშე წარმოუდგენელია.

მალხაზ ასათიანი

- გასულ სეზონში „ლოკომოტივმა“ რუსეთის თასი მოიგო, მაგრამ პრემიერლიგაში მოსალოდნელზე ბევრად უარესად გამოვიდა - მეშვიდე ადგილი - ასეთი ცუდი შედეგი „ლოკომოტივს“ რუსეთის ჩემპიონატში მანამდე არ ჰქონია...

- ჩვენი ბრალია, ლიდერებს ქულებს ვაკარგვინებდით, საშუალო და მაჩანჩალა გუნდებთან კი ფეხი გვიცდებოდა. სტაბილურობის გარეშე მაღალ შედეგს ვერ მიაღწევ.

- საქართველოს ნაკრებმაც ჩააგდო ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპი...

- დიახ, მხოლოდ კარის მაგრად გაჯახუნება მოვახერხეთ - შოტლანდიასთან გამარჯვებას ვგულისხმობ. არც კი ვიცი, რაშია საქმე. საქართველოს ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ შედეგი არ იყო და არ არის.

- მართალია, რომ საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის გამწვავების დროს კლაუს ტოპმიოლერმა საკუთარ უსაფრთხოებაზე იზრუნა და ამიტომ დატოვა საქართველო?

- არ დაუჯეროთ ჭორებს! ტოპმიოლერი ისევ ჩვენთანაა. იმედია, მისი გამოცდილება დაეხმარება საქართველოს ნაკრებს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად. ვსარგებლობ შემთხვევით და რუსეთის ნაკრებს და ყველა გულშემატკივარს ვულოცავ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას. ახლა ვიცი, ვის ვუგულშემატკივრებ ავსტრია-შვეიცარიის სტადიონებზე.

- როცა თქვენს ამშობლოში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს, არ შეგეშინდათ თქვენი ახლობლებისა და მეგობრების გამო?

- განგაში კი იყო, მაგრამ საბედნიეროდ სიტუაცია მალევე გახდა ნორმალური, ახლა საქართველოში და ჩემს მშობლიურ ქუთაისშიც სიმშვიდეა.

- თქვენს პირველ მწვრთნელ თემურ ნადირაძეზე ლეგენდები დადის. ის მართლა თავისი ჯიბიდან ყიდულობდა თქვენთვის და სხვა ბიჭუნებისთვის ბუცებს?

- სრული სიმართლეა. ეს თბილისშია, ხალხს რომ ფული აქვს, თორემ პროვინციაში ხალხი გაცილებით მოკრძალებულად ცხოვრობს. რუსეთშიც ხომ იგივე ხდება.

- თქვენ საფეხბურთო ოჯახიდან ხართ?

- ვერ გამოიცანით. მამაჩემი ინჟინერია და ფეხბურთთან არანაირი კავშირი არ აქვს. ერთი პერიოდი ის ჩემი გატაცების წინააღმდეგიც კი იყო. სკოლიდან ცუდი ნიშნები მომქონდა და მამაჩემს მიაჩნდა, ბურთის დევნისთვის თავი უნდა დამენებებინა და მთლიანად სწავლაზე გადავრთულიყავი. ახლა ის ასე აღარ ფიქრობს.

- თქვენი გვარი რუსულ ენაზე ნიშნავს რამეს?

- ასათიანი რუსულად ასმეათეს ნიშნავს. სამციფრიანი ნომრით თამაში რომ იყოს დასაშვები, აუცილებლად მას ავირჩედი.

- მეტსახელი თუ გაქვთ?

- კლუბში სახელით მომმართავენ, ნაკრებში კი - „ასათ“. ორივე ვარიანტი მისაღებია.

- რა არ გყოფნით მოსკოვში, რა გაკლიათ აქ?

- მოიცა დავფიქრდე. ქართული სამზარეულო? არა, აქ ბევრი ქართული რესტორანია. სხვათა შორის ძალიან მიყვარს ბორშჩი არაჟნით, რომელსაც ბაკოვკაში ამზადებენ. ურთიერთობა თანამემამულეებთან? არც ეს არის პრობლემა. რუსულ პრემიერლიგაში არც თუ ცოტა ქართველია. მყავს არასაფეხბურთო ნაცნობებიც - ტელეწამყვანი თინა კანდელაკი და მომღერალი ირაკლი ფირცხალავა.

- რუსულ ენაში უკვე კარგად გაინაფეთ...

- უკვე მეოთხე წელია, მოსკოვში ვცხოვრობ. სხვათა შორის, რუსული ენა ჯერ კიდევ სკოლაში ძალიან მომწონდა. განსაკუთრებით რუსი კლასიკოსების კითხვა მიყვარდა - პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი. მერე ფეხბურთმა გამიტაცა და სხვა თავიდან ყველაფერი ამომივარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეტისი

კუპერი გაუშვეს

ფრანსისკო ჩაპარო ერთ მდინარეში მეორედ შევიდა

გასულ კვირას „ბეტისმა“ მშობლიურ „მანუელ რუის დე ლოპერაზე“ მორიგი მარცხი იწვნია. ამჯერად მათ „ატლეტიკოსთან“ წააგეს. კიდევ ერთი მატჩის დათმობით ანდალუსიელებმა სატურნირო მდგომარეობა გაიუარესეს. ყოველივე ამის გამო კლუბის ხელმძღვანელობამ მოთმინება დაკარგა და მთავარი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი გაათავისუფლა. ვაკანტური თანამდებობა კი სათადარიგო გუნდის დამრიგებელს, ფრანსისკო ჩაპაროს ჩააბარა. აღსანიშნავია, რომ ჩაპარო ძირითად შემადგენლობასთან შარშანაც მუშაობდა. სხვათაშორის, 2006 წლის დეკემბერში მანუელ რუის დე ლოპერამ ასევე ცუდი შედეგების გამო ხავიერ ირურეტა გაათავისუფლა. მისი სამუშაო მაშინაც პაკო ჩაპაროს ანდეს.

ექტორ კუპერი ისევ უმუშევარია

ამ კაცმა გაცემული ავანსები ბოლომდე გაამართლა, „ბეტისს“ პრიმერა დივიზიონში ადგილი შეუნარჩუნა და პოსტი ულაპარაკოდ დატოვა. როგორც იცით, **ექტორ კუპერი** სწორედ ამის შემდეგ მოვიდა. არგენტინელ სპეციალისტს უდიდეს იმედებს უკავშირებდნენ, მაგრამ ცხოვრებამ გამოააშკარავა, რომ რეალობა იმაზე გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე ვინმე წარმოიდგენდა. კუპერმა, ბუნებრივია, „ბეტისს“ მთელი ცოდნა და გამოცდილება მოახმარა, მაგრამ კრიზისის დასაძლევად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ანდალუსიელები სრულიად დემორალიზებულები არიან. შემადგენლობის ხარისხი გულშემატკივრების ამბიციებს ვერ პასუხობს. ყოველ შემთხვევაში, ამ ფეხბურთელებს მეტ ნაკლებად სერიოზული ამოცანების გადაჭრის უნარი არ აღმოაჩნდათ. ბუნებრივია, გუნდის უმაღლესი ხელისუფალი მოთამაშეებზე არ გადატეხდა ჯოხს. როგორც ყოველთვის, მსგავს სიტუაციაში დამნაშავედ მთავარი მწვრთნელი გამოაცხადეს. კუპერს „ბილბაოსთან“ წაგებიდან 2,5 საათის შემდეგ აცნობეს, რომ უმუშევართა რიგებს შეუერთდა. ესპანელი მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ კლუბის ბოსების მხრიდან ეს ფრიად არადელიკატური საქციელი იყო. მათი აზრით, ერთია, როცა კაცს შუაღამით ეტყვი უსიამოვნო ამბავს და მეორე, როცა დილით კარგად გამოძინებულს მოახსენებ იგივეს. პრინციპში, ამას დიდი პრაგმატული მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ სენიორ ექტორ რაული „ბეტისიდან“ გააგდეს, არადა, მას დიდი იმედი ქონდა, რომ მუშაობის გაგრძელების საშუალებას მისცემდნენ. არგენტინელმა „ატლეტიკოსთან“ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. ალბათ, ფიქრობდა, რომ ნდობის მანდატს ვადა ასე მალე არ ამოწურებოდა.

„ბეტისის“ გულშემატკივრები თავიანთი ტემპერამენტითა და რადიკალიზმით მთელ ესპანეთში არიან ცნობილი. ადრე მოგახსენებდით, რომ ისინი პერმანენტული წარუმატებლობის გამო გუნდის მეპატრონის, ბატონ **რუის დე ლოპერას** წინააღმდეგ ღიად და დაუფარავად ილაშქრებდნენ. რამდენჯერმე ინჩასებმა მის სახლთან პიკეტი მოაწყვეს. რამდენიმე გადარეულმა კი მის ფანჯრებს, ეგრეთწოდებული, მოლოტოვის კოქტეილები დაუშინა. მადლობა ღმერთს, მათ სასურველ მიზანს ვერ მიაღწიეს და პოლიციის კლანჭებში აღმოჩნდნენ. ასეთი აგრესიული გამოხდომა იმაზე მიუთითებს, რომ რუის დე ლოპერამ საზოგადოების ნდობა და სიყვარული დაკარგა. აღსანიშნავია, რომ ქომაგები ექტორ კუპერის გაშვებით არ დაცხრნენ. ისინი ყველა უბედურების საათავედ მაინცდამაინც კლუბის მეპატრონეს მიიჩნევენ და მის გადადგომას კატეგორიულად მოითხოვენ. როგორც ჩანს, თავად ბატონი მანუელი კარგად აცნობიერებს, რომ ასეთი ზიზღისა და სიძულვილის ფონზე მშვიდად მუშაობას ვერ შეძლებს. მას ადრეც არაერთხელ უთქვამს, მზად ვარ „ბეტისი“ დავტოვო, მაგრამ საამისოდ რამდენიმე პირობას აყენებდა. ისტორია კიდევ ერთხელ გამეორდა. მანუელ დე ლოპერამ გუშინ წასვლის შესაძლებლობაზე კიდევ ერთხელ ჩამოაგდო სიტყვა: „საუბედუროდ, ძალიან რთულ სიტუაციაში ვიმყოფებით. „ატლეტიკოსთან“ მარცხმა ცხოვრება გაგვიუარესა. დირექტორატის წევრებს დავურეკე და სასწრაფო შეხვედრაზე დავიბარე. ჩვენ ყველა დეტალი განვიხილეთ. დაახლოებით, 2 საათის განმვლობაში ვთათბირობდით და დავადგინეთ, რომ სენიორ ექტორ კუპერი დასახულ მიზნამდე ვერ მიგვიყვანდა. ის დაუზარებლად მუშაობდა, ყველაფერს აკეთებდა, რათა სატურნირო მდგომარეობა გაგვეუმჯობესებინა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. დახარჯული ენერგიისა და თავდადებისთვის არგენტინელს დიდ მადლობას მოვახსენებთ. იმედია, ახალ სამსახურს მალე იშოვის. მის მენეჯერებს საკომპენსაციო თანხის გასტუმრებასთან დაკავშირებით მოველაპარაკებით. მიმდინარე სეზონის დასრულებამდე კი „ბეტისს“ პაკო ჩაპარო უხელმძღვანელებს. მან ერთხელ უკვე გადაგვარჩინა და გვჯერა, მეორედაც შეძლებს. მე სწორედ ამ მომენტს ველი. ვიცი, რომ გულშემატკივრებს არ ვუყვარვარ. ისინი გულისწყრომას სრულიად სამართლიანად გამოხატავენ, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ ახლა მათ მოთხოვნას ვერ დავაკმაყოფილებ. არ შემიძლია, გუნდი განსაცდელში მივატოვო. როგორც კი სატურნირო მდგომარეობა გაუმჯობესდება და დავრწმუნდები, რომ გავარდნის საფრთხე არ იარსებებს, „ბეტისს“ დავტოვებ. ეს ჩემი ერთადერთი პირობაა. მანამდე ინვესტორებს მოვიძიებ. რამდენიმე კომპანიასთან უკვე ვაწარმოებ მოლაპარაკებს. რამდენჯერმე უკვე ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, „ბეტისს“ მადრიდელ ან ბარსელონელ ბიზნესმენებს არ მივყიდი. მისი შეძენის შანსს მხოლოდ სევილიელი მილიონერები ფლობენ, ისიც, თუ „ბეტისის“ ქომაგები არიან. იმედია, ყველას კარგად ესმის, რატომაც ვიქცევი ასე. „ბეტისი“ ჩემი გულის ნაწილია. მის გარეშე ვერ ვიცოცხლებ. ამიტომ ვერ დავუშვებ, რომ კლუბი რომელიმე შარლატანმა ჩაიგდოს ხელში.“*

ფრანკ რაიკაარდი ბრაზილიელ სუპერვარსკვლავს ღიად დაუპირისპირდა

ბარსელონა

რაიკაარდი პოლიტიკას ცვლის

ღია ტექსტით რონალდინიოს წინააღმდეგ...

რონალდინიოს ბოლოდროინდელი ამბები დიდი სჯა-ბაასის საფუძველი გახდა. გასული ტურების განმვალობაში „ბარსელონის“ მთავარი მწვრთნელი, **ფრანკ რაიკაარდი** მას ძირითად შემადგენლობას არ აკარებდა. ამ გარემოებასთან დაკავშირებით, საზოგადოების აზრი ორად გაიყო. ნაწილი მიიჩნევს, რომ ფორმიდან ამოვარდნილი გაუჩო სწორედ სათადარიგოთა სკამზე უნდა იჯდეს. ნაწილის აზრით, პირიქით, ბრაზილიელმა ნებისმიერ მდგომარეობაში უნდა ითამაშოს, რადგან ყოველთვის შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა. ალბათ, ძალიან გაინტერესებთ, თავად რაიკაარდმა რითი დაასაბუთა რონალდინიოს ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდება: *„ვიცი, ჩემს გადაწყვეტილებას უამრავი სპეკულაცია მოჰყვება, მაგრამ მე მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია. ფრანკ რაიკაარდის ყველა ნაბიჯი გუნდს კეთილდღეობისკენაა მიმართული. როცა რონალდინიო სასურველ კონდიციას დაიბრუნებს, „ბარსასთვის“ კვლავ ძალიან სასრგებლო და მნიშვნელოვანი ფიგურა გახდება.“*

ესპანურ ფეხბურთში გაცნობიერებული ადამიანი იოლად შეამჩნევდა, რომ რაიკაარდმა ტონი შეცვალა. ჰოლანდიელი სპეციალისტი აქამდე რონალდინიოს მისამართით მხოლოდ-დამხოლოდ მოწიწებით საუბრობდა. ახლა კი გასაგებად განაცხადა, რომ გაუჩო ცუდ ფორმაშია და თამაშს არ იმსახურებს. სხვათაშორის, ამ სულისკვეთებას ლეგენდარული **იოჰან კრუიფი** ბოლომდე იზიარებს: „რონალდინიო საშინლად თამაშობს და არ მესმის, ამხელა ისტერიკა რის გამო ატყდა. დაუშვებელია, გუნდში ხელშეუხებელი ფეხბურთელები არსებობდნენ. ჩემი აზრით, რაიკაარდმა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ბრაზილიელი სკამზე დატოვა. ამ ყმაწვილმა უნდა გაიგოს, თუ თამაში და აპლოდისმენტების მოსმენა სურს, იმაზე მეტი უნდა ივარჯიშოს, ვიდრე ახლა ვარჯიშობს, წინაალმდეგ შემთხვევაში წარმატებების იმედი არ უნდა იქონიოს. აქამდე „ბარსელონის“ მთავარი მწვრთნელი არასწორად მუშაობდა. ის სწორედ გაუჩოს აფარებდა ხელს და ამით გუნდს აზარალებდა. მიხარია, რომ ბოლოსდაბოლოს გონს მოეგო და პირველ ადგილზე გუნდის ინტერესები დააყენა. „ბარსა“ ასე უფრო იხეირებს. თავად რონალდინიოც მიხვდება, რომ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად მეტი შრომა სჭირდება.“*

კარვალიო მოსკოვში რჩება, ვაგნერი ჩელსიში მიდის?

ბრაზილიელი თავდამსხმელი **დანიელ კარვალიო** ცსკასთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს. 24 წლის ფეხბურთელს ნლიურად 2.3 მილიონ დოლარს დაუნიშნავენ. ის არმიელთა უმდიდრესი მოთამაშე გახდება. უფრო მეტიც, კარვალიოს რუსეთის ჩემპიონატში ყველაზე მაღალ ხელფასს გადაუხდიან. იმასაც მოგახსენებთ, რომ ხელშეკრულების გაგრძელების სანაცვლოდ, ფეხბურთელს ნახევარი მილიონი დოლარი მიუთვალეს.

ცსკას მეორე ბრაზილიელმა ფორვარდმა **ვაგნერ ლავმა** „ჩელსის“ ყურადღება მიიპყრო. მთავარი მწვრთნელი **ავრაამ გრანტი** მას **დიდიე დროგბას** საუკეთესო შემცვლელად მოიაზრებს. ახალი წლის შემდეგ დროგბა აფრიკის ერთა თასზე გაემგზავრება. ის თითქმის ერთი თვის განმავლობაში ვერ დაეხმარება კლუბს. 23 წლის ვაგნერი „მანჩესტერ სიტის“, „პორტსმუთს“, „ატლეტიკოს“, „სევილიასა“ და „ნაპოლისაც“ სურთ.

ინგერი: დაკურის ტრავმა და კამბიასოს ახალი კონტრაქტი

კვირას „ინტერმა“ „ფიორენტინას“ 2:0 მოუგო. მილანელმა ნახევარმცველმა **ოლივიე დაკურმა** მუხლი დაიზიანა. მან იძულებულითი შვებულება გამოინერა. დაკურს მცირე ოპერაციის გაკეთებაც მოუწევს. ექიმების ვარაუდით, ოლივიეს 40 დღე გაუცდება. „ნერაძურის“ კიდევ ორი ნახევარმცველი - **ლუიშ ფიგუ** და **პატრიკ ვიეირა** ჰყავს დაშავებული. **დეიან სტანკოვიჩი** ეს-ესაა გამოჯანმრთელდა და ოპტიმალურ ფორმაში ჩადგომას ცდილობს. „ინტერი“ იტალიის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია. მან ვადაზე ადრე გაინაღდა ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფის საგზურიც. აქვე გეტყვით, რომ ინტერელებმა ახალი კონტრაქტი შესთავაზეს **ესბეტან კამბიასოს**. 27 ლის ნახევარმცველი გუნდის შეუცვლელი ფიგურაა. მილანელებს მისი ხანგრძლივი დროით დაბევება სურთ.

მენიუ არავის იყიდის, მარცხენა მცველის გარდა

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ფეხბურთელების შეძენა არ აპირებს. ეს განცხადება **სერ ალექს ფერგიუსონმა** გუშინ, „ფულჰემთან“ მატჩის წინ გააკეთა. სპეკულაციების თანახმად, „ეშმაკები“ **ნიკოლა ანელკას** ან **დიმიტარ ბერბატოვის** ტრანსფერს გეგმავდნენ. ფერგიმ თავის თავდამსხმელებს სრული ნდობა გამოუცხადა და შეტევის ხაზის გაძლიერება ზედმეტად მიიჩნია: *„ეფიქრობ, ძლიერი შემადგენლობა გვყავს. ზოგიერთ ახალწვეულს გუნდთან შესაგუებლად დრო სჭირდება. ნახეთ, როგორ ათამაშდნენ პატრის ევრა და ნემანია ვიდიჩი. ყველა რგოლით კმაყოფილი ვარ. მხოლოდ დაცვის მარცხენა ფლანგი მაღელვებს. გაბრიელ ჰაინცეს წასვლის შემდეგ მისი შემცვლელი არ გვიყიდია. სხვა მხრივ, საკადრო პრობლემები არ გაგვაჩნია.“*

მოსალოდნელი დანიშვნა

მოურინიო: ინგლისი თუ... მილანი?

პორტუგალიელი მწვრთნელის შტაბი ადასტურებს: ჟოზე ალბიონზე სიამოვნებით დაბრუნდებოდა!

ჟოზე მოურინიოს „მილანის“ მთავარი მწვრთნელობა სურს. ამ ინფორმაციას „ნიუს ოფ ზე უორლდი“ ავრცელებს. პოპულარული ტაბლოიდი იუწყება, რომ „როსონერი“ უკვე შეეხმიანა პორტუგალიელის აგენტებს და მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. „ნიუს ოფ ზე უორლდის“ აზრით, უახლოეს წლებში მოურინიო საკლუბო ფეხბურთში იმუშავებს. რომელიმე ქვეყნის ეროვნული ნაკრების განვრთნაზე კი მოგვიანებით დაფიქრდება. „სანმა“ კიდევ ერთი საინტერესო ამბავი გვაუნყა: მოურინიომ სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა „ადიდასთან“. ამ ხელშეკრულებით მას 2.8 მილიონ ევროს გადაუხდიან. „ადიდასი“ „მილანის“ ტექნიკური სპონსორია. სხვათა შორის, გერმანული გიგანტი „რეალთანაც“ თანამშრომლობს. გაზეთ „მარკას“ თუ ვერწმუნებით, მოურინიოს ბანაკს სამეფო კლუბიც შეეხმიანა. მადრიდელებს სურთ, მწვრთნელის გეგმებთან დაკავშირებით მუდმივად საქმის კურსში იყვნენ.

გასულ უქმეებზე კიდევ ერთხელ გაიუღერა მოურინიოს ინგლისის ნაკრებში დანიშვნის თემამ. „დეილი სტარმა“ გვაცნობა, ჟოზე ინგლისელებს იმ შემთხვევაში უხელმძღვანელებს, თუ წლიურად 5.6 მილიონ ევროს მიუთვლიანო. ზუსტად ამდენს უხდიდნენ **სვენ გორან ერიქსონს**. **სტივ მაკლარენმა** ნაკრებში გატარებული ერთი წლის განმავლობაში 3.5 მილიონი ევრო გამოიმუშავა. „დეილი სტარმა“ მოურინიოს წარმომადგენელ **ელადიო პარამესის** კომენტარიც გამოაქვეყნა: *„საფეხბურთო ასოციაციასთან კონტრაქტის გაფორმება დიდი პატივი იქნებოდა. ჟოზეს ძალიან უყვარს ინგლისური ფეხბურთი. მას ამ ქვეყანასთან განსაკუთრებული მოგონებები აკავშირებს. მაგრამ ასოციაციისაგან შეთავაზება არ ყოფილა. ჟოზე მზადაა, ნებისმიერ წუთს განიხილოს ინგლისის ნაკრების ვარიანტი. ამავე დროს, წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები, თუ როგორ ესახება ნაკრების კრიზისიდან გამოყვანა.“* საფეხბურთო ასოციაციას ამ ფაქტთან დაკავშირებით განცხადება არ გაუკეთებია.



ვინ შეცვლის მაკლარენს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის გადმოტანილი მატჩები

აჩუქებს მილანი სელტიკს ქულას?

დღეს ჩემპიონთა ლიგის ასე ვთქვათ, რიგგარეშე მატჩებია, D ჯგუფის ორი შეხვედრა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ 7 დეკემბრიდან „მილანი“ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე მიემგზავრება და სწორედ ამიტომ, ჩემპიონთა ლიგის D ჯგუფის ბოლო ტურის მატჩები დღეს გაიმართება. „მილანი“ „სელტიკს“ უმასპინძლებს, „შახტარი“ კი „ბენფიკას“.

D ჯგუფი

მილანი–სელტიკი

კახა კალაძის გუნდს მერვედფინალში თამაში განაღდებული აქვს - „როსონერის“ ანგარიშზე 10 ქულაა. მეორე ადგილზე მყოფი „სელტიკი“ მილანს მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება, სამაგიეროდ, 3 ქულით უსწრებს მესამე პოზიციაზე მყოფ „შახტარს“. ეს იმას ნიშნავს, რომ გლაზგოელებს დღეს ფრეც ეყოფათ იმისათვის, რომ მერვედფინალში გავიდნენ. თანაც, მოვლენების ასეთი განვითარება წესით „მილანსაც“ უნდა აწყობდეს, რადგან ფრის შემთხვევაში არც იტალიური გრანდი დაკარგავს პირველ ადგილს. მაგრამ საეჭვოა ისიც, რომ მილანელებს შურისძიების სურვილი ჰქონდეთ – „როსონერიმ“ განვლილ ხუთ მატჩში ერთადერთი მარცხი განიცადა და ისიც გლაზგოში.

გასულ უქმეებზე „მილანს“ რთული მატჩი ჰქონდა „იუვენტუსთან“ (0:0) და გამორიცხული არ არის, რომ **კარლო ანჩელოტიმ** ერთი ან ორი წამყვანი ფეხბურთელი დაასვენოს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ მატჩი ფრთხილი და ერთობ დუნე იქნება. სტუმრებს მარცხენა მცველი **ლი ნეილორი** არ ეყოლებათ. ეს უკანასკნელი „შახტართან“ მატჩში დაშავდა და „სელტიკს“ 3 კვირა ვერ დაეხმარება. სამაგიეროდ, ლაზარეთიდან ბრუნდება გლაზგოელთა იტალიელი ლეგიონერი **მასიმო დონატი**.

სავარაუდო შემადგენლობები

მილანი: დიდა, ბონერა, კალაძე, ნესტა, სერჯინიო, გატუზო, ამბროზინი, პირლო, ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო (ან ინძაგი).

სელტიკი: ბორუცი, კოლდუელი, მაკმანუსი, კენედი, დონატი, იაროშიკი, მაკგიდი, ჰარტლი, ბრაუნი, მაკდონალდო, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი.

მსაჯი: ტომ ჰენინგი (ნორვეგია).

შახტარი–ბენფიკა

ამრიგად, „შახტარი“ ვალდებულია, „ბენფიკა“ დაამარცხოს და თან იმაზე იოცნებოს, რომ „მილანი“ „სელტიკთან“ თავს არ დაზოგავს და ფრეს არ დასჯერდება. შეგახსენებთ, რომ მეორე ტურში მირჩა ლუჩესკუს გუნდმა „ბენფიკას“ ლისაბონში მოუგო (1:0). უმოტივაციოდ, ცხადია, არც პორტუგალიელები არიან: ისინი მოგების შემთხვევაში მესამე ადგილზე გავლენ და შესაბამისად, უეფას თასზე გადავლენ. ამიტომაც, „ბენფიკაც“ 3 ქულისთვის იბრძოლებს. ლისაბონელები ამ შეხვედრაში ფლანგის ნახევარმცველ **კრისტიან როდრიგესს** ვერ დაიხმარენ – ამ უკანასკნელმა შაბათს, „პორტუსთან“ მატჩში (0:1) ტრავმა მიიღო.

სავარაუდო შემადგენლობები

შახტარი: პიატოვი, კუჩერი, რატი, სრნა, ჩიგრინსკი, ჰიუბშმანი, ლევანდოვსკი, ჟადსონი, ილსინიო, ბრანდაო, ლუკარელი.

ბენფიკა: კუიმი, ლეო, ლუიზაო, ლუიშ ფელიპე, დავიდ ლუისი, კაცურანისი, პეტიტი, რუი კოშტა, პერეირა, კარდოსო, ნუნუ გომეში.

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი).

მილანელი ანდრეა პირლო და ექს-მილანელი, ამჟამად გლაზგოელი მასიმო დონატი

ევრო 2008. წილისყრის შემდეგ

კლინსმანის ვენდეტა: იტალია ჯოჯოხეთში!

გერმანიას კი, ფინალამდე გზა ხსნილი აქვს...

კლინსმანმა იტალია სიკვდილის ჯგუფის გზას გაუყენა

ევროპის ჩემპიონატის წილისყრამდე გერმანულმა გამოცემა „ბილდმა“ ქომაგებს შორის გამოკითხვა ჩაატარა იმის შესახებ, თუ რომელი მეტოქეები სურდათ გერმანელ გულშემატკივრებს ფინალური ეტაპის ჯგუფურ რაუნდში. არავის გაჰკვირვებია ის ფაქტი, რომ ბუნდესფანთა აბსოლუტური უმრავლესობა იმ ჯგუფში მოხვედრაზე ოცნებობდა, სადაც ტურნირის უდავოდ ყველაზე სუსტი გუნდი, ერთ-ერთი მასპინძელი ავსტრია იქნებოდა. და როგორ გგონიათ, რომელი გუნდი სურდათ გერმანელებს ავსტრიის შემდეგ? მსოფლიოს ჩემპიონი იტალია! რატომ? მიზეზი მარტივია: შურისძიება! გერმანიაში კარგად ახსოვთ და კიდევ დიდხანს არ დაავიწყდებათ 2006 წლის მუნდიალის ნახევარფინალი, სადაც იტალიამ გერმანელთა ოცნებები დამატებითი დროის ბოლო წუთებზე დაასამარა.

ერთი სიტყვით, გერმანელებს ძალიან სურდათ, რომ იტალიაზე შურისძიების შესაძლებლობა მისცემოდათ, მაგრამ ასე არ გამოვიდა და გამოვიდა ისე, რომ გერმანია იტალიას ფინალამდე ვერანაირად შეხვდება. და საერთოდ, გერმანიას ფინალამზე გზა ხსნილი აქვს (თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას), რადგან **იოახიმ ლიოვის** გუნდი ფინალამდე იტალიის გარდა, ვერც საფრანგეთს გადაეყრება, ვერც ჰოლანდიას და ვერც ესპანეთს. ვინღა დარჩა გრანდებიდან? მხოლოდ პორტუგალია ან ჩეხეთი. ჯგუფი კი, ალბანეს, როგორც ყოველთვის, ყველაზე იოლი შეხვდათ: სუსტი ავსტრია, საშუალო პოლონეთი და ევრო 2008-ის საიდუმლო ფავორიტი ხორვატია.

ბუნდესგუნდის მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** ამბობს, რომ მასპინძლის სათვალავში არჩაგდება დიდი დანაშაულია, რომ ავსტრიას, როგორც მასპინძელს, სენსაციის მოხდენა შეუძლია. მაგრამ ფიფას რეიტინგი სულ სხვა რამეზე მეტყველებს: ავსტრიელები 91-ე ადგილზე არიან. პოლონეთი გერმანიას მუნდიალზეც ჰყავდა და გეხსომებათ, ბოლო წუთებზე გატანილი გოლით (**ნოვილი**) მოუგო. მრისხანე მეტოქე არც ხორვატიაა, მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდმა ევროპის ჩემპიონატზე ინგლისი არ გაუშვა.

სამაგიეროდ, გერმანელები ძალიან ხალისობენ C ჯგუფზე, სადაც ჰოლანდიამ, იტალიამ და საფრანგეთმა ერთად მოიყარეს თავი და თანაც, მათ მეოთხე მეტოქედ კონკურენტუნარიანი რუმინეთი ჩაუჯდათ. ეს ჯგუფი სიკვდილის ჯგუფად სწორედ გერმანელმა **იურგენ კლინსმანმა** აქცია, სწორედ მან მიუჩინა იტალიას ამ ჯგუფში ადგილი. ჩვენი გერმანელი კოლეგები კლინსის მადლობას უხდიან იმისათვის, რომ მან გერმანიის ჯგუფისთვის ხორვატია ამოიღო და არა იტალია, თანაც, სკუადრა აძურა C ჯგუფის სახით ჯოჯოხეთში გაისტუმრა, უფრო სწორად, იტალიით ჯოჯოხეთი დააკომპლექტა. ჩვენი გერმანელი კოლეგები კი ხუმრობენ, კლინსმანმა იტალიაზე შური იძიაო.

„როცა დავინახე, რომ კლინსმა ჩვენი ჯგუფის დროს ხორვატია ამოიღო, შვებით ამოვისუნთქე. სიმართლე გითხრათ, ჯგუფურ ეტაპზე იტალიასთან თამაში არ მსურდა,“ – ეს ლიოვის სიტყვებია. არადა, გერმანელ ქომაგებს ჯგუფში სწორედ იტალია სურდათ. როგორც ჩანს, გულშემატკივრებს უფრო სჯერად იმის, რომ გერმანიას იტალიის დამარცხება შეუძლია, ვიდრე ბუნდესმწვრთნელს.

კლინსმანი სიცილით: *„ნილისყრის დასრულების შემდეგ ჩემთან დინო ძოფი მოვიდა და მითხრა, ეს რა ჩაიდინე, იურგენ, ეს რა გაგვიკეთეო. ვფიქრობ, კარგი ჯგუფი დავაკომპლექტე.“*

იტალიელთა თავკაცმა **რობერტო დონადონიმ** თქვა, ნილისყრის შედეგებით უკმაყოფილო ვარო; საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი **რაიმონ დომენეკი** ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვამ ისე გააბრაზა, რომ საპრესკონფერენციო დარბაზი ნაადრევად დატოვა; ჰოლანდიელთა მწვრთნელმა **მარკო ვან ბასტენმა** ის გაიხსენა, რომ ჰოლანდია მსოფლიოს ჩემპიონატზეც რთულ ჯგუფში იყო; რუმინელთა დამრიგებელი **ვიქტორ პიცურკა** კი ხუმრობის ხასიათზე იყო – ამბობდა, ამ ჯგუფიდან ფრენით გავალთო...

გოტფრიდ ლენცი

რეალი: მუტუ ან ვუჩინიჩი

„რეალი“ სერია A-ში მოასპარეზე ორი თავდამსხმელით დაინტერესდა. მადრიდელთა ყურადღება **ადრიან მუტუმ** და **მირკო ვუჩინიჩმა** მიიპყრეს. ამ ინფორმაციას ესპანური „მარკა“ ავრცელებს. ფორენციელი და რომაელი ფორვარდები სტაბილურად ასპარეზობენ, მუდმივად იტანენ გოლებს და თავ-თავიანთი გუნდების ლიდერები არიან. „რეალის“ სპორტული დირექტორი **პრედრაგ მიატოვიჩი** აღიარებს, რომ არც „ფიორენტინასა“ და არც „რომას“ ფეხბურთელების გაყიდვა არ სურს, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ცვლის სამეფო კლუბის გეგმებს. მადრიდელები ყველაფერს იღონებენ სასურველი ტრანსფერის გასახორციელებლად. „მარკას“ თუ ვერწუნებით, „რეალს“ უფრო მეტად 24 წლის ჩერნოგორიელი ვუჩინიჩის შეძენა სურს. ესპანურმა გრანდმა რომაელებს შესაბამისი შეტყობინება უკვე გაუგზავნა.

რუსული საჩუქარი ხორვატებს

გერმანულმა გამოცემამ „ჰამბურგერ მორგენ პოსტმა“ საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა. მისი მტკიცებით, რუსმა მილიარდერებმა - **რომან აბრამოვიჩმა** და **ლეონიდ ფედუნმა** ხორვატიის ნაკრებს მეფური საჩუქარი გაუკეთეს. ინგლისის ნაკრების დამარცხებისათვის (3:2) ბალკანელებს 9 მილიონი ევრო მიუთვალეს. მათი წყალობით, რუსეთის ნაკრებმა, რომელსაც იმედი გადაწურული ჰქონდა, ევროპის ჩემპიონატზე გააღწია. ჰამბურგელ მიმომხილველთა მტკიცებით, თითოეულმა ხორვატმა ფეხბურთელმა 250 ათასი ევრო მიიღო, უფრო მეტი, ვიდრე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ გაიღო.

ფერარი რომაში არ დარჩება

მატეო ფერარი რომაელებთან ახალ კონტრაქტზე შეთანხმებას ვერ ახერხებს. ფეხბურთელებს შეთავაზებული პირობები არ აკმაყოფილებს. 27 წლის ფეხბურთელს 1.5 მილიონი ევროს უხდიან. ფერარის იმედი ჰქონდა, რომ ანაზღაურებას 2 მილიონამდე გაუზრდიდნენ. „ჯალოროსიმ“ კი, პირიქით, ჯიბის შეთხელება მოსთხოვა. მატეომ მოლაპარაკებების გაგრძელება ზედმეტად მიიჩნია. ამ ბიჭით მაშინვე დაინტერესდნენ „მილანი“ და „იუვენტუსი“. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია. სეზონის ბოლოს გამოცდილი მცველი თავისუფალი აგენტი გახდება. თუ დაინტერესებული კლუბები ივნისამდე მოითმენენ, მას უკომპენსაციოდ გაუფორმებენ ხელშეკრულებას.

არეულობა ბრემენში

გასულ უქმეებზე გერმანიაში დიდი მატჩი გაიმართა. „ვერდერმა“ „ჰამბურს“ უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 2:1 მოუგო. თამაშის წინ პოლიციასა და სტუმარ გულშემატკივრებს შორის შეტაკებები მოხდა. ასობით ჰამბურგელ ფანს სტადიონზე შესვლა აკრძალული ჰქონდა. ისინი ადრეც ხულიგნობაში იყვნენ შემჩნეულნი. მათი დაკავების მცდელობას ჩხუბი და გაწევ-გამოწევა მოჰყვა. ერთი პოლიციელი, რომელსაც თავში ბოთლი უთავაზეს, საამდყოფოში მოთავსეს. სამართალდამცველებმა წესრიგი სწრაფად აღადგინეს. მათ ასამდე სტუმარი ქომაგი დააპატიმრეს. ზოგიერთმა ხულიგანმა სტადიონზე მაინც შეაღწია, თუმცა ისინი ქუჩაში გამოსვლისთანავე აიყვანეს. „ვეზერშტადიონის“ სიახლოვეს მეტოქე გულშემატკივართა ჩხუბის რამდენიმე კერაც დაფიქსირდა.

ტოტენჰემიც რუსების ხელში?

„დეილი მირორის“ საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს. პოპულარული ინგლისური ტაბლოიდი „ტოტენჰემის“ გაყიდვას ვარაუდობს. მის მომავალ მფლობელად კი რუს ოლიგარქ **ვაგიტ ალეკპეროვს** მოიაზრებს. ალეკპეროვი სანავთობო კომპანია „ლუკოილის“ პრეზიდენტია. ჟურნალი „ფორბსი“ მის ქონებას 8 მილიარდ გირვანქად აფასებს. ლონდონური კლუბი სულ რაღაც 400 მილიონი გირვანქა ღირს. ეს თანხა 57 წლის მილიარდერისათვის სავსებით ხელმისაწვდომია.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პრემიერლიგაში უცხოელი ინვესტორების გააქტიურება შეინიშნება. შესამჩნევად აქტიურობენ რუსები. 2003 წელს **რომან აბრამოვიჩმა** „ჩელსი“ შეიძინა. 2007 წელს **ალიშერ უსმანოვმა** „არსენალის“ აქციების 24 პროცენტს მოუყარა თავი და მთელი კლუბის დაუფლებაზე აცხადებს პრეტენზიას. ახლი „ტოტენჰემს“ გამოუჩნდა რუსი მყიდველი. მიაქციეთ ყურადღება: რუსი ოლიგარქები მხოლოდ ლონდონურ კლუბებს ყიდულობენ. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით არც „ტოტენჰემს“ და არც „ლუკოილის“ წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. 15 ტურის შემეგ მამლებს 12 ქულა აქვთ და ცხრილში მე-16 ადგილი უკავიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტეფან ეფენბერგის სვეტი

ჩახედეთ გენერალს თვალებში...

მათეუსი გაიერნში? გამორიცხულია!

ვფიქრობ, „ბაიერნის“ ფეხბურთელები ძალიან სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ იმ ფაქტზე, რომ თუნდაც ერთი დღით დაკარგეს ლიდერობა – შაბათიდან კვირის საღამომდე, ბუნდესლიგას სათავეში ბრემენის „ვერდერი“ ედგა და ეს არ არის შემთხვევითობა. მართალია, მიუნხენელებმა კვირას სტატუს კვო აღადგინეს, მაგრამ ფაქტია, რომ ლიდერობის ერთი დღით დაკარგვამ ისინი ძალიან აანერვიულა და არცთუ უსაფუძვლოდ. ფაქტია ისიც, რომ არასდროს არ არის სასიამოვნო, როცა ვინმე თუნდაც ერთი დღით გაჯობებს და გაგისწრებს. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მას მერე, რაც რეკორდმაისტერმა მიმდინარე სეზონში ძალიან კარგი სტარტი აიღო, ვერავის წარმოედგინა ის, რომ ეს გუნდი ლიდერობას თუნდაც ერთი დღით დაკარგავდა.

რა მოხდა და რატომ მოხდა ის, რაც მოხდა? ბოლო დროს და განსაკუთრებით გასულ კვირაში, „ბაიერნის“ თამაშს ვნება დააკლდა და ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ბავარიელებს დააკლდათ დომინანტურობა და აღარ ეტყობოდათ წინსწრაფვის სურვილი, რაც ჩემი აზრით, საგანგაშოა. ასეთ დროს მოწოდების სიმაღლეზე ყოველთვის **ოლივერ კანი** დგას ხოლმე – ოლი ყოველთვის პირველია, ვინც მაგიდაზე მუშტს დაარყამს და სიმართლეს იტყვის. შესაბამისად, მე მას მხოლოდ ვეთანხმები იმაში, რომ თანაგუნდელები მაგრად გააკრიტიკა. კანი აბსოლუტურად მართალია: „ბაიერნი“ მხოლოდ **მიროსლავ კლოზეზე, ლუკა ტონიზე** და **ფრანკ რიბერიზე** დამოკიდებული არ უნდა იყოს. როცა გუნდის წარმატება მხოლოდ სამ მოთამაშეზეა დამოკიდებული, ასეთი გუნდი ყველა მატჩს კი არა, მატჩების უმრავლესობასაც ვერ მოიგებს. არა, ასეთი განწყობა და მიდგომა არასდროს ფუნქციონირებდა და გამონაკლისს არც ამჯერად ექნება ადგილი.

მიუხედავად ამისა, ჩემთვის დღემდე მისაღები და გასაგებია ის ფაქტი, რომ „ბაიერნმა“ ამ სამ მოთამაშეში ამდენი ფული გადაიხადა. მაგრამ გუნდის ხელმძღვანელებმა უფრო აქტიურად უნდა იზრუნონ სხვა პოზიციების გასაძლიერებლადაც, განსაკუთრებით კი დაცვის ხაზისა, სადაც ყველაფერი რიგზე ნამდვილად არ არის. სწორედ დაცვაში დავინახე ის დეფიციტები, რის გამოც „ბაიერნმა“ თუნდაც ერთი დღით ლიდერობა დაკარგა. სწორედ აქ გამოჩნდა, რომ **ოტმარ ჰიტცფელდს** ყველაფერი გაცილებით მარტივად წარმოედგინა. შეხედეთ ოტმარს და დაინახავთ, რომ სიმართლეს ვამბობ – მას ეს ყველაფერი სახეზე ეტყობა. სეზონის დასაწყისში ჰიტცფელდი ყოველთვის ძალიან კარგ ხასიათზე იყო, ეტყობოდა, რომ განტვირთული გახლდათ, რადგან სათადარიგოთა სკამზე **ული ჰაინესს** ძალიან ხშირად ეხუმრებოდა. მაგრამ პირველი წრის მიწურულს „გენერლის“ ეს სიმსუბუქე წარსულს ჩაბარდა. ეს ყველაფერი კი, ანუ, მისი გუნდის ბოლოდროინდელი თამაში და შედეგები ყველაზე ნათლად ოტმარის სახეზე აისახება - ჰიტცფელდი მუდმივად დაძაბულია.

მინდა გითხრათ, რომ ჰიტცფელდი ყოველთვის ასე იყო. პირადად მე სულაც არ მჭირდება იმის დანახვა ან გადამწმება, თუ როგორ ითამაშა „ბაიერნმა“ და რა შედგი აჩვენა ბუნდესლიგასა თუ ევროსარბიელზე, საკმარისია, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ოტმარის სახე დავინახო, რომ მაშინვე მივხვდები, როგორ ითამაშა გუნდმა და არის თუ არა მწვრთნელი კმაყოფილი. მიუხედავად ამისა, მე მაინც ვფიქრობ, რომ „ბაიერნი“ ამ წნეხს გაუძლებს - ჰიტცფელდთან ერთად ჩვენ უარესებისთვის გაგვიძლია.

გასულ კვირაში იყო სპეკულაციები **ლოთარ მათეუსთან** დაკავშირებით. კვირის დასაწყისში ჰიონესმა მათეუსზე, როგორც „ბაიერნის“ მომავალ მწვრთნელზე ისაუბრა და სიმართლე გითხრათ, როცა მისი განცხადება მოვისმინე, ისტერიული, უფრო სწორად, ირონიული სიცილი ამივარდა. არ ვიცი, ვინ დაიჯერა და ვინ არა, მაგრამ პირადად მე მის ამ განცხადებას სერიოზულად ვერ მივიღებ. მათეუსი „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელის რანგში? დიდი ბოდიში, მაგრამ დღესდღეობით ეს ჩემთვის წარმოუდგენელია. წარსულში ძალიან ბევრი რამ მოხდა და მე მაქვს იმის საბაბი, რომ რაღაც ვამტკიცო, ჰოდა, გეუბნებით, რომ დღესდღეობით და უახლოეს მომავალში მათეუსი რეკორდმაისტერის დამრიგებლად ვერ წარმომიდგენია.

იმისათვის, რომ ლოთარი ოდესმე „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი გახდეს, მას უნდა ჰქონდეს მინიმუმ ათწლიანი სამწვრთნელო გამოცდილება, თანაც, რომელიმე გუნდში რამდენიმე წარმატებული წელი მაინც უნდა ჰქონდეს გატარებული. ჰო, გერმანიის ნაკრებში ერთ დროს გამოუცდელი **იურგენ კლინსმანი** დანიშნეს, რამაც 90 პროცენტით გაამართლა და საერთოდ, ბოლო დროს ფეხბურთში გამოუცდელი მწვრთნელების დიდ პოსტებზე დანიშვნის ტენდენცია წამოვიდა (**კლინსმანი, დონადონი, ვან ბასტენი**...), მაგრამ „ბაიერნში“ ასეთი რამ გამორიცხულია - ჰიონესი, **კარლ-ჰაინც რუმენიგე** და **ფრანც ბეკენბაუერი** ასეთ ფაქტს არ დაუშვებენ. მათ მხოლოდ გამოცდილი და წარმატებული მწვრთნელები უნდათ. მათეუსის ბიოგრაფია კი, მწვრთნელის რანგში დღემდე არც ისე გრძელი და პირდაპირ ვთქვათ, წარუმატებელია.

ესეც არ იყოს, ჩემთვის ყოველთვის პრობლემატურია ის, რომ მწვრთნელი თვითონ ითხოვს რომელიმე პოსტზე დანიშვნას და აშკარად მიილტვის იმისკენ, რომ ესა თუ ის გუნდი ჩაიბაროს. არ მომწონს, როცა ესა თუ ის მწვრთნელი განგებ ჯდება ტრიბუნაზე მაშინ, როცა რომელიმე გუნდის თავკაცი ზეწოლის ქვეშაა. ასეთი მენტალიტეტი ჩემთვის მიუღებელია. მიუხედავად დიდი პატივისცემისა, უნდა ვთქვა, რომ მათეუსი სწორედ ასე იქცევა. ის დღენიადაგ ჯიუტად იმეორებს, რომ მზადაა, „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი გახდეს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პრესამ ამაზე წეროს. ლოთარი და „ბაიერნი“ დღესდღეობით განსხვავებული ცნებებია.

შტეფან ეფენბერგი, BILD



რა აწერია ჰიტცფელდს სახეზე?

კანი: მათეუსი ყოველთვის საინტერესოა!

მართალია, შტეფან ეფენბერს ლოთარი „ბაიერნის“ თავკაცად დღესდღეობით ვერ წარმოუდგენია, მაგრამ სპეკულაციები მაინც გრძელდება. ამასობაში, გერმანულ პრესაში ოლივერ კანის მოსაზრება გამოქვეყნდა და ფაქტია, რომ კანს და ეფეს ამ მხრივ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. აი, რა თქვა ოლიმ „შპორტ აინსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში: „*ლოთარი ის კაცია, ვინც თავისი შესანიშნავი კარიერის მანძილზე უდიდესი გამოცდილება მიიღო. ეს არის კაცი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 150 მატჩი აქვს ჩატარებული, რომელმაც ფეხბურთში ყველაფერი გამოსცადა და ყველაფერი ნახა. თანაც, უკვე რამდენიმე სამწვრთნელო საფეხური გაიარა. ცხადია, მათეუსი ყოველთვის და ყველასათვის საინტერესო პერსონაა, მათ შორის, ჩვენთვისაც.*“

...და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჰიონესის შემდეგ „ბაიერნის“ მენეჯერი სწორედ კანი უნდა გახდეს...

მოსალოდნელი ტრანსფერი

რა ხდება, სიმონ?

მაგათმა იენტცში გაწირა და ლემანი მონიშნა

დიდი შანსია, რომ ზამთარში გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე, 38 წლის **იენს ლემანი** ბუნდესლიგაში დაბრუნდეს. გერმანული ურნალ-გაზეთები გუშინ ერთხმად იუწყებოდნენ, რომ ვეტერანი გოლკიპერი „ვოლფსბურგის“ სამიზნეშია და რომ „მგლების“ თავკაცი **ფელიქს მაგათი** ლემანზე ძალიან სერიოზულად ფიქრობს. საქმე იმაშია, რომ მაგათმა შაბათს, „აინტრახტთან“ მატჩის დროს, რომელიც ფრედ 2:2 დასრულდა, პირველი ტაიმის შემდეგ ძირითადი მეკარე **სიმონ იენტცში** სათადარიგო **ანდრე ლენცით** შეცვალა. არადა, იენტცშს ტრავმა არ მიუღია! მიზეზი ის გახლავთ, რომ „დესპოტ ფელიქსს“ იენტცშის შეცდომები ყელში ამოუვიდა. ეს უკანასკნელი მიმდინარე სეზონში ძალიან ხშირად ცდება და როცა „აინტრახტთანაც“ ისეთი შეცდომა დაუშვა, რომელიც „ვოლფებს“ გაშვებული გოლის ფასად დაუჯდათ, მაგათმა ველარ მოითმინა და მეკარე შესვენებაზე შეცვალა.

„აქამდე სიმონს ყოველთვის ვიცავდი, რადგან იმედი მქონდა, რომ გამოსწორდებოდა და სტაბილურობას დაიბრუნებდა. მაგრამ ასე არ მოხდა და მეც იძულებული გავხდი, ისე მოვქცეულიყავი, როგორც მოვიქეცი. ახლა ამ გზით შევეცდები, რომ დავეხმარო. ერთიც ვნახოთ, რა და როგორ იქნება ზამთრამდე. იენტცშსა და ლენცს შორის ჯანსაღი კონკურენცია იქნება. ჯერ-ჯერობით, ლენცს სიმონზე წინ ვაყენებ,“ – აცხადებს მაგათი.

„კიკერისა“ და „ბილდის“ ცნობით, „ვოლფსბურგის“ ხელმძღვანელები ლემანზე ფიქრობენ და კითხვაზე, დაურეკავს თუ არა იენსს ლონდონში, „დესპოტი ფელიქსი“ ასე პასუხობს: *„გამორიცხული არაფერია.“*

ლემანი „ვოლფსბურგში“? ეს ტრანსფერი არა მხოლოდ „მგლებს“, არამედ თვითონ ვეტერან მეკარეს და რაც მთავარია, გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვსაც** მაგრად გაახარებს. როგორც იცით, დიდი ხანია, რაც იენსი „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება და მხოლოდ და მხოლოდ რეზერვისტის სტატუსი აქვს. ევროპის ჩემპიონატისთვის კი, ბუნდესგუნდს ისეთი მეკარე სჭირდება, რომელსაც სათამაშო პრაქტიკა ექნება.

„არაფრისდიდებით არ დავნებდები, ბოლომდე ვიბრძოლებ და მჯერა, რომ ჩემს ადგილს დავიბრუნებ,“ – ეს იენტცშის სიტყვებია, რომელსაც „ვოლფსბურგთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს. თუმცა ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ვოლფსბურგის“ შეფები მის გაყიდვაზე ფიქრობენ.

საინტერესოა, ბოლოს როდის მოხდა ბუნდესლიგაში ისეთი შემთხვევა, როცა რომელიმე კლუბმა მეკარე შესვენებაზე შეცვალა და ამის მიზეზი კიპერის ტრავმა არ იყო? ეს 14 წლის წინათ მოხდა. მაშინ „ლევერკუზენისა“ და „შალკეს“ (5:1) მატჩის მეორე ტაიმი მიმდინარეობდა, როცა ის მეკარე მატარებელში ჩაჯდა და შინ გაემგზავრა. სახელი და გვარი გაინტერესებთ? იენს ლემანი...

გოტფრიდ ლენცი

სიმონ იენტცშის ადგილს იენს ლემანი დაიკავებსო...

ანდრეი შევჩენკოს ლონდონური კარიერა დასასრულს მიუახლოვდაო

ჩელსი. მოსალოდნელი ტრანსფერები

შევჩენკო 17 მილიონად

უკრაინელს ინტერი და იუვენტუსი ეჰატიჟებიანო, ლონდონელები ვალენსიასაც დაუკავშირდნენ

„ნიუს ოფ ზე უორლდის“ ცნობით, **ანდრეი შევჩენკო** „ჩელსის“ 17 მილიონ გირვანქად დატოვებს. ინგლისური ტაბლოიდი თავდამსხმელის იტალიაში დაბრუნებას ვარაუდობს. 31 წლის უკრაინელ ვარსკვლავზე პრეტენზიას აცხადებს „ინტერი“. დაინტერესებულია „იუვენტუსიც“. ქალბატონს იანვარში თავდამსხმელის შეძენა უნდა. მიმომხილველთა ერთი ნაწილი შევჩენკოს ლონდონურ კრიზისს **ჟოზე მოურინიოს** აბრალებდა. მოურინიოს ნასვლის შემდეგ არაფერი შეცვლილა. ფეხბურთელს არც **ავრაამ გრანტი** ენდობა. შევას ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებენ. „ნიუს ოფ ზე უორლდში“ ვკითხულობთ, გრანტმა **რომან აბრამოვიჩს** შევჩენკოს გაყიდვა მოსთხოვა და თანხმობა მიიღო.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია „არისტოკრატების“ ბანაკიდან. „დეილი მირორის“ ცნობით, „ჩელსიმ“ „ვალენსიასთან“ მოლაპარაკებები წამოიწყო. ლონდონელებს პორტუგალიის ნაკრების 27 წლის მცველი **მიგელი** სურთ. ის 7 მილიონი ევრო ღირს. მიგელს მისივე თანამემამულის, **პაულო ფერეირას** შემცვლელად მოიაზრებენ. ეს უკანასკნელი დროის უმეტეს ნაწილს თადარიგში ატარებს. იანვრის ტრანსფერებისას ფერეირა იტალიაში გადასვლას გეგმავს. მისი შეძენა ვალენსიელებსაც სურთ. მიგელი და ფერეირა, შეიძლება, ერთმანეთში გაცვალონ. ამ საქმეს ცნობილმა პორტუგალიელმა აგენტმა **პაულო ბარბოსამ** მოჰკიდა ხელი. ის ღამურების სპრტულ დირექტორ **მიგელ ანხელ რუისს** შეეხმიანა.

იმასაც გეტყვით, რომ „ჩელსის“ კიდევ ერთი სამიზნეა „გრენობლისა“ და საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **სოფიან ფეგული**. ის 17 წლისაა. ფეგულის „ლივერპულმა“ და „აიაქსმაც“ დაადგეს თვალი. ის კი უცხოეთში წასვლას არ ჩქარობს.

იუვენტუსი. ტრანსფერები

რანიერის შუა ხაზში გაუჭირდა

„იუვენტუსის“ თავკაც **კლაუდიო რანიერის** ნახევარდაცვის გაძლიერება სურს. მას ამ რგოლში უნივერსალური ფეხბურთელი სჭირდება. „ტუტოსპორტის“ ცნობით, რანიერი **დიეგოთი** და **რაფაელ ვან დერ ვაარტით** დაინტერესდა. ბრაზილიელი და ჰოლანდიელი ვარსკვლავები ბუნდესლიგაში თამაშობენ. მოგეხსენებათ, ისინი „ვერდერისა“ და „ჰამბურის“ წევრები არიან. დიეგოს უთვალავი მსურველი ჰყავს. მისი შეძენა უკლებლივ ყველა ევროპულ გრანდს სურს. მსურველები არც ვან დერ ვაარტს აკლია, მაგრამ მასზე კონკურენცია ნაკლებია. „იუვეს“ სკაუტები „ვერდერი“-„ჰამბურგის“ ბოლო ტურის მატჩს დაესწრნენ. ვან დერ ვაარტმა ეფექტური გოლი გაიტანა. მუსიკოსებმა ორი გოლით უპასუხეს და გაიმარჯვეს კიდეც (2:1).

დავიდ ტრეზეგემ გადაწყვიტა, წერტილი დაუსვას სპეკულაციებს „იუვედან“ მოსალოდნელი აბარგების შესახებ. „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, თავდამსხმელი კარიერის დასრულებას ტურინში აპირებს. ის საუცხოო ფორმაშია. ტრეზეგემ უკვე 11 გოლი მიითვალა. დავიდი ამბობს, ასეთ დონეზე არასოდეს მითამაშიაო. 30 წლის ვარსკვლავი „იუვენტუსში“ 2000 წლის ზაფხულში ჩაირიცხა: გასულ ივნისს მან კონტრაქტი 2011 წლამდე გააგრძელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთის ნაკრები

არაგონესი უკან იხევს

თუ რაული კარგ ფორმაში იქნება, ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებსო...

ლუის არაგონესი უკანდახევას არ აპირებს

რაულისა და **ლუის არაგონესის** დაპირისპირება ყბადაღებულ თემად იქცა. ესპანური ფეხბურთის გულშემატკივრებს შესანიშნავად მოეხსენებათ, რომ „სელექციონის" მთავარმა მწვრთნელმა გონსალეს ბლანკო ნაკრებიდან მოკვეთა. მის ამ გადაწყვეტილებას ძალიან დიდი ხმაური მოყვა. პრესა მხცოვან სპეციალისტს ღიად დაუპირისპირდა. ყველაზე აქტიურად „დიარიო მარკა" ირჯებოდა. მადრიდული გამოცემა ღია პროპაგანდას ეწეოდა, რომელსაც ერთადერთი მიზანი ქონდა, არაგონესის გათავისუფლება. ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციამ ამ დაძაბულობას გაუძლო და მწვრთნელი არ გაუშვა. სენიორ ლუისი კი თავისას არ იშლიდა და რაულს ისევ არ იძახებდა. ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ესპანეთის ნაკრებმა „რეალის" კაპიტნის გარეშე დაასრულა. აღსანიშნავია, რომ ყოველი საკვალიფიკაციო მატჩის წინ გულშემატკივრები „სელექციონის" მწვრთნელს რაულის დაბრუნებას თხოვდნენ, მაგრამ მოხუცი კაცი პოზიციებს არ ცვლიდა.

გუშინ სრულიად მოულოდნელად სენსაციური ინფორმაცია გავრცელდა. არაგონესმა „დიარიო მარკას" კორესპონდენტს ასეთი რამ განუცხადა: „რატომღაც რაულის დაუძინებელ მტრად შემრაცხეს. ეს მტკნარი სიცრუეა. მათთან დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს და აუგად არასოდეს მოვმყრობივარ. უბრალოდ, გარკვეული დროის განმავლობაში მიმაჩნდა, რომ ეროვნულ გუნდს სხვა ფეხბურთელები უფრო მეტად გამოადგებოდნენ. კონტინენტის პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დავძლიეთ. მრავალი სირთულის მიუხედავად, პირველი ადგილი დავისაკუთრეთ. ამით ერთი დიდი ეტაპი დასრულდა. ახლა კი ჩვენს წინაშე ახალი ამოცანებია. ავსტრიასა და შვეიცარიაში უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობად უნდა ვიბრძოლოთ. თუ იმ დროისთვის რაული კარგ ფორმაში იქნება, რა თქმა უნდა, მას განაცხადში შევიყვან. საკუთარი თავის მტერი არ ვარ, რომ ეროვნული გუნდიდან საუკეთესო ფეხბურთელები მოვკვეთო. მოკლედ, ყველაფერი „რეალის" კაპიტანზე იქნება დამოკიდებული. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მსურს, გონსალეს ბლანკო ჩემი გუნდის წევრი გახდეს."

მართლაც რომ გასაკვირია. სულ რაღაც ერთი თვის წინ არაგონესი რაულზე გადაჭარბებული ირონიითა და ცინიზმით საუბრობდა. როცა „ანტენა 3"-ის ჟურნალისტმა „სელექციონის" თავკაცს ყელში ამოუყვანა, გონსალეს ბლანკომ რა დაგიშავაო, რესპოდენტისგან ასეთი პასუხი მიიღო: „რას გადამეკიდეთ და თქვენი თავი რა გგონიათ?! ჟურნალისტები ყელში ამოხვედით. ჩხუბობთ, მაგრამ არც კი იცით, რისი გულისთვის. ერთი მითხარით, რამდენი მუნდიალი და ევროპის ჩემპიონატი მოუგია რაულს? შემიძლია თავადვე გიპასუხოთ - არცერთი."

ასეთი უკმეხი გამოხდომის შემდეგ, ალბათ, ერთი ადამიანიც ვერ იფიქრებდა, რომ არაგონესი ფირფიტას გადაატრიალებდა და სამეფო კლუბის ვარსკვლავის შესახებ ასეთი მოწიწებით ისაუბრებდა. პრესკონფერენციის მიწურულს ჟურნალისტებმა მას სამომავლო გეგმებზეც კითხეს: „ნაკრებიდან ერთადერთი მიზეზის გამო არ წავედი. მსურს, მთელს მსოფლიოზე რევანში ავიღო, ყველა იმ ადამიანს, ვინც გერმანიის მუნდიალის შემდეგ თავს დამესხა და არაკვალიფიციურობაში დამდო ბრალი, ჩემს შესაძლებლობებს დავუმტკიცებ. საამისოდ ისეთი დიდი ასპარეზი მჭირდება, როგორიც ევროპის პირველობაა. კრიტიკას მტკივნეულად არასოდეს ვიღებდი. ერთადერთი, რაც ნერვებს მიშლის და წონასწორობას მაკარგვინებს, შეურაცხყოფაა. შვილიშვილისტოლა ჟურნალისტები გამოვლენ და ისეთ რაღაცას მოგახლიან პირში, ჭკუიდან გადაგიყვანენ. რამდენჯერმე ინფარქტის წინაშე ვიყავი, მაგრამ იმ ადამიანთა კატეგორიას არ გავნეკუთვნები, რომლებიც ფარ-ხმალს ბრძოლის დასრულებამდე ყრიან. საკუთარი ჯანმრთელობის ფასადაც რომ დამიჯდეს, ავსტრიისა და შვეიცარიის მოედნებზე უმონყალო ბრძოლებს გავმართავთ. მჯერა, შინ ძალიან ბედნიერები დავბრუნდებით."

ფერნანდო იერო

ინტერვიუ ფერნანდო იეროსთან

ჩვენი ნაკრები ახალ ისტორიას შექმნის

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ახალი სპორტული დირექტორი მეოთხედფინალური კომპლექსის მოხსნას წინასწარმეტყველებს

18-წლიანი ბრწყინვალე კარიერის შემდეგ, 2005 წელს ფერნანდო იერომ ფეხბურთის თამაშს თავი დაანება. ყველანაირად დისციპლინირებული და სამაგალითო მოთამაშეს ფეხბურთთან კავშირი არ გაუწყვეტია და ცოტა ხნის წინ, მან ახალი გამოწვევა მიიღო - „რეალის" ყოფილმა კაპიტანმა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სპორტული დირექტორის პოსტი დაიკავა.

იერო ესპანეთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. მან მსოფლიო ოთხ (1990, 1994, 1998, 2002) და ევროპის ორ (1996, 2000) ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. გარდა ამისა, „რეალთან" ერთად ხუთჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, სამჯერ ჩემპიონთა ლიგა და ორჯერ საკინტინენტთაშორისო თასი.

თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში, იერო ეროვნულ ნაკრებში თავის მემკვიდრეებზე საუბრობს, რომლებმაც ევროპის საგაისო ჩემპიონატში თამაშის უფლება მოიპოვეს. გარდა ამისა, ფერნანდომ საკუთარ საფეხბურთო კარიერასაც გადაავლო თვალი.

- ფერნანდო, მოგვიყევით თქვენი ახალი თანამდებობის შესახებ?

- მე ტიპიური სპორტული დირექტორი არ ვარ, რადგან ჩემს ვალდებულებებში არ შედის ფეხბურთელებთან კონტრაქტების გაფორმება. მოთამაშეებს, რა თქმა უნდა, მწვრთნელი ირჩევს. ეს ახალი გამოწვევა ძალიან ამაღელვებელია ჩემთვის. ის ჩემი მხრიდან მთლიანად ფეხბურთში ჩართვას მოითხოვს.

- თქვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იქნება, ინიაკი საესისთვის შემცვლელის მოძებნა. ეს სპეციალისტი მომავალ წელს, ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრების დატოვებას აპირებს. როგორია ამ მხრივ თქვენი გეგმები?

- ეს მართლაც უდიდესი პასუხისმგებლობაა და ამ პრობლემაზე ბევრი ფიქრი მომიწევს. რაც არ უნდა იყოს, სწორედ საესის სახელს უკავშირდება ამ გუნდის ყველაზე დიდი წარმატებები. მაგრამ ჩვენ შევეცდებით უკვე ჩამოყალიბებული ტრადიციების შენარჩუნებას, რადგან ამას მუდმივად წარმატებები მოჰქონდა.

- ესპანეთის ნაკრებმა ევრო 2008-ის საგზური მოიპოვა, თუმცა შესარჩევ ეტაპზე არცთუ ისე დამაჯერებელი თამაში აჩვენა. თავად როგორ შეაფასებდით ეროვნული გუნდის გამოსვლას?

- ერთადერთი, რაც მაღელვებს არის ის, რომ გულშემატკივრებს მოთმინება ღალატობთ. თუმცა დანიის ნაკრებთან პრინციპული გასვლითი მატჩის მოგების შემდეგ, ატმოსფერო უფრო მშვიდი გახდა. ის შეხვედრა გადამწყვეტი მომენტი აღმოჩნდა გუნდისთვის და ახლა უკვე ყველა ოპტიმისტურად არის განწყობილი. შესარჩევ ციკლში ყველას აქვს ჩავარდნები - ამაში გასაკვირი არაფერია.

- როგორ ფიქრობთ, რამდენად დიდ გავლენას ახდენს მთელი ნაკრების მუშაობაზე პრესის მხრიდან ზეწოლა?

- ისევ დანიის ნაკრებთან მატჩს გავიხსენებ. იმ შეხვედრით ესპანეთის ნაკრებმა ყველას დაანახა, თუ როგორ უნდა ებრძოლო და პასუხი გასცე ნებისმიერ ზეწოლას. მატჩისწინა ერთი კვირა ძალიან დაძაბული იყო, მაგრამ გუნდმა სიმშვიდე შეინარჩუნა და ურთულეს მეტოქესთან სტუმრად ძალიან კარგად ითამაშა. მათ შეძლეს გამკლავებოდნენ ზეწოლას და იმ მატჩში თანამედროვე ფეხბურთის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდნენ. ჩვენი გუნდის ფეხბურთელთა უმრავლესობა ჯერ ახალგაზრდები არიან, მაგრამ უკვე თამაშობენ უმაღლეს დონეზე. ამიტომაც აღარ მიკვირს, რომ ისინი ყველანაირ ურთულეს დავალებებს უმკლავდებიან.

- სავარაუდოდ, ესპანეთის ნაკრებს ძალიან ნაადგება მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატის მოგება. ბოლოსდაბოლოს, როდის უნდა მოიხსნას ამ გუნდმა მეოთხედფინალის კომპლექსი?

- როცა ამ ზღვარს გადავლახავთ, მოვიხსნით კიდეც იმ ფსიქოლოგიურ ბარიერს, რაც ასე მტკიცედ არის ჩაბეჭდილი ჩვენს გონებაში. ჩვენ ერთმანეთის მიყოლებით ვაგებდით მეოთხედფინალურ ეტაპს იმის გამო, რომ დროდადრო პესიმისტურად ვუყურებდით ყველაფერს, არადა, საკმაოდ რთული ჯგუფებიდან ვახერხებდით პლეიოფში გასვლას. თუ ჩვენ ამ ფსიქოლოგიურ ზღვარს გადავლახავთ, უფრო დამშვიდებული ვიქნებით და მომავალსაც უფრო მეტად ოპტიმისტურად შევხედავთ. თუ ჩვენ ამის გაკეთებას ევრო 2008-ზე შევძლებთ, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაფერი უფრო მარტივად იქნება. ახლა სწორედ ეს მიზანი დგას გუნდის წინაშე. როგორც ყოფილ ფეხბურთელს, მე მართლაც დიდი იმედი მაქვს, ახალგაზრდა მოთამაშეები შეძლებენ ამას და დაივიწყებენ ისეთ ფეხბურთელებს, როგორიც მე ვიყავი, რომელსაც არაფრისთვის მიუღწევია (იცინის). ამ შემთხვევაში, ესპანეთის ნაკრებზე ზეწოლა შემცირდება და ჩვენ აღარ გვინოდებენ „არშემდგარი იმედების ნაკრებს".

- მაგრამ ჯერჯერობით, ეს საკითხი კვლავაც აქტუალურია. მსოფლიო დონის ფეხბურთელებისა და ახალგაზრდული ნაკრების მუდმივი წარმატებების მიუხედავად, რატომ არის ქვეყნის მთავარი ნაკრები მუდმივად მარცხისთვის განწირული?

- ამაზე ნაწილობრივ უკვე ვისაუბრე, მაგრამ ზუსტი პასუხი არც მე არ ვიცი. ჩვენი ფეხბურთელები ტექნიკურად კარგად არიან მზად, კლუბებს ევროპაში და მსოფლიოში წამყვანი პოზიციები უკავიათ. შესანიშნავი ახალგაზრდები გვყავს, რომლებიც მალე ვარსკვლავებად ჩამოყალიბდებიან. ვფიქრობ, ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური ბარიერია. როცა მას გადავლახავთ, წარუმატებელ წარსულსაც დავივიწყებთ და ახალი ისტორიის შექმნას დავიწყებთ.

- დიდ ფეხბურთში დებიუტი 1987 წელს გქონდათ, თამაში კი, 2005-ში დაასრულეთ. ხანგრძლივი კარიერის რომელი მომენტები იყო თქვენთვის ყველაზე სასიამოვნო?

- ნაკრების მაისურა 89-ჯერ რომ მოვირგე, აგრეთვე მადრიდის „რეალს" სხვებთან ერთად მეშვიდედ რომ მოვაპოვებინე ჩემპიონთა თასი. ეს არის ჩემი კარიერის ყველაზე ბედნიერი მომენტები.

- ყველაზე ნაღვლიანი?

- ის დღე, როცა ნაკრები დავტოვე, როცა „რეალიდან" წავედი და ბოლოს, როცა ფეხბურთის თამაშს თავი დავანებე. დიდ ფეხბურთში 18 წელი გავატარე და ძალიან ვწუხდი იმის გამო, თუ რა მელოდა წინ. მაგრამ ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი, როცა ფეხბურთი იმაზე ადრე დავტოვე, სანამ თავად ფეხბურთმა დამტოვა მე. იმ სასიამოვნო განცდით წავედი, რომ ფეხბურთს ჩემი ცხოვრების ნაწილი მივეცი და ამ საქმით ბოლო წამამდე სიამოვნებას ვიღებდი.

- რაიმეს გამო სინანულის გრძნობა დაგრჩათ?

- რა თქმა უნდა. მე ხომ ნაკრებთან ერთად არაფერი მომიგია?!

- ყველაზე მეტად, რომელი ფორვარდის წინააღმდეგ არ გიყვარდათ თამაში?

- ფორვარდების თამაშისგან სიამოვნებას ვიღებდი, მაგრამ თუ შენ მცველი ხარ, მატჩის დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გქონდეს შიშის გრძნობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ იცი რა უნდა მოიმოქმედო მეტოქის წინააღმდეგ. როცა „რეალისა" და ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში თამაშობ, ვარჯიშებზე მუდმივად საუკეთესო ფორვარდების წინააღმდეგ გიწევს მოქმედება. ამიტომაც, გამოცდილების დაგროვება პრობლემას არ შეადგენდა.

- კონკრეტული ფეხბურთელები მაინც არ დაასახელეთ...

- პრობლემის შექმნა ნებისმიერ ფეხბურთელს შეეძლო. მაგრამ, მე მართლაც ფანტასტიკურ ფეხბურთელებთან მიწევდა თამაში. რაც არ უნდა იყოს, რვა წელი ვითმენდი რაულს (იცინის). ამას შემდეგ რონალდოც დაემატა.

- შეგიძლიათ ოდესღაც საკუთარი თავი მწვრთნელად წარმოიდგინოთ?

- არა. საფეხბურთო მწვრთნელის კურსებს გავდივარ, მაგრამ არა იმიტომ, რომ მინდა ამ პროფესიას გავყვე. უბრალოდ, ჩემი სურვილია უფრო მეტი გავიგო ამ სამუშაოს შესახებ. საიდუმლოს გაგიმხელთ და გეტყვით, რომ თავის დროზე, ახალგაზრდების გაწვრთნის სურვილი მქონდა.

- როგორ ფიქრობთ, ფეხბურთში კიდევ არსებობს ისეთი რამ, რამაც შეიძლება სიამოვნება მოგანიჭოთ?

- ყველაფერი, რაც გამაჩნია ფეხბურთმა მომცა და ის ჩემთან ვალში აღარ არის. ჩემი ცხოვრება, ჩემი ოჯახი - ის ასეთი სწორედ ფეხბურთის წყალობით არის. ისღა დამრჩენია, მადლობა გადავუხადო მას იმისთვის, რაც მე და ჩემს საყვარელ ადამიანებს ბედნიერება მიანიჭა.

გიორგი თვალია

ქედრაჟი

გაიცანით.მსოფლიო ჩემპიონი ქეთი წაწალაშვილი

მადლობა კუბრას, ბებიას და ჩოხოსან ბიჭებს...

ქეთი წაწალაშვილი

ნიკოლოზ ჭანტურია და მამუკა ანთაძე ქეთის დაჯილდოებაზე

ერთი კვირის წინ დასრულებულ ასაკობრივ მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველებმა სამი მედალი მოიპოვეს: ორი ოქრო და ერთი ვერცხლი. სამივე გოგონების ანგარიშზეა - 14 წლამდელებში ნაზი პაიკიძემ იპირველა, 16 წლიანებში კი - ქეთი წაწალაშვილმა, მერი არაბიძემ კი ვერცხლი 14 წლიანებში ირგუნა. ავტობუსით ორდღიანი დამქანცველი მგზავრობის შემდეგ ქართულმა დელეგაციამ მშვიდობით ჩამოაღწია დედაქალაქში. თბილისში პრიზიორთაგან მხოლოდ ქეთი წაწალაშვილი ჩამოვიდა. ნაზი პაიკიძე ორი წელია მოსკოვში ცხოვრობს და თურქეთიდან რუსულ დლეგაციასთან ერთად გაფრინდა, არაბიძე კი სამტრედიელია და გზად ჩამოხდა მშობლიურ რაიონში. რახან მხოლოდ ქეთი მოვიხელთეთ, მასთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ, დანარჩენებთან დაკავშირებას უახლოეს დღეებში ვეცდებით.

ქეთი, წელს საკმაოდ წარმატებული სეზონი გქონდა: 16 წლამდე ასაკში საქართველოს ჩემპიონი გახდი; ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაო გერგო, ბოლოს კი მსოფლიო ჩემპიონი გახდი. ცხადია, უპირველესად გილოცავ მსოფლიო ჩემპიონობას. შენთვის მსგავსი წარმატება პირველია და რა განცდა დაგეუფლა - საქართველოს ჩემპიონობისგან განსხვავებით?

- დიდი მადლობა მოლოცვისთვის. ყველა გამარჯვება ძალიან სასიხარულოა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მსოფლიოში პირველობა განსხვავებული გრძნობაა. თუმცა, სიმართლე გითხრათ, თავიდან ვერანაირ განსაკუთრებულობას ვერ ვგრძნობდი. ბედნიერი კი ვიყავი, მაგრამ ისეთი დაღლილი ვიყავი, ემოციურად ბოლომდე ვერ გავითავისე გამარჯვება ახლა უფრო შევიგრძნობ იმ სიხარულს.

- ორი თვის წინ 16 წლამდე ევროპის ჩემპიონატზე ითამაშე და მესამე ადგილზე გახვედი. რომელი ტურნირი იყო უფრო ძლირი?

- რა თქმა უნდა, მსოფლიო, - აქ ხომ ევროპელთა გარდა აზიელებიც თამაშობდნენ, რომლებიც ძალიან ძლიერები არიან ქადრაკში, - კერძოდ, ჩინელები და ინდოელები.

- თუმცა პირველ ექვსეულში ვერცერთი მათგანი ვერ მოხვდა...

- ეგ მეც გამიკვირდა, მაგრამ ზოგჯერ ასეც ხდება, - სპორტია და წარუმატებლობისგან არავინაა დაზღვეული. სხვათა შორის, მე არც ერთ ჩინელს და ინდოელს არ შევხვედრივარ, არადა ისინი მაჩანჩალები სულაც არ ყოფილან. ესეც უცნაური ფაქტია. სამაგიეროდ შევხვდი ძლიერ ვიეტნამელსა არანაკლები სიძლიერის ყაზახ მოჭადრაკეს. ამ უკანასკნელთან ბოლო, გადამწყვეტ პარტიაში ვითამაშე და ყაიმით დავასრულე.

- რახან ბოლო პარტია ახსენე, მოდი ის დღე გავიხსენოთ და საკუთარი ემოციებისა და საჭადრაკო ნიუანსების შესახებ მოგვითხრე. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ტურნირის განმავლობაში ლიდერობდი, ბოლო ტურის წინ რუს ოლგა გირიას ნახევარი ქულით ჩამორჩი და ჩემპიონობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა - სხვათა შედეგზე, შეიძლება ითქვას, უცხოს ვაჟკაცობაზე იყავი დამოკიდებული...

- მართლაც ასე იყო - მხოლოდ ჩემი მოგება საკმარისი არ იქნებოდა, თუკი გირია გაიმარჯვებდა. მართალია ძალიან დაძაბული გახლდათ და თავში ათასი ფიქრი მიტრიალებდა, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ გირია ვერ მოიგებდა, რადგანაც მისი მეტოქე თურქი კუბრა ოზთურქი იყო. კუბრა კი ძალიან კარგი მოჭადრაკეა - იგი ორი თვის წინ ჩვენს ასაკში ევროპის ჩემპიონი გახდა. თურქები მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და რომ მოეგო რუსისთვის ჩემპიონი ვერ გახდებოდა, მაგრამ საპრიზოზე გასვლის შანსი ჰქონდა და ამისთვის ყველაფერს გააკეთებდა. ასეც მოხდა - კუბრამ თეთრებით შანსი არ დაუტოვა ოლგას და დაამარცხა. ის პარტია ადრე მორჩა და ისღა დამრჩენოდა, რომ არ ნამეგო. სხვათა შორის დებიუტში უარსი პოზიცია მივიღე, შუა თამაშში ოდნავ გამოვასწორე პოზიცია და მეტოქეს ყაიმი შევთავაზე, მაგრამ არ მიიღო. ამან ძალიან გამაბრაზა და თავს შევუძახე. შედეგად უპირატესობას დავეუფლე და მატერიალურადაც დავწინაურდი. ბოლოს პაიკი და ეტლი მყავდა ზედმეტი, თუმც რაღაც კონტრთამაში მეტოქეს შეიძლება ჰქონოდა - მხოლოდ ყაიმის გზებს თუ მოძებნიდა, მაგრამ ობიექტურად უნდა მომეგო. აღარ გავრისკე, ყაიმი შევთავაზე მეტოქეს და ამჯერად იგი დამთანხმდა.

- ოზთურქს კარგი მადლობაც ეკუთვნოდა შენგან...

- რა თქმა უნდა, მისი დიდი მადლობელი ვარ და იქვე ვუთხარი კიდეც. ეს გოგო, შეიძლება ითქვას, შემიყვარდა (იცინის). სამწუხაროდ, დრო აღარ გვქონდა, რათა უფრო მეტი კეთილგანწყობა გამომეხატა - მან ხომ სპორტულ პრინციპებს არ უღალატა და ბოლომდე იბრძოლა! სხვათა შორის, კუბრამაც ჩემთვის და კიდევ ორი მოჭადრაკის დარად 8,5 ქულა დააგროვა, მაგრამ უარესი კოეფიციენტის გამო მეოთხე ადგილზე გავიდა.

- მოჭადრაკისთვის და საერთოდ სპორტსმენისთვის ფსიქოლოგიურ მზაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. შენ, როგორც ვატყობ, ამ მხრივ ძალიან კარგად გაქვს საქმე - გადამწყვეტ პარტიებს მშვენივრად თამაშობ. ამ მხრივ სპეციალურად ემზადები თუ ბუნებრივად მოგდგამს მტკიცე ნერვები?

- ცხადია, მწვრთნელებისგან რაღაც რჩევებს ვიღებ და ვითვალისწინებ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბუნებით ვარ ასეთი. გადამწყვეტ პარტიაში ხელი არ ამიკანკალდება. თუმცა ნერვიულობა და ემოციები, რა თქმა უნდა, მეც მახასიათებს და ხშირად ვერ ვიკავებ კიდეც ცრემლებს. მაგალითად, ასე იყო ანთალიაში. მეათე ტურში უკრაინელ მეტოქესთან მოსაგები პარტია გავაყაიმე და ამის გამო ჩამოვრჩი გირიას ნახევარი ქულით. ძალიან განვიცადე და ბევრიც ვიტირე, მაგრამ მეგობრებმა და დედამ, რომელიც თან მახლდა, დამამშვიდეს და მც ზედმეტ ნერვიულობას საქმისთვის სერიოზულად მიხედვა გადავწყვიტე: კარგად მოვემზადე მატჩისთვის და როგორც ხედავთ, წარმატებასაც მივაღწიე.

- ჩემპიონობა კარგი კი არის, მაგრამ უფრო დიდი გამარჯვებებიც შეიძლება მოიპოვოს სპორტსმენმა, ამისთვის კი საჭადრაკო ცოდნის ამაღლებაა საჭირო. საკუთარი თამაშის ხარისხით თუ დარჩი კმაყოფილი?

- კმაყოფილი კი ვარ, მაგრამ უკეთაც შემეძლო. სულ ექვსი პარტია მოვიგე, ხუთში კი ქულა გავიყავი. იმ პარტიებში სადაც ყაიმით ვითამაშე, შიძლებოდა უკეთესი გზების მოძიება.

- როგორც ვიცი ქალთა შორის საერთაშორისო ოსტატის ნორმატივიც შეასრულე, პირველი ბალი მიიღე. წელს რაღა მოესწრება და 2008-ში გასამებას აპირებ? თუ ამ ნორმის შესრულება პრობლემა არ იქნება და უფრო მეტისთვის იბრძოლებ?

- თუკი დიდოსტატი გავხდები, ამას რა აჯობებს, მაგრამ იქამდე მაინც რთულია მისვლა და ჯერ საერთაშორისო ოსტატის ნორმას ვუმიზნებ. მომავალ წელს მრავალ ტურნირში ვითამაშებ და დიდი იმედი მაქვს, რომ მიზანს მივაღწევ. გარდა იმისა, რომ ქალთა ტურნირებში ვითამაშებ, ვაჟთა შორისაც უნდა მოვუმატო ასპარეზობას - ეს როგორც რეიტინგისთვის, ისე ოსტატობის ასამაღლებლად ძალიან კარგი საშუალებაა. მთავარ ტურნირად კი, 2008 წელს, ევროპის ქალთა ჩემპიონატი მიმაჩნია და ყველაფერს ვიღონებ, რომ კარგი შედეგი ვაჩვენო.

- ამა წელს გაზაფხულზე, შენ იყავი ჩვენი გაზეთის სტუმარი, სადაც აღნიშნე, რომ მთელი ძალისხმევა ჭადრაკის შესწავლაზე გაქვს მიმართული და არ გქონდა გადაწყვეტილი, რა პროფესიას აირჩევდი მომავალში. ამ მხრივ ხომ არ შეიცვალა რამე?

- არა, ისევ გაურკვეველობაში ვარ. სკოლის დამთავრებამდე სამი წელი მრჩება და იქამდე ალბათ ჩამოვყალიბდები. სიმართლე გითხრათ, პროფესიონალი მოჭადრაკეობა ძალიან მხიბლავს და მისგან უამრავ დადებით ემოციას ვიღებ. მარტო ის რად ღირს, რომ შენი გამარჯვების ნიშნად სამშობლოს ჰიმნი რომ ჟღერს და ქვეყნის დროშა აღიმართება! თუმცა ამ მხრივ ანთალიაში ქართველები კურიოზულ სიტუაციაში მოვხვდით: მასპინძლებს ჩვენი ეროვნული ჰიმნი არ ჰქონდათ, არ აღმოაჩნდა იგი ჩვენს დელეგაციასაც და ამიტომ საქართველოს ძველი ჰიმნი დაუკრეს. სხვათა შორის, არც დროშა გვქონდა და ამან ძალიან დამწყვიტა გული. ამ მხრივ ქართველებს მტი ყურადღება გვმართებს და იმედია, სხვა დროს მსგავსი რამ აღარ შეგვემთხვევა.

- ასაკობრივ ჩემპიონატებში ფულადი ჯილდოები არ არის, მაგრამ ჩემპიონატის საიტზე კარგად ჩანს, რომ ჩემპიონები ნოუთბუქებით დააჯილდოეს...

- წელს ჩემპიონებს მართლაც კარგი საჩუქარი გაუკეთეს ორგანიზატორებმა - ნოუთბუქი მართლაც მშვენიერია, უახლესი მოდელია. ამას გარდა თასი და მედალიც გადმოგვცეს.

- იმედია, საჩუქრებს საქართველოშიც მიიღებ...

- საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში მითხრეს, რომ ორ-სამ დღეში დამიკავშირდებიან და სპეციალურ მიღებას გამიმართავენ. მანამდე თელავში მივდივარ, სადაც ქალაქის ხელმძღვანელობას შევხვდები; თელავის მეოთხე საჯარო სკოლაც, რომლის მოსწავლედაც ვითვლები, გეგმავს ჩემთან შეხვედრას. ასეთი ყურადღება ძალია მსიამოვნებს და ყველას მადობას მოვახსენებ.

- როგორ ფიქრობ, წაადგება თუ არა შენი ჩემპიონობა და ხელისუფალთა ყურადღება შენს კარიერას - ხელისშემწყობნი გაგიჩნდებიან?

- რთულია ამაზე საუბარი. ჩვენში ყველას უჭირს და დაფინანსების მოპოვება წარმოუდგენლად ძნელია. ანთალიაში საკუთარი ხარჯებით ნავედი - ვერაფრით ვიშოვეთ სპონსორი. სიმართლე გითხრათ, არც მინდოდა წასვლა, მაგრამ ბებიამ, ქალბატონმა ციალამ ლამის ძალით გამაგდო, - საჭირო ხარჯები მოიძია, ცოტა ისესხა, ცოტა დანაზოგიდან დაამატა და ასე წავედი. დიდი მადლობა მას, რომ დამაძალა წასვლა.

- კი მაგრამ, შენ ხომ 16 წლიანებში საქართველოს ჩემპიონი გახდი, რაც მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს იძლევა?!

- ჩემპიონს არჩევანის უფლება ჰქონდა: შეეძლო მსოფლიოს ნაცვლად ევროპის ჩემპიონატზე წასულიყო. მე ევროპა ავირჩიე და ვისარგებლებდი კიდეც ამ უფლებით სექტემბერში.

- როცა შენს მიერ მოწოდებულ სურათებს ვათვალიერებდი, ერთი ძალიან საინტერსო მომენტი აღმოვაჩინე დაფიქსირებული: შენ და ორი პრიზიორი კვარცხლბეკზე დგახართ, თქვენს წინ კი ორი პატარა ბიჭია ქართულ ტანისამოსში გამონკეპილი. თავიდან ვიფიქრე, თურქეთში მცხოვრები ქართველები არიან და პატივისცემის ნიშნად მოვიდნენ ასეთ ფორმაში-მეთქი, მაგრამ შემდეგ ორივე შევიცანი: 8 წლამდე ასაკში მოთამაშე ნიკოლოზ ჭანტურია და 10 წლამდე ასაკში მოთამაშე მამუკა ანთაძე ყოფილან...

- ძალიან გამიხარდა, როცა ბიჭები ამ ფორმაში მოვიდნენ. ისინი ქართველთა დაჯილდოების დროს მოელოდნენ კვარცხლბეკთან და ჩვენს ქართველობას ამით უსვამდნენ ხაზს. ბიჭების ჩაცმულობამ დიდი მონონება დაიმსახურა ყველაში და ვგონებ ამით ის უხერხულობაც გავფანტეთ, რომელიც ქართული ჰიმნისა და დროშის არქონის გამო შეიქმნა. თუმცა, სიმართლე ითქვას, ჰიმნის შესახებ მხოლოდ ქართველებს მოგვეხსენებოდა და თურქებმა ძველი რომ დაუკრეს, ჩვენს გარდა არავის გაუგია...

ზვიად შათირიშვილი

ლეგიონი. კვირის მიმოხილვა

ბოისა ნახევარფინალში

რუსეთი

რუსეთის თასის მეოთხედფინალში ვლადივოსტოკისა და **ვლადიმერ ბოისას** „სპარტაკ-პრიმორიემ“ შინ „სურგუტი“ 83:68 დაამარცხა და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც ზღვისპირელებს „უნიქსი“ დაუპირისპირდებათ. მატჩები 15 და 23 დეკემბერს გაიმართება.

„სურგუტთან“ შეხვედრის შემდეგ „სპარტაკის“ მწვრთნელმა **სერგეი ბაბკოვმა** შეგირდთაგან **ბრემერი** და **ბლერი** გამოარჩია, მაგრამ ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ბოისაც აღნიშვნის ღირსი იყო. მან მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა: 22 წუთში 11 ქულა, 6პასი, 6 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა. სხვა რა უნდა გაეკეთებინა მწვრთნელის ყურადღების მისაქცევად?

„სპარტაკ-პრიმორიე“ მომდევნო მატჩს 4 დეკემბერს ისევ სურგუტელებთან გამართავს, ოღონდ ამჯერად რუსეთის ჩემპიონატის ეგიდით

ვლადიმერ ბოისა

უკრაინა

მანუჩარ მარკოიშვილმა უკრაინის ჩემპიონატში „კიევს“ მორიგი მატჩი მოაგებინა. დედაქალაქელებმა „დნეპრს“ უმასპინძლეს და მათთვის უჩვეულოდ, ოდენ 8 ქულის სხვაობით დაამარცხეს - 80:72.

მანუს ოქმში ამჯერადაც 27 ეწერა, ოღონდ არა ქულების, არამედ წუთების გრაფაში. მან ქულათა რაოდენობას დაუკლო, სამაგიეროდ სხვა კომპონენტებს მოუმატა: 15 ქულა, 8 მოხსნა, 4 გადაცემა. ქართველი ფორვარდი თანაბრად შედეგიანი იყო შორი და ახლო დისტანციებიდან ტყორცნისას - 7-დან 3 ორქულიანი და სამიანი ჩააგდო.

მანუჩარმა „დნეპრთან“ მატჩში სნაიპერობა კაპიტან **არტურ დროზდოვს** გადააბარა, რომელმაც 16 ქულას მოუყარა თავი.

8 ტურის შემდეგ უკრაინის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს უდანაკარგოდ ორი გუნდი ლიდერობს - „კიევი“ და „აზოვმაში“. შიდა პირველობის მორიგ ტურში დედაქალაქელებს დიდი ბრძოლა ელით 8 დეკემბერს ჩერკასში, ადგილობრივ „მავპისთან“, ხოლო დღეს ულების თასზე გერმანულ „არტლანდს“ უმასპინძლებენ.

საიტ „ევრობასკეტზე“ გამოქვეყნდა ევროპის საკლუბო რეიტინგი, რომელშიც 33-ე ადგილზეა მარკოიშვილის „კიევი“. რეიტინგი შედგენილია მიმდინარე სეზონის მონაცემების მიხედვით.

ტაირონ ელისი

იტალია

„ევრობასკეტის“ გამოთვლით **ნიკა ცქიტიშვილის** „ტერამო“ 93-ე პოზიციაზეა. იმედი დავიტოვოთ, რომ ქართველის შემწეობით იტალიელები რეიტინგში ნელ-ნელა ქვემოთ ჩამოვლენ. ამისკენ გადადგმული ერთი ნაბიჯი შინ უდინეს „სნაიდეროს“ დამარცხება იყო. ტერამოელებმა 99 ქულა იკმარეს, მეტოქე კი 86-ს დააჯერეს.

12 ქულას დასჯერდა ნიკა ცქიტიშვილი, რომელმაც 4-დან 3 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი და 3 საჯარიმო გამოიყენა, რასაც 3 მოხსნა წაამატა. „ტერამოს“ ბომბარდირობა კი იკისრა თაქერმა (28ქულა), რომლის დამაჯერებელი თამაში მხედველობიდან არ გამორჩენიათ „ბარსელონას“ სკაუტებს და თაქერის ტრანსფერზე ალაპარაკდნენ.

იტალიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მეოთხე-მერვე ადგილებს 4 გუნდი ინაწილებს. მათ შორისაა „ტერამო“ - 7 მოგება, 5 წაგება.

ესპანეთი

გიორგი ცინცაძის გუნდის „რიტასთან“ წაგება ცალკე სტატიაში კი მოვაქციეთ, მაგრამ მარცხზე საუბარს მაინც ვერ ავცდით: **ტაირონ ელისის** „კახასოლმა“ ვალიადოლიდში ადგილობრივ გუნდთან თანაბრად კი იბრძოლა, მაგრამ ბოლო წამებზე 74:76 დამარცხდა.

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა 31 წუთში 11 ქულა, 5 მოხსნა და 2 პასი გააკეთა. 10 ტურის შემდეგ „კახასოლს“ 3 მოგება აქვს და თვრამეტ გუნდს შორის მეთოთხმეტე ადგილზეა.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

ქართველები ევროთასებზე

აზოტისთვის მიუწვდომელს ცინცაძე შეწვდა

მიუხედავად იმისა, რომ ევროთასის ჯგუფურ ეტაპზე რუსთავის „აზოტმა“ ვერ გააღწია, ეს ტურნირი ქართველთა გარეშე მაინც არ ჩაივლის - **გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკმა“ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა და ჯგუფურ ტურნირში მოხვდა. ესტონეთში საშინაო შეხვედრაში იოლი გამარჯვების (94:69) შემდეგ „როკერებმა“ ჩეხეთის „პროსტეჯოვს“ სტუმრადაც აჯობეს - 76:72.

ანგარიშიდანაც ჩანს, რომ შეხვედრა დაძაბული იყო. გამარჯვებულის ბედი უკანასკნელ წუთებზე გადაწყდა. მართალია, საქართველოს ნაკრებში მწვრთნელები გიორგის ბოლომდე არ ენდობიან, მაგრამ „ტარტუში“ ცინცაძის ლიდერობას უკვე მივეჩვიეთ და აღარაა გასაკვირი, რომ მატჩის მნიშვნელოვან ეპიზოდებში თამაშს საკუთარ თავზე სწორედ ცინცაძე იღებს.

„ბუ“ მოედანზე საფინალო სირენამდე 8 წუთით ადრე დაბრუნდა, ჯერ თითო ფოლი და შეცდომა მოუვიდა, მაგრამ მწვრთნელმა არ შეცვალა და არც შემცდარა: 35-ე წუთზე შედეგიანი გადაცემით კუსვორსს ანგარიში დაათანაბრებინა - 65:65. 30 წამში თავად გიორგიმ ჩააგდო ორქულიანი. ბოლო ორ წუთში ცინცაძემ ოთხი საჯარიმოდან ორი გამოიყენა და სირენამდე 45 წამით ადრე თანაგუნდელები 74:72 დაანინაურა. დარჩენილ დროში ესტონელმა **ტანელ ტეინმა** ორი საჯარიმო ზუსტად შეასრულა და „ტარტუმ“ 76:72 მოიგო.

როგორც ხედავთ, გიორგი ცინცაძემ 4 ქულა ბოლო 5 წუთში ჩააგდო. მანამდე მის ანგარიშზე ერთადერთი ზუსტი სამქულიანი იყო.

ჩეხეთში ბუმ 28 წუთში 7ქულა, 4 შედეგიანი გადაცემა, 2 ჩაჭრა და 1 მოხსნა მიითვალა.

ევროთასის მესამე ეტაპზე გასული კლუბები 4-გუნდიან ჯგუფებად დაიყო. „როკერებს“ მეტოქეებად ერგოთ: ბერძნული პაოკ-ი, ფინური „ლაპენრანტა“ და რუსული „სამარა“. შეგახსენებთ, რომ „ტარტუ „ ამ ტურნირში შარშანაც მონაწილეობდა, მაგრამ ჯგუფური ბარიერი ვერ გადალახა - უკრაინულმა „ჩერკასმა“ და „სამარამ“ აჯობეს. რუსებთან მატჩში გიორგი ცინცაძეს დამატებული სტიმული ექნება - 2 წლის წინ მას „სამარაში“ მწვრთნელი კიმი არ ენდობოდა და გუნდიდან უბოდიშოდ გაუშვა.

„ტარტუ“ ჯგუფური ტურნირის პირველ მატჩს 11 დეკემბერს საბერძნეთში პაოკ-ის წინააღმდეგ გამართავს.

ცინცაძემ თუ „პროსტეჯოვთან“ მხოლოდ ბოლო წუთებზე აიღო თამაში საკუთარ თავზე, ბალტიის ლიგაზე ევროგრანდ „ლიეტუვოს რიტასთან“ მთელი შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა. იგი 35 წუთში 19 ქულით „როკერთა“ სნაიპერი გახდა, მატჩის ბომბარდირობამდე კი ორი ქულა დააკლდა - რიტასელმა **ბაირამოვიჩმა** 20 ქულა ჩააგდო. ვიდრე მატჩის მსვლელობას შევეხებოდეთ, გეტყვით, რომ ცინცაძემ 19 ქულა 8-დან 4 ორქულიანის, 4-დან 2 სამიანის და 7-დან 5 საჯარიმოს რეალიზების შედეგად მოაგროვა. გარდა ამისა, ქართველი გამთამაშებლის ანგარიშზე 4 მოხსნა და თითო პასი-ჩაჭრაა.

პირველი მეოთხედი სტუმარმა ლიტველებმა 22:17 მოიგეს. მეორის დასაწყისში თავი გაიგიჟა გიორგიმ, რომელმაც ერთმანეთს 9 ქულა მიაყოლა და თანაგუნდელები 28:25 დაანინაურა. მესამე ათწუთეულში ბუს სამქულიანის შემდეგ მასპინძლები კვლავ იგებდნენ - 58:53, მაგრამ ბოლო რაუნდში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და შედარებით ძლიერმა „რიტასმა“ 77:74 გაიმარჯვა. ლიტველთა სიძლიერეში დასარწმუნებლად იმის თქმაც საკმარისია, რომ იგი ევროლიგის B ჯგუფში 8 გუნდს შორის მეორე ადგილზეა. ასეთ მეტოქესთან უშიშრად თამაში და სნაიპერული თვისებების გამოვლენა გვაიმედებს, რომ ცინცაძე გაისად ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იქნება. თუ იგი ნლევანდელივით დაიკარგა, მაშინ პასუხი მწვრთნელს უნდა მოვთხოვოთ.

ვაჟა სიმონიშვილი

გიორგი ცინცაძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

LOYAL CAPITAL group
ქვარციტი QUARTZITE
BTA Silk Road Bank

მასი-შამბერი. ფოტოზე - ვიქტორ დიდებულიძე და დავით დადუნაშვილი

ლეგიონერები

დადუნაშვილის დაბრუნება და ლელო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში პირველი წრე დასრულდა. მეშვიდე ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. ელიტარულ მეორე დივიზიონში გადასვლაზე რეალურ პრეტენზიას ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი აცხადებს.

ფედერალ 1-ის ჯგუფში ასეთი ორი გუნდია. **დავით გასვიანისა და შალვა სუთიაშვილის** „ბობინი" პარიზის გარეუბნის კლუბია. ამ გარეუბანში ძირითადად იმიგრანტები ბინადრობენ და ერთ-ერთ ულარიბეს კვარტლად ითვლება. „ბობინის" წინა წლებშიც არაერთხელ შეეძლო მე-2 დივიზიონში ალზევება, მაგრამ მხოლოდ პლეი ოფში გასვლას დასჯერდა. პარიზელები პირველ წრეში ალმავლობით ასპარეზობენ და ჯგუფს ერთპიროვნულად ლიდერობენ.

მე-7 ტურში „ბობინიმ" შინ დაამარცხა **სანდრო ესაკიას** „სენ ნაზერი" 37:13. გასვიანს და სუთიაშვილს პირველი წრის არცერთ შეხვედრაში არ უთამაშიათ. ესაკია ამ მატჩში 63-ე წუთიდან ჩაერთო.

გაცილებით მეტი ამბიციები ჰქონდა და აქვს დღესაც **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანს". ჟანა დარკის მშობლიური ქალაქის გუნდის ხელმძღვანელები მორაგბეებს მხოლოდ დიდ მიზნებს უსახავდნენ და ახლაც გეზი მეორე დივიზიონისკენ უჭირავთ. პირველი წრის ბოლო მატჩში „ორლეანმა" საკუთარ მოედანზე **დიმა ხოჭოლავას** „სერჟი პონტუაზი" დაამარცხა უჩვეულო ანგარიშით - 5:3. აბუსერიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

სტუმრად ერთ-ერთ ლიდერ „ტურთან" დამარცხდა **სოსო ნიკოლაენკოს** „რუენი" 3:16. ნიკოლაენკო განაცხადში არ იყო.

ფედერალ 1. A ჯგუფი. 1. ბობინი - 24 ქულა, 2. ორლეანი - 22, 3. ტური - 22, 4. ვანი - 19, 5. რუენი - 17, 6. სენ ნაზერი - 14, 7. სერჟ პონტუაზი - 11, 8. პუატიე - 5.

B ჯგუფში მილწეული გამარჯვების მიუხედავად ქართველ მორაგბეთა ხუთივე გუნდი ისევ ცხრილის მეორე ნახევარშია. მიმდინარე გათამაშებაში მეორე გამარჯვება მოიპოვა **დავით დადუნაშვილის, გიორგი ჩხაიძისა** და **ვიქტორ დიდებულიძის** „მასიმ" შინ **პალიკო ჯიმშელაძის** „შამბერისთან" - 21:0. დადუნაშვილმა ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა და 38-ე წუთზე ლელოც გაიტანა, ის 68-ე წუთზე შეცვალეს, 61-ე წუთზე დატოვა მოედანი ჩხაიძემ, ხოლო დიდებულიძემ 53-ე წუთამდე ითამაშა. ჯიმშელაძე განაცხადში არ იყო.

ასევე შინ გაიმარჯვა **ელიზბარ ყუფარაძის** „ვილერბანთან" **რატი ურუშაძის** „ლონსმა" 22:20. ურუშაძემ მეორე ხაზში თავიდან ბოლომდე ითამაშა. ყუფარაძე განაცხადში არ იყო. სტუმრად გაიმარჯვა ერთ-ერთ ლიდერ „შალონთან" **ზურაბ მჭედლიშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** „დომონმა" 17:11. მჭედლიშვილმა და ნემსაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშეს, მარგველაშვილი თამაშში 67-ე წუთიდან ჩაერთო.

B ჯგუფი. 1. ბურგ ან ბრესი - 24 ქულა, 2. შალონი - 21, 3. დიჟონი - 20, 4. დომონი - 20, 5. ვილერბანი - 14, 6. ლონსი - 14, 7. მასი - 11, 8. შამბერი - 9.

ზედიზედ ხუთი მატჩის შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა **დიმა პავლოვის** „ნიცამ". ჩვენებურის გუნდმა შინ გაიმარჯვა „ბორეპერისთან" 23:16. „ნიცა" 10 ქულით ისევ ბოლო მე-10 ადგილზეა. პავლოვი გაანცხადში არ იყო.

ისევ დამარცხდა **ირაკლი გუნდიშვილის** „მიო", რომელიც D ჯგუფში ასპარეზობს. „მიომ" შინ ვერაფერი გააწყო „ვალანსთან" 15:17. გუნდიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, მისი გუნდი კი 4 ქულით ბოლო ადგილზეა.

მარცხი განიცადა F ჯგუფის ლიდრ „მარმანდთან" გასვლით მატჩში **თედო ზიბზიბაძის** „პერიგომ" 9:16. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. „პერიგო" 22 ქულით მე-3 ადგილზეა.

ფედერალ 2-ში კვლავ წარმატებით ასპარეზობენ „ლილი" და „მონლუსონი". A ჯგუფში **დავით ბოლღაშვილის** „ლილმა" შინ დაამარცხა „სენ პიერ დე კორჰი" 18:0 და ახლა 18 ქულით მე-2 ადგილზეა. C ჯგუფში ამდენივე ქულით მე-3 ადგილზეა **ლევან დათუნაშვილისა და რეზო გიგაურის** „მონლუსონი", რომელმაც სტუმრად დაამარცხა „ბეიგარდი" 40:11.

H ჯგუფში გასვლით შეხვედრაში „ბოკუ ტარანოსთან" მარცხი განიცადა **ბადრი ხეხელაშვილის** „კონიაკმა" 9:19 და 14 ქულით ახლა მე-6 ადგილზეა.

ბესიკ ჯანგავაძე

რუმინეთმა რეიტინგში გაგვასწრო

გუშინ გამოქვეყნდა IRB-ის ახალი რეიტინგ-ლისტი, რომლის 95-გუნდიან სრულ სიაში ერთადერთი ცვლილებაა. სამწუხაროდ, ეს ცვლილება სწორედ საქართველოს ნაკრებს შეეხო. რუმინეთის ნაკრებმა ერთა თასის გასვლით მატჩში 15 ქულაზე მეტი სხვაობით დაამარცხა პორტუგალია და „ბორჯღალოსანთა" გუნდს გადაასწრო. რუმინეთს 66,73 ქულა აქვს, საქართველოს კი 66,42 ქულა დარჩა. ჩვენი გუნდი მსოფლიოში მე-16 პოზიციაზეა. სხვა მხრივ, ცვლილებები არ არის, სიას სათავეში კვლავ მსოფლიოს ჩემპიონი სამხრეთი აფრიკაა 90,81 ქულით. მეორე ადგილზე ახალი ზელანდიაა 89,59 ქულით, მესამეზე კი ბრინჯაოს პრიზიორი არგენტინა - 87,42 ქულა. გთავაზობთ ერთა თასზე მონაწილე სხვა ნაკრებების პოზიციებს: 17. რუსეთი - 65,88 ქულა, 21. ესპანეთი - 62,30 ქულა, 22. პორტუგალია - 60,17 ქულა, 34. ჩეხეთი - 51,92.

ძიუდო

ხაბარელმა თბილისის ტურნირი დაიცვა

როგორც გაცნობეთ, პარასკევს ვარშავაში, ძიუდოში ევროპის აბსოლუტური პირველობის დაწყებამდე, ევროპის ძიუდოს კავშირმა **შოთა ხაბარელი** ზედიზედ მეორედ დაასახელა ევროპის საუკეთესო მწვრთნელად. მის კარიერაში ეს მესამე ანალოგიური აღიარებაა - პირველი 2003 წელს იყო, მეორე - შარშან.

ისიც გაცნობეთ, რომ კონგრესზე თბილისის ტურნირის საკითხიც განიხილეს - ნოემბრის მოვლენების შემდეგ მავანთ აქ ჩამოსვლა საშიშად მიიჩნიეს და ტურნირის სხვაგან გადატანა მოითხოვეს. ალტერნატივებიც უმალ გამოიძებნა - ტალინი და მინსკი, თუმცა გადატანის შემთხვევაში ასეთი პრესტიჟული - სალიცენზიო ტურნირის ჩატარების სურვილი იქნებ სხვებსაც გასჩენოდათ. საბედნიეროდ, საქმე აქამდე არ მივიდა - კონგრესზე მშობლიური პრესტიჟის დაცვა შოთა ხაბარელმა ითავა, რაკი ფედერაციის ხელმძღვანელნი ვარშავაში ვერ წავიდნენ, და საკმაოდ მკვახე გამოსვლით ტურნირის სხვაგან გადატანის საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა. მან ევროფედერაციის წარმომადგენელთა ჩამოსვლა და ვითარების ადგილზე გაცნობა მოითხოვა, რასაც ბევრი დაეთანხმა ევროპული ძიუდოს ახალი მმართველის, რუსი **გენადი სოლოვეიჩიკის** ჩათვლით. საბოლოოდ გადაწყდა, რომ უახლოეს ხანებში ვითარების ადგილზე გასაცნობად თბილისში სწორედ სოლოვეიჩიკი ჩამოვა, თუმცა ევროპელებმა თავი მაინც დაიზღვიეს და უსაფრთხოების გარანტიები საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვეს. საამისოდ ზრუნვა უკვე დაიწყო - საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა **დილარ ხაბულიანმა** ამ საკითხის მთავრობამდე მიტანა გუშინვე სთხოვა კულტურისა და სპორტის მინისტრ **გიორგი გაბაშვილს**.

რაც შეეხება ევროპის აბსოლუტურ პირველობას, ხაბარელი შელიგრების გამოსვლით არც კმაყოფილია და არც ამართლებს მათ, მაგრამ ბევრ რამეს ტურნირის ახლებურ წესებს აბრალებს. თურმე ევროპულ კავშირს ნაოლიმპიადევს წესებში ცვლილების შეტანა განუზრახავს და საექსპერიმენტოდ სწორედ ეს შეჯიბრება შეურჩევია. ექსპერიმენტები კი ისეთია, თავად მწვრთნელებიც უკმაყოფილონი დარჩნენ. მაგალითად, გაუქმებულია კოკა, სამის ნაცვლად ტატამზე ერთი მსაჯია და ასე შემდეგ, მაგრამ მწვრთნელებისგან სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მათივე მოთხოვნით, ევროპულ კავშირში მწვრთნელთა საბჭო შეიქმნება და მსგავს რეფორმებზე სწორედ ის იმუშავებს. ამ საბჭოს ერთ-ერთ წევრად ხაბარელიც ითვლება. მისი ბოლოდროინდელი აღიარებების ფონზე ეს გასაკვირი სულაც არაა. ასეთი საბჭოს შექმნა მართლაც აუცილებელია, რათა ანალოგიური ცვლილებები სწორედ პრაქტიკოსმა მწვრთნელებმა მიიღონ და არა თუნდაც ყოფილმა ფალავნებმა, მაგრამ ამჟამად ჭიდაობას ჩამოშორებულმა ჩინოვნიკებმა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ევროპული ფედერაციის განზრახვა სულაც არ ნიშნავს ამ რეფორმების გატარებას, რადგან იგი საერთაშორისო ფედერაციამაც უნდა დაამტკიცოს.

ირაკლი თავაძე

ჭიდაობა

საუკეთესოები არიან კეტოევი და მიშინი



გიორგი კეტოევი

იქნებ საარჩევნო განამანიაში ჩაფლულ მოსკოვს ამისთვის დიდად არ ეცალა, მაგრამ 1 დეკემბერს იქ ჭიდაობის საერთაშორიის ფეადერაციის (FILA) რჩეულთა დაჯილდოების ცერემონიალიც გაიმართა. ცხადია, ნომინაციების უმრავლესობა რუსებმა მოიპოვეს, რომლებმაც, ვიყოთ გულახდილები და სადღეისოდ მართლაც უძლიერესი გუნდები შექმნეს. განსაკუთრებით, „თავისუფალში", სადაც მოიპოვეს კიდეც ყველა პრიზი. ამ სტილის საუკეთესო მოჭიდავედ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი **გიორგი კეტოევი** (84) დაასახელეს, საუკეთესო გუნდად - რუსეთის თავისუფალი ჭიდაობის ნაკრები, საუკეთესო მწვრთნელიც ამ გუნდის თავკაცი **ჯამბულათ თედეევი** გახდა. „წლის აღმოჩენადაც" ამავე ნაკრების წევრი **მახაჩ მურთაზალიევი** (74) მიიჩნიეს, რომელმაც წლეულს ევრიპირველობაც მოიგო და მსოფლიოც, მაგრამ ეს ტიტულები მას ადრეც მოუპოვებია, პლუს, ოლიმპიური პრიზიორიცაა და ვისთვის იქცა აღმოჩენად, ცოტა გასაკვირია.

რუსებმა „ანტიკურში" მთლად ასე თვალშისაცემი უპირატესობა ვერ მოიპოვეს, თუმცა ამ სტილის საუკეთესო მოჭიდავედ მათი ნაკრების წევრი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ალექსეი მიშინი** (84) დაასახელეს. სამაგიეროდ, საუკეთესო გუნდად აშშ-ს ნაკრები აღიარეს.

ქალთა შორის საუკეთესო მოჭიდავე ბულგარელი **სტანკა ზლატევა** (72) გახდა, რომელმაც წლეულს ევროპის პირველობაც მოიგო და მსოფლიოსიც. ქალებში საუკეთესო ნაკრების წოდება იაპონელებს ერგოთ მსოფლიო პირველობაზე არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის.

მოსკოვშივე დააჯილდოვეს წლის სხვა ნომინანტები, სადაც ასევე რუსები სჭარბობენ. „წლის მეცენატი" იქაური ფედერაციის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **სულეიმან კერიმოვი** გახდა, „ჭიდაობის ლეგენდად" კი ორგზის ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის 6-6-გზის ჩემპიონ **ბუვაისა საიტიევის** პირადი მწვრთნელი **დიმიტრი მინდიაშვილი** დაასახელეს. რუსულია „წლის საუკეთესო კლუბიც" - ცსკა, რომელმაც საგანგებოდ ამ გალა-დაჯილდოებისთვის ღია პირველობა გამართა, რომელშიც მსოფლიოს ნაკრები გამოიწვია და 4:3 მოუგო.

დასასრულს, სეგახსენებთ, რომ კანდიდატები ქართველებიც იყვნენ -წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატნები **დავით ბედინაძე** (60) და **რამაზ ნოზაძე** (96), თუმცა ხელი მოეცარათ. მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სია ქართველთა ნაკლებობას მაინც არ განიცდის. მინდიაშვილის გვარ-სახელს ბევრი განმარტება არც სჭირდება, მაგრამ კეტოევიც ქართველია - **გიორგი ქეთიშვილი**, რომელიც ბავშვობიდანვე წაიყვანეს ოსებმა, რაკი აქ ვერავინ მიხედა, მერე კი გვარიც შეუცვალეს. წარმოშობით ცხინვალიდანაა **ჯამბულათ თედეევიც**, რომელიც ახლაც ინარჩუნებს ახლო ურთიერთობას თბილისთან თუ თავის ქართველ მეგობრებთან.

ირაკლი თავაძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

საქართველო-თურქეთი-ნორვეგია

რას წარმოადგენს ლუქსემბურგის ნაკრები?

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები აგრძელებს სამზადისს თურქეთთან საკონტროლო მატჩებისა და "ჩელენჯ ტროფის" ფინალისთვის. გუნდი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ვარჯიშობს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ თურქეთში შეკრების გარეშე გაემგზავრება. ამის მიზეზი სეზონის მიწურული და ტრადიციული უფულობაა. ხელბურთის ფედერაციის მწირი ბიუჯეტი თითქმის ამოწურულია. შესაბამისად, ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელობა იძულებულია, რომ მხოლოდ ვარჯიშებით დაკმაყოფილდეს. ნამდვილი, სრულფასოვანი შეკრება კი იანვარში, სავარაუდოდ თელავში შედგება, "ჩელენჯ ტროფის" წინ.

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ "ჩელენჯ ტროფის" ფინალში ჩვენი ნაკრების ყველა წამყვანი ლეგიონერი ითამაშებს. რაც შეეხება თურქეთთან საკონტროლო მატჩებს, თავიდან იქ თითქოს ულეგიონერებოდ მივდიოდით, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შესაძლოა, თურქეთში ჩასვლა მოახერხონ **რეზო ჭანტურიამ, რატი მსხვილიძემ** და **ვლადიმერ რუსიამ**. აღსანიშნავია, რომ მსხვილიძეს ამასწინათ, ისლანდიის ჩემპიონატში ხელი იტკინა, მაგრამ საბედნიეროდ, ტრავმა საშიში არ აღმოჩნდა.

რაც შეეხება კიდევ ერთ წამყვან ლეგიონერს, ნაკრების ლიდერ **სერგო დათუკაშვილს**, იგი ყველა ვარიანტში გამოტოვებს საკონტროლო მატჩებს, რადგან მის გერმანულ კლუბს მნიშვნელოვანი თამაშები აქვს და "ლიუბეკის" ხელმძღვანელობა არ უშვებს. თუმცა, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს – მთავარია სერგო იანვარში ჩამოვიდეს და "ჩელენჯ ტროფის" ფინალში ითამაშოს.

რაც შეეხება "ჩელენჯ ტროფიზე" ჩვენს უშუალო მეტოქეს – ლუქსემბურგს, საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ ლუქსემბურგი-ფარერების ფინალში გამსვლელი მატჩის ვიდეოფირი იშოვნა მეგობრების დახმარებით. შესაბამისად, ნაკრების ხელმძღვანელობას მშვენიერი საშუალება მიეცა, რომ მეტოქის თამაში ნახოს და გაანალიზოს.

კობა ხატისაშვილი

სამთო თხილამურების ჯადოქარი



ქართველ მოთხილამურეთა კოჰორტას გამოაკლდა სამთო-სათხილამურო სპორტის პატრიარქი, ღვაწლმოსილი სპორტსმენი, მწვრთნელი და ნათელი პიროვნება, გივი ჯაფარიძე.

სათხილამურო არენაზე იგი გამოჩნდა გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში. ამ დროს ბაკურიანი უმნიშვნელოვანესი სათხილამურო ცენტრი იყო. აქ იკრიბებბოდა საბჭოთის მთელი სათხილამურო ელიტა, რომლის მხედველობის არეში იმთავითვე მოექცა სრიალის აგრესიული მანერით გამორჩეული, მუდამ მშფოთვარე და ხმაურიანი გივი ჯაფარიძე. მოთხილამურეთა სამყაროში გივის ყველა იცნობდა და ანგარიშს უწევდა, როგორც სვანური სამართალის ტრადიციებზე აღზრდილ გამორჩეულად სამართლიანსა და ყველა დაჩაგრულის ქომაგს, ხოლო სათხილამურო ტრასაზე, როგორც უსაზღვროდ რისკიანსა და ძლიერ მეტოქეს. გივი უკვე მაშინ ითვლებოდა სვან სამთო-მოთხილამურეთა თავკაცად. შემდეგ თავი ისახელა როგორც- მწვრთნელმა. უშიშარმა, მედგარმა და დაუდგრომელი სულის პატრონმა, თავის ყაიდაზე გამოზარდა შეგირდები. მათ შორის ა. ნავერიანი, ნ. ფალიანი, მ. უდესიანი, ე. უშხვანი და მრავალი სხვა.

მის აღზრდილთაგან განსაკუთრებული შედეგები ჰქონდა ბორის კახიანს. მასწავლებლის მსგავსად, ისიც რისკის ზღვარზე სრიალებდა.

გ. ჯაფარიძის სახელთან ასოცირდება სვანეთში სამთო-სათხილამურო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება - საბაგირო გზების მშენებლობა, საზაფხულო შეჯიბრებების მოწყობა სლალომში. ოცნებობდა სოფელ ეცერთან, ჩირინდას მთიანი მასივის სამხრეთი ფერდობების დიდ სათხილამურო არენად გადაქცევაზე.

ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მესტიის სამთო-მოთხილამურეთა სპორტულ სკოლას და დღენიადაგ ფუსფუსებდა მესტიაში, მისივე თაოსნობით დამონტაჟებულ ბუგელიან საბაგიროსთან, სადაც ცეროდენა სვანები სათხილამურო ხელოვნებას ეუფლებიან. ძნელია ჩამოთვალო ყველა სიკეთე, რაც მის სახელს უკავშირდება, მაგრამ უფრო ძნელია ნარმოიდგინო, რომ მესტიის ცენტრში, ამ დალოცვილ მიწაზე ვეღარ შეხვდები მუდმივად სტუმრის მაძიებელ მომღიმარე კაცს.

ჩვენ მუდამ გვემახსოვრება სიცოცხლით სავსე, დიდისა და პატარის შეცვლელი მეგობარი, გივი ჯაფარიძე.

საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია,
საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირი



გივი ჯაფარიძის ხსოვნას

კაცი-ლეგენდა – ასე უწოდებდნენ მეგობრები სვანეთში სამთო-მოთხილამურეთა თავკაცს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, დამსახურებულ მწვრთნელს და კაცურ ღირსებათა მატარებელს – გივი ჯაფარიძეს.

მედგარმა და უშიშარმა, დაუდგრომელი სულის პატრონმა, თავის ყაიდაზე გამოზარდა პატარა გოგო-ბიჭები, სამთო-სათხილამურო სპორტსაც აზიარა და თავადაც ისახელა თავი.

ბატონი გივი, მრავალი თაობების აღმზრდელი, არა მარტო სპორტს აყვარებდა მათ, არამედ კაცობას ასნავლიდა, ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს აზიარებდა. მან სპორტის მრავალი დამსახურებული ოსტატი, საკავშირო თუ საქართველოს ჩემპიონი აღზარდა, რომლებიც დღესაც წარმატებით იღწვიან ჩვენი ქვეყნის სასახელოდ.

მშრომელი, მოსიყვარულე, ყველას მოკეთე და სხვისი ჭირ-ვარამის გამზიარებელი – ასეთად იცნობდნენ ყველგან გივი ჯაფარიძეს, მაშინაც კი, როცა თავად უდიდეს ტკივილს ატარებდა გულში (მას ხომ ორი ვაჟკაცი გამოეცალა ხელიდან). ალბათ ჭირთა თმენა უფალმა დაანათლა.

გაუტეხელი გულის პატრონს სწორედ გულმა უმტყუნა. იმ გულმა, რომელიც ვერ იტევდა მშობლიური კუთხის – სვანეთის სიყვარულს.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი, თუმცა კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო მომავალი თაობებისათვის.

სწორედ გივი ჯაფარიძისნაირ ვაჟკაცზე იტყვიან, კაცი, რომელიც დააკლდა სვანეთს.

მეგობრები

ჩოგბურთი

ჩახნაშვილის უკუსვლა

გუშინ ქალ და ვაჟ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა. მამაკაცთა შორის, მსოფლიო კლასიფიკაციაში ოთხი ქართველია. აქედან მხოლოდ **ლადო ჩიხლაძის** რეიტინგია სერიოზული. 22 წლის ქართველი ჩოგბურთელი 94 ქულით მსოფლიოს 361-ე ჩოგანია, რაც წინა კვირის შედეგს ხუთი საფეხურით, ხოლო მის კარიერის საუკეთესო მაჩვენებელს 11 საფეხურით ჩამორჩება. 20 წლის **ნოდარ ითონიშვილმა** ესპანურ ტურნირში ერთი ქულა შეიმატა და 4 ქულით 1205-ე პოზიციაზე გადაინაცვლა, გასულ კვირასთან შედარებით ნოდარმა 56 საფეხურით წაინია წინ. თითო ქულა აქვთ **გიორგი ხრიკაძეს** და **გიორგი ჭანტურიას**, ისინი 1480-ე ადგილზე არიან.

საგრძნობლად გაიუარესა რეიტინგი უქმად მყოფმა საქართველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა**, მაკას 160 ქულა დარჩა და მსოფლიოს 186-ე ჩოგნამდე დაქვეითდა (-16). **ანა ტატიშვილს** 92 ქულა აქვს და მსოფლიოს 275-ე ჩოგანია (-1). ოთხი ადგილით დაიხია უკან **სოფიო შაფათავამაც** - 46 ქულა, 407-ე პოზიცია.

სხვა ქართველები: 507 (-1) **თინათინ ყავლაშვილი** - 31 ქულა, 590 (-4) **სალომე დევიძე** - 22, 611 (+12) **მანანა შაფაქიძე** - 20, 642 (-4) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 18, 701 (-4) **სოფიო ქვაცაბაია** - 15, 799 (-5) **ეკა გორგოძე** - 10, 839 (+1) **სოფიო მელიქიშვილი** - 9. მანანა შაფაქიძე კარიერის საუკეთესო შედეგს აჩვენებს. წყვილთა რეიტინგში ორმა ჩვენებურმა აჩვენა კარიერის მიღწევა - ოქსანა კალაშნიკოვა 423-ე პოზიციაზეა, ხოლო სოფიო ქვაცაბაია - 475-ეზე.

ამ კვირაში მსოფლიოს კორტებზე ITF-ის ეგიდით ძალიან ცოტა ტურნირი იმართება და მხოლოდ პრეროვში (ჩეხეთი) ქალ ჩოგბურთელთა 25-ათასიან ტურნირში თამაშობს ორი ჩვენი თანამემამულე. საკვალიფიკაციო ტურნირში მეორე ნომრად სოფიო შაფათავა განთესეს, მისი მეტოქე ჩეხი **სიმონა დობრაა** (657), მე-13 ნომრად განთესეს თნათინ ყავლაშვილი, რომლის პირველი მეტოქე „უაილდ ქარდით" მიწვეული 15 წლის ჩეხი **კრისტინა ჰანჩაროვაა**.

ძალოსნობა

ფიცარნაგი რუსთავშიც ახმაურდა

რამდენიმე დღის წინ ქალაქ რუსთავში წარსულში საკმაოდ წარმატებული ქართველი ძალოსანის, საქართველოს მრავალგზის რეკორდსმენისა და ჩემპიონის **სანდრო გოგოლაურის** ხსოვნის ტურნირი გაიმართა.

ტურნირში მრავალმა ძალოსანმა მიიღო მონაწილეობა. რუსთავის ფიცარნაგზე გამოვიდა საქართველოს ნაკრების წევრი, პეკინის ოლიმპიადის კანდიდატი **გიორგი მაჭავარიანი**. მარცხენა მაჯის ტრავმა აწუხებს და სრული დატვირთვით ვერ ასპარეზობს, მაგრამ ბოლო დროს ტკივილი უკან იხევს და მაჭავარიანს უფრო და უფრო მეტი შანსი ეძლევა, საკუთარი შესაძლებლობები ნარმოადგინოს. ცხადია, მის წონაში - +105 კილოგრამში პირველობაში ვერავინ შეეცილა და გამარჯვებული გახდა.

შეჯიბრი 8 წონით კატეგორიაში ჩატარდა და კიდევ ერთხელ გახადა თვალნათელი ახალგაზრდა თაობის ნიჭიერება. **თორნიკე კოკაიას, ნიკა ნიკლაურის** და სხვების იმედი ნამდვილად უნდა გვქონდეს.

წონითი კატეგორიის მიედვით გაიმარჯვეს:

56 კგ.: **გიორგი რომელაშვილი** (თბილისი). მწვრთნელი ზურაბ ანთაური.

62 კგ. **გიორგი სუხიტაშვილი** (რუსთავი). 90+107=197 კგ. მწვრთნელი ვახტანგ ლობჟანიძე -.

69 კგ.: **რომან სარქისიანი** (თბილისი) - 94+117=211 კგ. მწვრთნელი გურამ ფარულავა.

77 კგ.: **ნიკა ნიკლაური** (თბილისი) - 110+137=247 კგ. მწვრთნელი გურამ ფარულავა.

85 კგ.: **გიორგი თაქთაქიშვილი** (თბილისი) - 105+125=230 კგ. მწვრთნელი გურამ ფარულავა.

94 კგ.: **დავით ნოზაძე** (თბილისი) - 110+140=250 კგ. მწვრთნელი გურამ ფარულავა.

105 კგ.: **თორნიკე კოკაია** (აფხაზეთი) - 150+180=330 კგ. მწვრთნელი ავთო გახოკიძე.

+105 კგ.: **გიორგი მაჭავარიანი** (აჭარა) - 160+195=355 კგ. მწვრთნელი ავთო გახოკიძე.

როგორც ხედავთ 105-ში თორნიკე კოკაიას საკმაოდ მაღალი შედეგი აქვს ნაჩვენები, მაჭავარიანს კი შესაძლებელზე ნაკლები, მაგრამ ის აშკარად მოერიდა მტკივანი ხელის ძალიან დატვირთვას - მით უმეტეს ამას აზრი არ ჰქონდა, რადგანაც გასამარჯვებლად ესეც ეყო. აღსანიშნავია ასევე მწვრთნელ გურამ ფარულავას წარმატება: მისმა ოთხმა აღზრდილმა მოიპოვა პირველი ადგილი.

ზვიად შათირიშვილი

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ საქართველოს უმშვენიერესი კუთხის, სვანეთის მკვიდრის, გამოჩენილი ვეტერანი სამთომეთხილამურის და წარჩინებული მწვრთნელის, უღალატო მეგობრის

გივი ჯაფარიძის

გარდაცვალების გამო.

ოთარ გოცირიძე, ოთარ ხვედელიძე, იური ოგანეზოვი,
გერა აბრამიშვილი, გრიშა ასლანიანი, გიგალა მახარაშვილი



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ორგანიზაციის ყოფილი წევრი, ხელბურთის ეროვნული ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, შემდეგ საპატიო პრეზიდენტი, ვეტერანი ხელბურთელი

თენგიზ გაზდელიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ხელბურთის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა ამავე ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი და 2004 წლიდან საპატიო პრეზიდენტი, ვეტერანი ხელბურთელი, სპორტის ოსტატი, ყოფილი პარლამენტარი

თენგიზ გაზდელიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვილი: 4, 5 XII; გამოსვენება 6 XII, 14 სთ; საბურთალოს სასაფლაოს სამების ეკლესიიდან.

ᲑᲘᲐᲗᲚᲝᲜᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲐᲡᲘ

ᲙᲝᲜᲒᲘᲝᲚᲐᲢᲘ (ᲤᲘᲜᲔᲗᲘ)

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

15 ᲙᲛ. ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ: 1. მარტინა გლაგოვი (გერ) - 46:28.8 (0+0+0+0); 2. ტატიანა მოისეევა (რუს) - +6.7 (0+0+0+0); 3. სიმონე დენკინგერი (გერ) - +1:02.7 (0+1+0+1); 4. ანა-კარინ ოლოფსონი (შვედ) - +1:03.8 (1+1+0+0); 5. ჰელენა იონსონი (შვედ) - +1:35.1 (0+0+1+0); 6. ტეია გრეგორინი (სლოვენ) - +1:39.7 (0+2+0+0).

7.5 ᲙᲛ. ᲡᲞᲠᲘᲜᲢᲘ: . 1. მარტინა გლაგოვი (გერ) - 21:24.1 (0+0); 2. კატი ვილპელმი (გერ) - +0.3 (1+0); 3. ტორა ბერგერი (ნორ) - +0.6 (0+0); 4. ანდრეა ჰენკელი (გერ) - +3.0 (0+0); 5. კაისა ვარისი (ფინ) - +16.9 (0+1); 6. კაისა მაკარაინენი (ფინ) - +18.3 (0+1).

10 ᲙᲛ. ᲒᲐᲛᲝᲛᲝᲬᲔᲕᲜᲘᲗᲘ: . 1. ტორა ბერგერი (ნორ) - 31:59.73 (0+0+0+1); 3. ანდრეა ჰენკელი (გერ) - +18.8 (0+0+2+0); 3. მარტინა გლაგოვი (გერ) - 42.5 (0+0+1+0); 4. სანდრინ ბეი (საფ) - +49.8 (0+0+1+1); 5. ეკატერინა იურეევა (რუს) - +56.6 (1+1+0+0); 6. კატი ვილპელმი (გერ) - +1:29.1 (0+1+0+2).

მამაკაცები

20 ᲙᲛ. ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ: . 1. ვენსან დეფრასნი (საფ) - 51:25.2 (0+0+0+0); 2. პალვარდ პანევოლდი (ნორ) - +23.6 (0+1+0+0); 3. მაქსიმ ჩუდოვი (რუს) - +30.2 (0+0+1+0); 4. სერგეი როუკოვი (რუს) - +51.1 (0+0+1+0); 5. დანიელ გრაფი (გერ) - +1:17.4 (0+0+0+1); 6. ალექსეი ჩურინი (რუს) - +1:19.6 (0+0+0+0).

10 ᲙᲛ. ᲡᲞᲠᲘᲜᲢᲘ: . 1. ოლე-ეინარ ბიორნდალენი (ნორ) - 23:13.4 (0+0); 2. დმიტრი იაროშჩენკო (რუს) - +12.7 (1+0); 3. კარსტენ პუმპი (გერ) - +23.3 (0+0); 4. ალექსანდრ ოსი (ნორ) - +24.7 (0+1); 5. ბიორნ ფერი (შვედ) - +26.9 (0+0); 6. ივან ჩერეზოვი (რუს) - +27.7 (0+0).

12.5 ᲙᲛ. ᲒᲐᲛᲝᲛᲝᲬᲔᲕᲜᲘᲗᲘ: . 1. ივან ჩერეზოვი (რუს) - 32:51.96 (0+0+0+0); 2. ოლე-ეინარ ბიორნდალენი (ნორ) - +27.7 (1+1+0+2); 3. დმიტრი იაროშჩენკო (რუს) - +1:00.5 (0+0+0+3); 4. ბიორნ ფერი (შვედ) - +1:21.3 (0+0+2+0); 5. რუნე ბრატსვეენი (ნორ) - +1:23.3 (0+0+1+2); 6. მაქსიმ ჩუდოვი (რუს) - +1:24.2 (1+0+0+0).

ᲗᲘᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲑᲝᲚᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲐᲡᲘ

ᲙᲣᲡᲐᲛᲝ (ᲤᲘᲜᲔᲗᲘ)

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ

1.2 ᲙᲛ. ᲡᲞᲠᲘᲜᲢᲘ: . 1. იოპან კიოელსტადი (ნორ); 2. ემილ იოენსენი (შვედ); 3. მატს ლარსონი (შვედ); 4. ენდრიუ ნიუელი (აშშ); 5. ნიკიტა კრიუკოვი (რუს); 6. ლასილა კალე (ფინ).

15 ᲙᲛ. ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ: . 1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხ) - 37:15.8; 2. ელდარ რიონინგი (ნორ) - 37:36.2; 3. აქსელ ტაიხმანი (გერ) - 37:37.7; 4. ვასილი რიოტჩევი (რუს) - 37:38.7; 5. კრის ფრიმანი (აშშ) - 37:43.3; 6. იენს არნე სვარტეფალი (ნორ) - 37:44.5.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ: : 1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხ) - 180 ქულა; 2. აქსელ ტაიხმანი (გერ) - 160; 3. იოპან კიოელსტადი (ნორ) - 124; 4. ბიორნ ლინდი (შვედ) - 109; 5. იოზეფ ვენცლი (გერ) - 100; 6. ელდარ რიონინგი (ნორ) - 99.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

1.2 ᲙᲛ. ᲡᲞᲠᲘᲜᲢᲘ: . 1. პეტრა მაიდიჩი (სლოვენ); 2. ასტრიდ იაკობსენი (ნორ); 3. ალიონა პრობაზკოვა (სლოვაკ); 4. ნატალია მატვეევა (რუს); 5. მადოკა ნაცუმი (იაპ); 6. ევგენია შაპოვალოვა (რუს).

10 ᲙᲛ. ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ: . 1. მარიტ ბიორგენი (ნორ) - 28:32.8; 2. ასტრიდ იაკობსენი (ნორ) - 28:41.8; 3. იუსტინა კოვალჩიკი (პოლ) - 28:56.4; 4. ვიბეკე სკოფტერუდი (ნორ) - 29:10.6; 5. პეტრა მაიდიჩი (სლოვენ) - 29:17.9; 6. ტერეზ იოპაუგი (ნორ) - 29:20.3.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ: : 1. მარიტ ბიორგენი (ნორ) - 312 ქულა; 2. ასტრიდ იაკობსენი (ნორ) - 200; 3. პეტრა მაიდიჩი (სლოვენ) - 169; 4. ნატალია მატვეევა (რუს) - 150; 5. ვიბეკე სკოფტერუდი (ნორ) - 132; 5. იუსტინა კოვალჩიკი (პოლ) - 132.

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲠᲘ ᲛᲝᲠᲐᲒᲘᲓᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲐᲡᲘ

ᲙᲣᲡᲐᲛᲝ (ᲤᲘᲜᲔᲗᲘ)

HS142 (ᲒᲣᲜᲓᲘᲠᲘ): : 1. ნორვეგია (ბიორნ ეინარ რომოერენი, ტომ ჰილდე, ანდრეს ბარდალი, როარ ლიოკელსოე) - 1152.8; 2. ავსტრია (ვოლფგანგ ლოიტცლი, მარტინ კოხი, გრეგორ შლირენცაუერი, ტომას მორგენშტერნი) - 1131.1; 3. ფინეთი (მატი ჰაუტამაეკი, ჰარი ოლი, არტუ ლაპი, იანე აჰონენი) - 1129.3; 4. სლოვენია - 1077.2; 5. გერმანია - 1050.5; 6. 6. იაპონია - 1032.9.

HS142: 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) - 308.8 (146.5+137.0); 2. ბიორნ ეინარ რომოერენი (ნორ) - 306.6 (143.0+139.0); 3. ტომ ჰილდე (ნორ) - 298.9 (142.0+138.5); 4. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) - 298.1 (147.0+135.0); 5. მატი ჰაუტამაეკი (ფინ) - 290.1 (141.5+130.5); 6. ანდერს იაკობსენი (ნორ) - 287.6 (136.5+138.0).

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲠᲘ ᲛᲝᲠᲐᲒᲘᲓᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲐᲡᲘ

ᲙᲣᲡᲐᲛᲝ (ᲤᲘᲜᲔᲗᲘ)

HS142+15.0 ᲙᲛ. ᲒᲣᲜᲓᲘᲠᲡᲔᲜᲘ: : 1. რონი აკერმანი (გერ) - 40:54.8; 2. ჯონი სპილანე (აშშ) - 41:08.2; 3. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) - 41:09.1; 4. ერიკ ფრენცელი (გერ) - 41:09.7; 5. ანსი კოივურანტა (ფინ) - 41:14.2; 6. პეტერ ტანდე (ნორ) - 41:18.8.

HS142+7.5 ᲙᲛ. ᲡᲞᲠᲘᲜᲢᲘ: : 1. ბიორნ კირხაზენი (გერ) - 19:05.8; 2. პანუ მანინენი (ფინ) - 19:08.9; 3. ბილ დემონგი (აშშ) - 19:19.6; 4. რონი აკერმანი (გერ) - 19:23.7; 5. ანსი კოიეურანტა (ფინ) - 19:37.2; 6. ჯონი სპილანე (აშშ) - 19:51.6.

ᲡᲘᲒᲣᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲘᲠᲑᲘᲚᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲐᲡᲘ

ᲙᲝᲚᲝᲛᲜᲐ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ)

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ

1 500 მ: . 1. ერბენ ვენემარსი (ჰოლ) - 1:46.07; 2. ენრიკო ფაბრისი (იტა) - 1:46.09; 3. პევარდ ბოკო (ნორ) - 1:46.12; 4. ივან სკობრევი (რუს) - 1:46.25; 5. მარკ ტუიტერტი (ჰოლ) - 1:46.39; 6. ჩად პედრიკი (აშშ) - 1:46.65.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ (1500): 1. ერბენ ვენემარსი (ჰოლ) - 260; 2. ენრიკო ფაბრისი (იტა) - 170; 3. სიმონ კუიპერსი (ჰოლ) - 164; 4. პევარდ ბოკო (ნორ) - 155; 5. შენი დევისი (აშშ) - 150; 6. მარკ ტუიტერტი (ჰოლ) - 148.

10 000 მ: 1. პევარდ ბოკო (ნორ) - 13:06.53; 2. ტომ პრინსენი (ჰოლ) - 13:16.11; 3. ბობ დე იონგი (ჰოლ) - 13:17.77; 4. მარკო ვებერი (გერ) - 13:18.60; 5. ჩად პედრიკი (აშშ) - 13:21.47; 6. ბრიგტ რიკიე (ჰოლ) - 13:23.81.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ (5 000/10 000): 1. პევარდ ბოკო (ნორ) - 220; 2. ენრიკო ფაბრისი (იტა) - 180; 2. სვენ კრამერი (ჰოლ) - 180; 4. ბობ დე იონგი (ჰოლ) - 158; 5. ტომ პრინსენი (ჰოლ) - 156; 6. კარლ ვერპეიენი (ჰოლ) - 130.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

1 500 მ: 1. ანი ფრიზინგერი (გერ) - 1:55.39; 2. კრისტინ ნესბიტი (კან) - 1:56.00; 3. დანიელა ანშუტც-ტომსი (გერ) - 1:57.10; 4. კრისტინა გროვსი (კან) - 1:57.33; 5. დიან ფალკენბურგი (ჰოლ) - 1:58.20; 6. ეკატერინა ლობიშევა (რუს) - 1:58.40.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ (1500): 1. კრისტინ ნესბიტი (კან) - 280; 2. კრისტინა გროვსი (კან) - 210; 3. ანი ფრიზინგერი (გერ) - 180; 4. დანიელა ანშუტც-ტომსი (გერ) - 166; 5. კიარა სიმონატო (იტა) - 115; 6. კლაუდია პეხშტაინი (გერ) - 98.

5 000 მ: 1. მარტინა საბლიკოვა (ჩეხ) - 6:53.67; 2. კლარა პიუზი (კან) - 6:56.63; 3. დანიელა ანშუტც-ტომსი (გერ) - 6:58.58; 4. კლაუდია პეხშტაინი (გერ) - 6:59.96; 5. კრისტინა გროვსი (კან) - 7:00.60; 6. სინდი კლასენი (კან) - 7:05.03.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ (3 000/5 000): 1. მარტინა საბლიკოვა (ჩეხ) - 300; 2. კლაუდია პეხშტაინი (გერ) - 180; 3. კლარა პიუზი (კან) - 170; 4. კრისტინა გროვსი (კან) - 170; 5. დანიელა ანშუტც-ტომსი (გერ) - 160; 6. რენატ გრონვეოლდი (ჰოლ) - 150.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

NBA. ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲓᲐᲜᲙᲐᲜᲘᲡ ᲭᲠᲐᲕᲛᲐ ᲓᲐ ᲭᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲨᲘ

ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ, ᲚᲐᲦ და ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲡ თამაშობს "გოლდენ სტეიტი", რომელმაც სეზონის სტარტზე ზედიზედ 6 წაგების შემდეგ, შემდგომი 10 დაპირისპირებიდან 9 მოიგო.

თავისთავად, დიდი ბონუსი იყო გუნდის კაპიტნის, **სტივენ ჯექსონის** მწყობრში ჩადგომა, მაგრამ ესეც რომ არა, კალიფორნიელები იმდენად ძნელად პროგნოზირებად კალათბურთს თამაშობენ, რომ მათთვის რაიმე დაცვითი სქემების დაპირისპირება რთული იქნება.

დონ ნელსონის გუნდმა მორიგ შეხვედრაში სიეტლში "სონიქსს" გადაუარა, ხოლო მასპინძელთა ახალბედა ვარსკვლავი **კევინ დიურანი** ამჯერად ოდენ 6 ქულას დასჯერდა და ეს მას მერე, რაც ნინა მატჩში "სონიქსის" ფორვარდმა 35 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა.

დიურანმა პირველ ნახევარში უქულოდ იბურთავა და საბოლოოდ, თამაშიდან 12-ში 10 სროლა გააფუჭა.

"კევინი უნიჭიერესი მოთამაშეა, რომელიც ჩვენი ლიგის სახედ უნდა იქცეს. მისი სისწრაფე, ძალა და ენერგია თითქმის ყველას დიდ პრობლემებს შეუქმნის. დღეს მისი დღე არ იყო, მაგრამ ჩვენმა დამცველებმაც კარგად იმუშავეს და მათი დამსახურებაა, რომ დიურანმა დღეს ძალიან ბევრი სროლა რთული სიტუაციიდან შეასრულა", - ასეთი იყო დონ ნელსონის კომენტარი.

"გოლდენ სტეიტში" მიმდინარე რეგულარულში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა ლატვიელმა ცენტრმა **ანდრის ბიედრინსმა**, რომელმაც "სიეტლის" მეფარეებს, მეტადრე კი გამოცდილ **კურტ ტომასს** თითქმის ყველა კომპონენტში აჯობა. ანდრისმა საბოლოოდ, 27 წუთში 12-დან 9 სროლა ჩააგდო და შეხვედრა უშეცდომოდ ჩაამთავრა.

სამმაგ დუბლს მიუკაკუნა **ბაირონ დევისმა,** თუმცა "უორიორზის" ლიდერმა 16-ში 11 სროლაც გააფუჭა და დიდი შესვენების მერე მსაჯებს ტექნიკური შენიშვნაც დასტყუა.

"გოლდენ სტეიტს" ერთადერთი უსიამოვნო ამბავი შეხვედრის მეორე ნახევარში შეემთხვა, როდესაც ფრანგ **მიკაელ პიეტრუსს** სახეში დიურანის იდაყვი მოხვდა და იგი მოედნიდან ცხვირგატეხილი გაიყვანეს.

მძიმე დღეში ჩავარდა ლიგის მოქმედი ჩემპიონი "სან ანტონიო სპურსი", რომელმაც "პორტლენდ ტრაილ ბლეიზერსთან" მოგებულ შეხვედრაში დაკარგა თავისი ლიდერი **ტიმ დანკანი.**

მეორე მეოთხედში ტიმი მეტოქის ფარქვეშეთში **ჯეიმს ჯოუნსთან** ჭიდილისას წაბორძიკდა, წონასწორობა ვერ შეიკავა და **ლამარკუს ოლდრიჯს** ფეხი რომ წამოკრა, მარკვენა მუხლზე დაეშვა. დანკანი ვერ წამოდგა, მოედანი თანაგუნდელების დახმარებით დატოვა და მოგვიანებით გაირკვა, რომ "სპურსის" კაპიტანს მარჯვენა მუხლისა და მარჯვენა კოჭის მყესები ჰქონია დაჭიმული.

"გადავრჩით, რომ ტიმის ტრავმა მას მთელ სეზონს არ გამოატოვებინებს. ამ ეტაპზე მხოლოდ ის ვიცით, რომ დანკანი მინიმუმ ერთი თვე ვერ ითამაშებს და თუ როდის დაასრულებს ტიმი მკურნალობას, ამას შემდეგ სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ გავარკვევთ", - განაცხადა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე **ტონი პარკერმა,** რომელმაც თავისი გუნდის წარმატებაში ყველაზე დიდი როლი ითამაშა.

"სპურსმა" ზედიზედ მესამე შეხვედრა კი მოიგო, მაგრამ უდანკანოდ ამ სერიის კი არა, თუნდაც მიყოლებით რამდენიმე შეხვედრის მოგება მაგრად გაუჭირდება. შემდეგ ორ ოპონენტად "სპურსს" "დალასი" და "იუტა" ეყოლება და **გრეგ პოპოვიჩის** ბიჭები თანაკონფერენციელებთან მატჩებში ფავორიტები ნამდვილად არ იქნებიან.

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ფიასკო განიცადა **შაკისა** და **დუეინ უეიდის** "ჰიტმა" და სიმართლე გითხრათ, თუ ასევე აუტსაიდერებში გადავარდნილ "ჩიკაგოს" უფსკრულიდან ამოსვლის ყველანაირი შესაძლებლობა აქვს, ფლორიდელებთან მიმართებაში რაიმე პროგრესზე საუბარი რთულია.

"მაიამი" კოლორადოში "ნაგეტსთან" განადგურდა და შაკმა ვერაფერი დაუპირსპირა **მარკუს კემბის** ათლეტურობასა და რკინის დაცვას – დეკატმა ონილმა მატჩი 19 წუთში 6 ქულით დაასრულა და მისი პასიურობა თუ უუნარობა ვერც 8 მოხსნამ გადაფარა.

კემბიმ კი კარიერაში მეთვრამეტედ გააკეთა 20-ზე მეტი მოხსნა და ამ სეზონში აღნიშნულ სტატისტიკურ მაჩვენებელში ლიგაში პირველ ადგილზე (ერთ მატჩში საშუალოდ 14.7) იმყოფება.

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ ტურში ერთი ტრაგედიაც მოხდა - ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში", ადგილობრივი „ნიქსისა" და „ფინიქს სანზის" შეხვედრის დროს, ტრიბუნაზე გულის შეტევა მიიღო ნიუიორკული გუნდის მცველის, **სტეფონ მარბერის** მამამ - **დონ მარბერიმ**. ის მატჩის შემდეგ საავადყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს.

არადა, იმ მატჩის დროს, დონ მარბერის სანერვიულო ბევრი არაფერი ჰქონდა - მისმა შვილმა 21 ქულა დააგროვა. მართალია „ნიქსმა" წააგო, მაგრამ ეს დღეს არავის უკვირს.

ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ-ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘ 100:79

23:17, 28:21, 26:19, 23:22

სან ანტონიო: ტ. პარკერი (27 ქ. 8 პ. 4 მ), ბ. ბერი (17 ქ. 5 მ. 3 პ), ბ. ბოუენი (10 ქ. 2 ჩ), ვონი (10 ქ).

პორტლენდი: ტ. აუთლო (17 ქ. 11 მ), უებსტერი (17 ქ), ჯ. ჯოუნსი (10 ქ).

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ-ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘ 80:70

17:19, 26:20, 21:11, 16:20

ბოსტონი: რ. ალენი (20 ქ. 4 მ. 2 ჩ), რონდო (12 ქ. 5 მ. 2 ჩ).

კლივლენდი: ილგაუსკასი (12 ქ. 13 მ), პავლოვიჩი (11 ქ), გუდენი (10 ქ. 11 მ), დ. ჯოუნსი (6 ქ. 10 მ. 2 დ).

ᲙᲚᲘᲞᲠᲘᲡᲘ-ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ 95:101

19:32, 32:18, 25:27, 19:24

კლიპერსი: კამანი (22 ქ. 22 მ. 5 დ), მაგეტი (19 ქ. 5 მ), ტომ ტომასი (13 ქ. 6 მ), მობლი (13 ქ), ტორნტონი (10 ქ).

ინდიანა: ტინსლი (29 ქ. 7 პ. 3 ჩ), ჯ. ონილი (20 ქ. 15 მ), მ. დანლიეი-უმცროსი (17 ქ. 2 დ), გრეინჯერი (10 ქ. 3 ჩ. 3 დ).

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ 118:95

27:27, 27:17, 33:23, 31:28

დეტროიტი: რ. ჰამილტონი (19 ქ), ბილაპსი (18 ქ. 9 პ), მაქსიელი (18 ქ. 11 მ. 3 დ), ჯ. ჰეიესი (14 ქ), რ. უოლასი (12 ქ. 6 მ. 2 ჩ. 2 დ), მაკდაიესი (12 ქ. 6 მ).

ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (22 ქ), რ. ჯეფერსონი (21 ქ. 5 მ), ნახბარი (11 ქ), მ. ალენი (10 ქ), კიდი (6 ქ. 16 პ. 7 მ. 3 ჩ).

ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ-ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ 104:115

29:37, 28:24, 27:24, 20:30

ნიუიორკი: კარი (21 ქ. 8 მ), მარბერი (21 ქ. 4 პ), ზ. რენდოლფი (19 ქ. 10 მ. 5 პ), კ. რიჩარდსონი (15 ქ. 9 მ. 6 პ), ლი (12 ქ. 5 მ), ჯ. ჯროუფორდი (10 ქ).

ფინიქსი: გ. ჰილი (28 ქ. 8 მ. 7 პ. 3 ჩ), ა. სტაუდმაიერი (28 ქ. 12 მ. 3 პ), მერიონი (15 ქ. 7 მ. 3 ჩ), ბარბოსა (15 ქ), რ. ბელი (12 ქ), ნეში (9 ქ. 15 პ).

ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ-ᲛᲐᲘᲐᲛᲘ 115:89

37:17, 22:25, 33:22, 23:25

დენვერი: ენტონი (30 ქ. 6 მ. 3 პ), აივერსონი (20 ქ. 5 პ), კენინმ მარტინი (20 ქ. 8 მ. 3 პ. 2 ჩ), ჯეი. არ. სმიტი (11 ქ), ნახერა (10 ქ. 2 ჩ), კემბი (7 ქ. 21 მ. 6 პ. 2 დ).

მაიამი: უეიდი (13 ქ. 3 პ), რ. დევისი (11 ქ), კუკი (11 ქ).

ᲡᲘᲔᲢᲚᲘ-ᲒᲝᲚᲓ. ᲡᲢ 96:109

18:35, 23:25, 25:28, 30:21

სიეტლი: უილკოქსი (16 ქ. 11 მ), უოტსონი (16 ქ. 5 მ. 5 პ), ჯ. გრინი (13 ქ. 8 მ), შეერბიაკი (12 ქ. 5 მ).

გოლდენ სტეიტი: ს. ჯექსონი (20 ქ. 3 პ. 3 ჩ), ე. პარინგტონი (20 ქ. 7 მ), ბიედრინსი (18 ქ. 16 მ. 3 დ), ბ. დევისი (14 ქ. 9 პ. 8 მ. 4 ჩ), აზუბუიკე (14 ქ).

ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ-ᲞᲝᲠᲢᲚᲐᲜᲓᲘ 97:104

30:24, 25:39, 20:14, 22:27

ლოსანჯელესი: ბრაიანტი (28 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ), ოდომი (19 ქ. 17 მ. 3 პ), ბინუმი (10 ქ. 7 დ. 6 მ).

ორლანდო: რ. ლიუისი (18 ქ. 7 პ), დ. ჰოვარდი (17 ქ. 8 მ. 5 დ), თურქოღლუ (14 ქ. 10 მ. 7 პ), დულინგი (14 ქ. 4 პ).



ᲰᲝᲙᲔᲘ

NHL. ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘ-ᲔᲚᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ 0:4

0:2, 0:2, 0:0

გოლები: 0:1 ტორესი-5 (სტორტინი-2, სტოლი-8), 0:2 პენერი-5 (ნილსონი-6, კოლიანო-10), 0:3 პიტკანენი-2 (ჰორკოფი-14, სტოლი-9), 0:4 გილბერტი-4 (სემ განიე-9, ჰორკოფი-15).

ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ-ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ 3:2 (Ჯ)

1:1, 1:0: 0:1, 0:0

გოლები: 0:1 ტ. უაიტი-6 (ენსტრომი-13, მარიან ჰოსა-12), 1:1 ბრილინი-3 (ჰ. მარტინი-10, მადენი-10), 2:1 მადენი-7 (რახუნეკი-5, ბრილინი-3), 2:2 კოვალჩუკი-22 (ლიტლი-6, ჰეიდარი-7).

ბულიტები გაიტანეს: ჯონტა (ნიუ ჯერსი).

ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ-ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ 2:1

1:0, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 ბელანჟე-6 (ჰილი-1, როსტონი-10), 1:1 მ. ბრაუნი-1 (კრაიჩეკი-5, პიატი-6), 2:1 ვოროსი-4 (გაბორიკი-11).

ფორმულა 1. დაჯილდოება

ჰემილტონი საუკეთესოდ აღიარეს

ლუის ჰემილტონი დაჯილდოების ცერემონიაზე

პრესტიჟულმა ინგლისურმა ავტოსპორტულმა გამოცემა "ავტოსპორტმა" მსოფლიოს წლის საუკეთესო ავტომრბოლად ფორმულა ერთის ბრიტანელი ახალბედა, სადებიუტო ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასული **ლუის ჰემილტონი** დაასახელა. ამ ჯილდოს გარდა, დიდი პრიზების ცირკის პირველმა შავკანიანმა პილოტმა კიდევ რამდენიმე აღიარება დაიმსახურა, რომელთა შორისაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ლეგენდარულ ბრაზილიელ **აირტონ სენას** მისმა დამ შეადარა.

"ლუისი ჩემს ძმას მაგონებს როგორც პილოტი და როგორც კარგი ადამიანი. სიკეთეს მის თვალებში ამოიკითხავთ, თავის ადამიანობას კი ის ყოველდღიური ქცევებით გვიდასტურებს. და თუ რა შეუძლია ტრასაზე, ეს გასულ სეზონში არაერთხელ ვიხილეთ", - "ავტოსპორტის" დაჯილდოების ცერემონიაზე განაცხადა **ვიჯეინ სენამ**.

შეგახსენებთ, რომ "მაკლარენის" პილოტმა ფორმულა ერთში თავისი პირველი სეზონის დიდი ნაწილი ლიდერის რანგში გაატარა, ტიტული კი ბოლო რბოლაში დათმო. მან მხოლოდ ერთი ქულა წააგო "ფერარის" ფინელ პილოტ **კიმი რაიკონენთან**. თუმცა, ჟურნალ "ავტოსპორტის" გამოკითხვამ ის მაინც მსოფლიოს საუკეთესო ავტომრბოლად დაასახელა.

ვივიენ სენამ 22 წლის ჰემილტონს წლის საუკეთესო ბრიტანელი პილოტის პრიზი გადასცა. ფორმულა ერთის ყოფილმა პილოტმა, მსოფლიოს ბოლო ბრიტანელმა ჩემპიონმა (1996 წელი) **დეიმონ ჰილმა** კი წლის საუკეთესო ახალბედას პრიზი გადასცა. სხვათა შორის, ეს პრიზი ჰემილტონმა შარშანაც დაიმსახურა.

"გაოგნებული ვარ. ამ აღიარებას ნამდვილად არ ველოდი, სენასთან შედარება კი ჩემთვის განსაკუთრებული მოვლენაა, რაზეც ოცნებაც არ შემეძლო. სენას ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ყოველთვის ვუყურებ ხოლმე მისი რბოლების ჩანაწერებს და ამით ბევრ რამეს ვსწავლობ. როგორ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ამ ადამიანს მისივე და შემადარებდა", - განაცხადა ჰემილტონმა, ვინც სენას დაღუპვიდან ერთი წლის შემდეგ, როცა 12 წლის იყო, მაკლარენის შტა-ბინაში მივიდა და კომპანიის შეფ **რონ დენისს** განუცხადა, რომ ოდესმე მის გუნდში ასპარეზობაზე ოცნებობდა. იმ ნათქვამმა დენისზე ძლიერ იმოქმედა, რის შემდეგაც მან შავკანიანი ბიჭუნას მეურვეობა (ავტოსპორტში) იკისრა.

"ავტოსპორტის" გამოკითხვამ გასული სეზონის მსოფლიოს საუკეთესო რალისტად მსოფლიო ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასული ფინელი **მარკუს გრონჰოლმი** დაასახელა. არადა, რამდენიმე საათით ადრე, გრონჰოლმმა ჩემპიონის ტიტული ფრანგ **სებასტიან ლოებს** დაუთმო, რომელიც მსოფლის ჩემპიონი ზედიზედ მეოთხედ გახდა.

"მაკლარენის" სარბოლ ბოლიდ MP4-22-ს მსოფლიოს საუკეთესო სარბოლი ავტომობილის პრიზი ერგო. არადა, ინგლისური გუნდისთვის გასული სეზონი მძიმე გამოცდა იყო – საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის მოტორ სპორტის საბჭომ ის "ფერარისგან" უკანონოდ მოპოვებული ინფორმაციის ფლობასა და გამოყენებაში ბრალდებულად სცნო, რის გამოც, კონსტრუქტორთა პირველობიდან მოხსნა და 100 მილიონი დოლარის გადახდაც დააკისრა.

ავტოსპორტში 30-წლიან მოღვაწეობასთან დაკავშირებით, სპეციალური ჯილდო გადაეცა "უილიამსის" თანამფლობელსა და მთავარ ინჟინერ **რატრიკ ჰედს**. მართალია, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი გუნდისთვის გასულ სეზონში დაკავებული მეოთხე ადგილი (ისიც მაკლარენის დისკვალიფიკაციის შემდეგ) წარმატებად ვერ ჩაითვლება, მაგრამ გუნდი აშკარა აღმავლობის გზას ადგას და გამორიცხული არაა, რომ მალე კვლავ მოწინავეთა რიგებში ვიხილოთ.

გასულ სეზონში ჩვენ ბევრი არაფრისთვის მიგვიღწევია, ამიტომ, ჩემი აღიარება უბრალო გაუგებრობად მიმაჩნიაო, - "თავი იმართლა" ჰედმა.

მერაბ ლორთქიფანიძე

დიდი ბრძოლის წინ

ლენოქსი ჰატონს ურჩევს...

ზემძიმე წონაში მსოფლიოს ბოლო აბსოლუტური ჩემპიონი, ბრიტანელი **ლენოქს ლუისი** თავის თანამემამულე **რიკი ჰატონს** ურჩევს, თუ **ფლოიდ მეივეზერ უმცროსის** დამარცხება სურს, მაშინ ბრძოლის დასაწყისშივე უნდა შეუტიოს და ეცადოს, ის ოთხ რაუნდში, ნოკაუტით მოიგოს.

"ჩემი აზრით, ამ ბრძოლაში ფავორიტი მეივეზერი იქნება, რადგან მას დახვეწილი საკრივო ოსტატობა, განსაკუთრებული საბრძოლო სტილი აქვს, ძალიან მოძრავი და უსწრაფესი მოკრივეა. ამ მონაცემების მხრივ, მას მსოფლიოში ვერავინ შეედრება. სისწრაფე მას მეტოქის მუშტებისგან თავის არიდების საშუალებას აძლევს. მაგრამ ჰატონს გარკვეული შანსი მაინც ექნება. ამისათვის, მან თავიდანვე უნდა შეუტიოს და ფლოიდს გასაქანი არ უნდა მისცეს. და თუ ბაგირებთან მიმწყვდევას შეძლებს, მაშინ გამარჯვების შანსიც გაუჩნდება. თუ რიკი მას ტკივილს მიაყენებს და მოძრაობას შეუზღუდავს, მაშინ შეუძლია, მოგების იმედი ჰქონდეს. თუ ფლოიდი მოიგებს, ეს ქულებით მოხდება, რიკის კი გამარჯვებას მხოლოდ ნოკაუტი თუ მოუტანს. მოკლედ, ჰატონს გამარჯვებისთვის ცოფიანივით გარჯა მართებს", - ბიბისის რადიოსთან საუბრისას განაცხადა ლუისმა.



ჰატონი მეივეზერთან ბრძოლისთვის მზადაა

ორივე მოკრივე პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელია. ამერიკელს 38 ბრძოლიდან ყველა მოგებული აქვს, ჰატონმა კი 43-ვე ბრძოლა მოიგო. ამასთან, მეივეზერი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ხუთ წონით კატეგორიაში (ექვსჯერ) ფლობდა, როცა ჰატონმა საჩემპიონო ქამრები მხოლოდ ორ წონაში მოიპოვა. მათი შეხვედრა 8 დეკემბერს, ლას ვეგასის სასტუმრო-კაზინო "MGM გრანდის" ჰოლში მოწყობილ რინგზე ჩატარდება. ბრძოლა როჭოს წონაში შედგება, სადაც მეივეზერი WBC-ს (კრივის მსოფლიო საბჭო) ქამარს ფლობს. აღსანიშნავია, რომ ამ წონაში ორი დაუმარცხებელი მოკრივე ბოლოს 1999 წელს დაუპირისპირდა. მაშინ ერთმანეთს **ოსკარ დე ლა ჰოია** და **ფელიქს ტრინიდადი** შეხვდნენ.

ჰატონი დარწმუნებულია, რომ ის შეძლებს მეივეზერის მოხელთებას. *"ორასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ამას შევძლებ. შემიძლია, ფსონში მთელ ჩემს ქონებას ჩამოვიდე იმაზე, რომ ბრძოლა ჩემი გამარჯვებით დასრულდება. ის მზადაა, მომკლას, რათა მიზანს მიაღწიოს. ზედმეტი აგრესია კი მოკრივისთვის მხოლოდ ხელის შემშლელია. ჩემთვს ძველი მიღწევები არაფრის მთქმელია. არ მაინტერესებს ის ტიტულები, რომლებიც მას ოდესმე მოუპოვებია. არც მათზე ვფიქრობ, ვინც მან დაამარცხა. ბრძოლისთვის მზადების დროს მისი ბრძოლების ჩანაწერებს ვსწავლობ, რათა ვიცოდე, რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარე. პირველი დასკვნა, რაც ამ ჩანაწერების შესწავლის შემდეგ გამოვიტანე, ისაა, რომ მას ზეწოლის ქვეშ ბრძოლა არ ეხერხება. ოსკართან ბრძოლაში ეს არ ჩანდა, რადგან ოსკარი ტექნიკური მოკრივეა და მეტოქის მუდმივად ზეწოლის ქვეშ ყოლა მისი სტილი არ არის. პირველ ექვს რაუნდში მას ამოსუნთქვის საშუალებას არ მივცემ. თან იმაზეც ვიზრუნებ, რომ საჭიროების შემთხვევაში, ბოლო ექვსი რაუნდისთვისაც დამრჩეს ენერგია", -* ამბობს ჰატონი.

4 დეკემბერი. სამშაბათი

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ფულჰემი.
15:05 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:15 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
20:00 კომენტატორების კონკურსი. ფინალი.
22:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მილანი-სელტიკი (LIVE).
01:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. შახტარი-ბენფიკა.

SPORT 1 (უკრაინა)

09:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:51 ფეხბურთი. Barca TV.
10:00 სპორტკლუბი.
11:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომაუდინეზე.
12:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:36 ჰოკეი.
14:02 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ფულჰემი.
15:51 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. III ეტაპი. მალაიზია.
16:48 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი. დუბაი. საემიროები.
18:52 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ბარსელონა.
20:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:58 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მილანი-სელტიკი (LIVE).
01:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:57 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომაუდინეზე.
03:42 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მონრეალი-დეტროიტი (LIVE).
07:13 ჰოკეი.
07:37 სპორტდოსიე. თხილამურები.

EUROSPORT

11:30 მულტისპორტი.
12:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
12:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
14:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. შტუტგარტი-რეინჯერსი.
15:45 ევროსპორტის ჩემპიონები. ტიერი ანრი.
16:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლივერპული-პორტუ.
17:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
18:00 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. ქალები. გერმანია-დანია. გერმანია (LIVE).
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა. ფინალი. პერტი.
22:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
23:00 პროფესიული კრივი. სუპერმძიმე წონა. ა. ბენტო (პორტუგალია)-უ. ნეგი (უნგრეთი). პორტუგალია.
00:00 პროფესიული კრივი. ავსტრია (LIVE).
02:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთის რალი.
03:15 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა. ფინალი. პერტი.
04:00 ევროსპორტის ჩემპიონები. როჯერ ფედერერი.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 მოტოფრისტაილი. პრაღა. ჩეხეთი.
14:00 სუპერკროსი. შვეიცარია.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. სეზონის მიმოხილვა.
18:00 სნოუბორდი. გერმანია.
19:00 მოტოკროსი. აშშ.
20:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
21:00 ახალი ამბები.
21:15 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. V ტური. დინამო (რუსეთი)-ნიმბურკი (ჩეხეთი) (LIVE).
23:00 ახალი ამბები.
23:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. V ტური. ტრევიზო (იტალია)-რიგა (ლატვია).
01:15 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. სეზონის მიმოხილვა.
02:15 ახალი ამბები.
02:30 პრო-რესტლინგი.
03:45 ახალი ამბები.

რალი

მსოფლიო ჩემპიონატი

XVI ეტაპი. ბრიტანეთის რალი

1. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, „ფორდი") - 3:22.50,9; 2. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, „ფორდი") - + 15,2; 3. სებასტიან ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი") - +1.33,0; 4. ჰეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „სუბარუ") - 2.57,3; 5. დანიელ სორდო (ესპანეთი, „სიტროენი") - 3.14.3; 6. მეტიუ ვილსონი (ბრიტანეთი, „ფორდი") - 7.32,9; 7. კრის ატკინსონი (ბრიტანეთი, „სუბარუ") - 8.29,5; 8. მანფრედ სტოლი (ავსტრია, „სიტროენი") - 8.54,6.

საერთო ჩათვლა: 1. სებასტიან ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი") - 116; 2. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, „ფორდი") - 112; 3. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, „ფორდი") - 99; 4. დანიელ სორდო (ესპანეთი, „სიტროენი") - 65; 5. ჰეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „სუბარუ") - 47; 6. ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, „ფორდი") - 34; 7. კრის ატკინსონი (ბრიტანეთი, „სუბარუ") - 31; 8. იარი-მატი ლატვალა („ფორდი") - 30.

სებასტიან ლოებმა „სიტროენის" მანქანით ზედიზედ მეოთხედ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი. ბოლო ეტაპზე - ბრიტანეთის რალიზე ფრანგი პილოტი მესამე ადგილზე გავიდა და ეს საკმარისი აღმოჩნდა ტიტულის მოსაპოვებლად.

ფინელმა პილოტებმა - **მიკა ჰირვონენმა** და **მარკუს გრონჰოლმმა** პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს და ზედიზედ მეორედ მოაპოვებინეს კონსტრუქტორთა თასი „ფორდს". გრონჰოლმი ლოების ერთადერთი კონკურენტი იყო, მაგრამ მან ჩემპიონობა ვერ მოიპოვა და კარიერა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის რანგში დაასრულა.

რაც შეეხება ლოებს, რალის ისტორიაში ის გახდა მესამე პილოტი, ვინც ოთხჯერ მოიგო ტიტული. მანამდე ეს შეძლეს ლეგენდარულმა ფინელებმა - **ტომი მიაკინენმა** და **იუჰა კანკუნენმა**.

ცხელი ხაფანგი

ფეხბურთი

ინგლისი

მანჩესტერი-ფულჰემი	2:0

ჩემპიონატი

სანდერლენდი-ბლეკბერნი	1:1

იტალია

სერია C1/B

კრეტონეზე-გალიპოლი	2:1

გერმანია

II ბუნდესლიგა

ალემანია-მაინცი	0:3

საფრანგეთი

II დივიზიონი

მონპელიე-ნანტი	0:0

პორტუგალია

ბი

წლის სპორტსმენი

აკადემიამ ნომინანტები დაასახელა

ამერიკის სპორტის აკადემიამ 30 ნოემბრიდან გახსნილად გამოაცხადა ხმის მიცემა წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. გასულ წელს, ამ გამოკითხვაში მთელი მსოფლიოდან დაახლოებით მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

ხმის მიცემა 24 დეკემბრამდე გასტანს. უკვე ცნობილი არიან პრეტენდენტები. მამაკაცებიდან ესენი არიან: **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია, ჩოგბურთი), **ჯოშ ბეკეტი** (აშშ, ბეისბოლი), **ტომ ბრეიდი** (აშშ, ამერიკული ფეხბურთი), **ტაისონ გეი** (აშშ, მძლეოსნობა), **ლებრონ ჯეიმსი** (აშშ, კალათბურთი), **ტაიგერ ვუდსი** (აშშ, გოლფი).

ქალებს შორის, ამ საპატიო ტიტულზე ნომინირებულების სია ასე გამოიყურება: **ჟუსიტ ანენი** (ბელგია, ჩოგბურთი), **ვენულ უილიამსი** (აშშ, ჩოგბურთი), **ელენა ისინბაევა** (რუსეთი, მძლეოსნობა), **კაროლინა კლუფტი** (შვედეთი, მძლეოსნობა), **მესერეტ დეფარი** (ეთიოპია, მძლეოსნობა), **ლორენა ოჩოა** (აშშ, გოლფი), **სიუზენ პეტერსენი** (აშშ, გოლფი), **ლორენ ჯექსონი** (ავსტრალია, კალათბურთი).

აქვე შეგახსენებთ, რომ გასულ წელს ლაურეატები გახდნენ - ქალებში ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა**, კაცებში - ტაიგერ ვუდსი და საერთო ჩათვლაში როჯერ ფედერერი.

ქალათბურთი

კლიპერსმა ტორნტონი დაკარგა

ბოლო ტურში ტრავმა მიიღო „ლოს ანჯელეს კლიპერსის" დებიუტანტმა **ელ ტორნტონმა**. ფორვარდმა „ინდიანა პეისერსთან" მატჩში მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო.

კალათბურთელის გამოჯანმრთელების ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

იმ 13 წუთის განმავლობაში, რაც ტორნტონმა მოედანზე დაჰყო, 10 ქულის, 2 მოხსნისა და 1 შედეგიანი პასის დაგროვება მოასწრო.

პროკომი ახალ მწვრთნელს ეძებს

ევროლიგის მონაწილე პოლონეთის „პოკომი" მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის მეშვიდე ტურში „მონტეპასკისთან" განადგურების (59:84) შემდეგ, თანამდებობიდან გადადგა **ეუგენიუშ კიევსკი**.

ეს სპეციალისტი „პროკომში" 2002 წლიდან მუშაობდა. ამ დროის განმავლობაში გუნდმა ოთხჯერ მოიგო პოლონეთის ჩემპიონატი და ორჯერ გავიდა ევროლიგის 16 საუკეთესო გუნდს შორის.

დროებით „პროკომის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობებს კიევსკის ასისტენტი **ტომას პაცეკასი** შეასრულებს.

ჰოკეი

იაგრი რეინჯერსს დატოვებს?

„ნიუ იორკ რეინჯერსმა" მომავალი წლის სეზონი შესაძლოა ჩეხი ვეტერანის, იარომირ იაგრის გარეშე დაიწყოს. ჰოკეისტის მიმდინარე კონტრაქტს ამ რეგულარულის შემდეგ გასდის ვადა, მაგრამ ხელშეკრულებაში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც თუ ფორვარდი წლევანდელ სეზონში გაიტანს 40 გოლს ან დააგროვებს 84 ქულას, კონტრაქტი ავტომატურად გაგრძელდება.

ჯერჯერობით, იაგრი ამ გრაფიკს ჩამორჩება და ნოემბერში, ზედიზედ 5 მატჩი ვერ აგროვებდა მინიმუმ ერთ ქულას. არადა, გაისად „რეინჯერსი" რეგულარულ ჩემპიონატს იაგრის სამშობლოში, ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში იწყებს.

ფორმულა 1

ჰემილტონმა რეკორდი ვერ მოხსნა

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **ლუის ჰემილტონმა** მონაწილეობა მიიღო გადაცემა Top Gear-ში, სადაც ვერ შეძლო ტესტ-პილოტ **სტიგის** (რეალური გვარი უცნობია) რეკორდის დამხობა.

შეჯიბრი დანსფოლდ-პარკის პოლიგონზე მიმდინარეობდა. „მაკლარენის" პილოტს მანქანა „სუპუკი ლიანა" შესთავაზეს. მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, ჰემილტონმა წრე საკმაოდ სწრაფად გაიარა, მაგრამ ტრასის ისტორიაში მხოლოდ მეორე შედეგი აჩვენა.

სტიგის რეკორდი წუთსა და 44.4 წამს უდრის. თავის დროზე, ამ რეკორდის გაუმჯობესებასთან ყველაზე ახლოს ლეგენდარული ბრიტანელი **ნაიჯელ მენსელი** იყო - მას 0.2 წამი დააკლდა.

ჩოგბურთი

დოკიჩს დიდი გეგმები აქვს

მომავალი სეზონიდან დიდ ჩოგბურთში ბრუნდება ავსტრალიელი **ელენა დოკიჩი**. წარმოშობით სერბ ჩოგბურთელს საგაისოდ დიდი გეგმები აქვს - ის აპირებს ჯერ საუკეთესო 50-ეულში მოხვდეს, შემდეგ კი, უფრო გაუნაწილებლად დეს საჩოგბურთო ელიტას. დოკიჩი რეიტინგში მდგომარეობის გამოსწორებას ავსტრალიის ღია პირველობაზე გამოსვლით დაიწყებს.

გასულ წელს, 24 წლის ელენამ მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა და კლასიფიკაციის მიხედვით ვერ მოხვედება ავსტრალიის ღიაზე - მას მხოლოდ უაილდქარდის იმედი რჩება.

„მონდომებით ვვარჯიშობ და ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ საკუთარი ფიზიკური ფორმით. იმედი მაქვს, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. დრო მჭირდებოდა თამაშისგან დასასვენებლად და პირადი პრობლემების მოსაგვარებლად. მაგრამ ახლა ვბრუნდები და მთელი ყურადღება მხოლოდ ჩოგბურთზე მექნება გადატანილი", - ამბობს დოკიჩი.

დანიელ ალბრეხტი ასპარეზობისას

მსოფლიო თასი

შვეიცარიელთა დღე

სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშებაზე მორიგი ეტაპები შვეიცარიელი მოთხილამურეების გამარჯვებით დასრულდა. შტატ კოლორადოს სამთო კურორტ ბივერ კრიკში კაცები ერთმანეთს გიგანტურ სლალომში შეეჯიბრნენ, რომელიც შვეიცარიელმა **დანიელ ალბრეხტმა** მოიგო. კანადის ლეიკ ლუისში კი ქალებს ამ სეზონში პირველი სუპერგიგანტი ჰქონდათ, რომელიც ასევე შვეიცარიელის, **მარტინა შილდის** გამარჯვებით დასრულდა.

ალბრეხტმა რამდენიმე დღის წინ თავის კარიერაში მსოფლიოს თასზე პირველი გამარჯვება მოიპოვა, ახლა კი მეორედაც დაიკავა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური. ორი ცდის ჯამში, მან სულ რაღაც 0.05 წამით აჯობა უახლოეს მდევარს, ავსტრიელ **მარიო მატს**. არადა, პირველი ცდის შემდეგ შვეიცარიელს მხოლოდ მე-11 ადგილი ეკავა.

ბივერ კრიკში ამჯერადაც დიდთოვლობა იყო და მოთხილამურეებს თავიანთი უნარის გამოვლენაში სქელი ნისლიც უშლიდა ხელს. მხედველობა განსაკუთრებით შეზღუდული ფერდობ "ბირდს ოფ პრეის" ქვედა ნაწილში იყო. ყოველივეს გამო, მეორე ცდაზე ბევრმა ფავორიტმა უხეში შეცდომები დაუშვა და გამარჯვების მაძიებელთა რიგებს გამოაკლდა.

"პირველი ცდის შემდეგ ვფიქრობდი, რომ კვარცხლბეკზე ასვლას ვერ შევძლებდი. მაგრამ მეორეზე მეტად გავრისკე და ამან სასურველი შედეგი მომიტანა. ვერ გამიგია, რა ხდება აქ. ერთ კვირაში ორი რბოლა მოვიგე. აქ ჩამოსვლამდე კი ამას ვერც წარმოვიდგენდი", - განაცხადა ალბრეხტმა, ვინც სამიოდე დღით ადრე სუპერკომბინაციის რბოლა მოიგო.

ისევე როგორც წინა დღეს, დაშვების რბოლაში, ამჯერადაც მესამე ადგილს დასჯერდა კიდევ ერთი შვეიცარიელი - **დიდიე კუშე**, ვისაც პირველი ცდის შემდეგ საუკეთესო შედეგი ჰქონდა. მართალია, ამ შედეგით მან აბსოლუტურ კლასიფიკაციაში ერთი ქულით გადაასწრო ნორვეგიელ **აკსელ ლუნდ სვინდალს** და ლიდერობა იგდო ხელთ, მაგრამ თავისი მესამე ადგილით მაინც უკმაყოფილო დარჩა.

"განშილებული ვარ. 2001 წლის შემდეგ გიგანტური სლალომი არ მომიგია. ახლა მიზანთან ახლოს ვიყავი, მაგრამ საბოლოოდ მაინც ხელი მომეცარა. არ მინდა, სპორტიდან ისე წავიდე, რომ გიგანტური სლალომი კიდევ ერთხელ არ მოვიგო. მეორე ცდაზე სერიოზული შეცდომა დავუშვი და ეს გამარჯვების დაკარგვად დამიჯდა", - განაცხადა კუშემ.

ხელმოცარულთა შორის აღმოჩნდა ამერიკელი **ბოდე მილერი**, ვისაც ბივერ კრიკში გიგანტური სლალომი ორი წლის წინ აქვს მოგებული. მეორე ცდაზე ის გასასვლელს ასცდა, მაგრამ შემდეგ ტრასას აღმა აუყვა, ასპარეზობა იქიდან განაგრძო, სადაც შეცდომა დაუშვა და ფინიშს მიაღწია, თუმცა საუკეთესო შედეგს დაახლოებით ათი წამით ჩამორჩა. კიდევ ერთმა ამერიკელმა, კომბინაციაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ტედ ლიგეტიმ** მეოთხე ადგილი იტალიელ **მასიმილიანო ბლარდონესთან** გაიყო. ბლარდონეს მეორე ცდის სანყის მონაკვეთზე საუკეჭესო შედეგი კი ჰქონდა, მაგრამ ქვედა ნაწილში შეცდომა დაუშვა და კვარცხლბეკის მიღმა დარჩა. პირველივე ცდაზე მოეცარა ხელი გიგანტურ სლალომში მსოფლიოს ჩემპიონს, ფინელ **კალე პალანდერს**.

ალბრეხტმა თუ სამი დღის წინ მოიპოვა კარიერაში პირველი გამარჯვება, მისმა თანამემამულე მარტინა შილდმა იგივე კვირას (ჩვენი დროით ორშაბათს) შეძლო. აქამდე მისთვის საუკეთესო შედეგი ოლიმპიადაზე დაშვებაში მოპოვებული ვერცხლის მედალი იყო. ამჯერად კი მან სუპერგიგანტში გამოიჩინა თავი.

შილდმა მხოლოდ 0.20 წამით აჯობა მეორეზე გასულ გერმანელ **მარია რიშს**, მესამეზე კი შვედი **ჯესიკა ლინდელ-ვიკარბი** გავიდა, ვისთვისაც ეს მსოფლიო თასის რბოლაზე პირველი საკვარცხლბეკე ფინიშია.

ცნობისათვის, 2002 წლიდან პირველად მოხდა, რომ ლეიკ ლუისში სუპარგიგანტის რბოლა ავსტრიელმა მოთხილამურემ ვერ მოიგო. ეგ კი არა, ამჯერად ამ ქვეყნის მოთხილამურეებმა კვარცხლბეკზე ასვლაც კი ვერ შეძლეს.

სერიოზული ინციდენტი შეემთხვა ამერიკელ **ლინდსი კილდოუ-ვონს**, ვინც წინა დღეს იმავე ტრასაზე დაშვების რბოლა (ზედიზედ მეოთხედ) მოიგო. ის ერთ-ერთ მოსახვევში ვერ ჩაეტია და დამცავ ბადეში ამოჰყო თავი. ერთხანს ის უმოძრაოდ იყო, თუმცა შემდეგ სხვების დაუხმარებლად წამოდგა და ტრასის დარჩენილი ნაწილიც ჩაისრიალა. ხელი მოეცარა ავსტრიელ **რენატე გიოჩლსაც**, ვინც მოსახვევს ასცდა და ჩასათვლელი ქულაც კი ვერ მიიღო. არადა, ლეიკ ლუისში მას ჩქაროსნულ დისციპლინებში ხუთი რბოლა აქვს მოგებული.

მერაბ ლორთქიფანიძე

ბივერ კრიკი (აშშ, კოლორადო).
კაცები. გიგანტური სლალომი

1. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 2:24.30 (1:14.11, 1:10.19); 2. მარიო მატი (ავსტრია) 2:24.35 (1:14.07, 1:10.28); 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 2:24.41 (1:13.06, 1:11.35); 4-5. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) 2:24.45 (1:13.18, 1:11.27); 4-5. ტედ ლიგეტი (აშშ) 2:24.45 (1:13.66, 1:10.79); 6. ჯონ კუჩერა (კანადა) 2:24.51 (1:13.74, 1:10.77); 7. პანს რაიხელტი (ავსტრია) 2:24.79 (1:13.92, 1:10.87); 8. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 2:24.86 (1:13.59, 1:11.27); 9. ფრანსუა ბურკე (კანადა) 2:24.88 (1:14.11, 1:10.77); 10. თომას ფანარა (საფრანგეთი) 2:24.90 (1:14.67, 1:10.23)...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. დიდიე კუშე (შვეიცარია) 235; 2. აკსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 234; 3. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 222; 4. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 210; 5. ტედ ლიგეტი (აშშ) 162...

ლეიკ ლუისი (კანადა).
ქალები. სუპერგიგანტი

1. მარტინა შილდი (შვეიცარია) 1:16.21; 2. მარია რიში (გერმანია) 1:16.41; 3. ჯესიკა ლინდელ-ვიკარბი (შვედეთი) 1:16.63; 4. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) 1:16.69; 5. ფრანცი აუფდენბლატენი (შვეიცარია) 1:16.72; 6. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:16.75; 7. ანია პერსონი (შვედეთი) 1:16.91; 8. ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია) 1:17.03; 9. ბრიტ იანიკი (კანადა) 1:17.18; 10. ფაბიენ შუტერი (შვეიცარია) 1:17.29...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. მარლის შილდი (ავსტრია) 263; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 226; 3. დენიზე კარბონი (იტალია) 209; 4. მარია რიში (გერმანია) 172; 5. ანია პერსონი (შვედეთი) 170...

გაზეთ ლელოს რეკვიზიტებია

შპს „გაზეთი ლელო"; „ვითიბი ბანკი ჯორჯია" (ცენტრალური ფილიალი); საიდენტიფიკაციო კოდი: 203826075; ანგარიშის ნომერი: 016467589; მფო 220101666.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესი ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცველიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), **გივი ვეშაგიძე, ქეთევან დიდგორიძე**

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტფედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(ფილიალი, ახალი კონოსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sport@sport.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე.
გარდა კვირისა